

**დავით ნემსაძე:**
**ხიდაშელი კი წავიდა, მაგრამ თავდაცვის სამინისტროში თავისი „ქუდები“ დატოვა**



**გრიგოლ გაგნიძე:**
**„ნაციონალების“ „შავი“ მილიონები შავი საქმეებისთვის**


# საერთო გაზეთი

№26/2 (381) • 22 ივლისი, 2016 წ. • პარასკევი • ფასი 1 ლარი

საკვირაო დამატება




**თემურ მირიანაშვილი:**
**ბიძინა ივანიშვილმა სასწაული ჩაიდინა – შიზოიდური ფაშიზმი და გიჟი ტირანი ისე დაამხო, ერთი წვეთი სისხლი არ დაღვრილა...**

**ოთარ აბესაძე:**
**ვფიქრობ, „ქართული ოცნება“ გაძლიერდა ძალიან საინტერესო ახალი სახეებით და არაფერია იმაში ცუდი, თუ მათ დასავლური განათლება და ძალიან კარგი კონტაქტები აქვთ**



## პოლიტიკური მინისქვრა თურქეთში

## ვინ მოპარა საქართველოს ისტორიას 4 000 წელი?



## ჩემი „სულერთია“ პრეზიდენტი

**ექსკლუზიური ინტერვიუ რუსეთის სამეფო სახლის წარმომადგენელთან, მთავარ გიორგი რომანოვთან**



## საქართველო მსოფლიო მართლმადიდებლობის ცენტრად უნდა იქცეს

დიდი რუსეთი ქართველებმაც შექმნეს... ახლა დროა რუსეთმაც იზრუნოს დიდი საქართველოს ასაღორძინებლად

# სამთავრობო



## შეხვედრა რეჯებ თაიფ ერდოგანთან

თურქეთთან ჩვენი თანამშრომლობა და სტრატეგიული პარტნიორობა, პრინციპულად, თვისობრივად, ახალ საფეხურზე გადავიდა, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **გიორგი კვირიკაშვილმა** ჟურნალისტებს თურქეთში ოფიციალური ვიზიტის კომენტირებისას განუცხადა.

უპრეცედენტოდ წარმატებული ვიზიტი, - ასე შეაფასა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ანკარაში გამართული შეხვედრები, რომლებზეც საქართვლოს ხელისუფლებამ თურქეთში დემოკრატიისა და დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლებისადმი მხარდაჭერა გამოხატა.

მთავრობის მეთაურის განცხადებით, საქართველოს დელეგაცია თურქეთიდან ძალიან სასიხარულო და მისასალმებელი შედეგებით დაბრუნდა.

„ხელი მოეწერა ხუთ ხელშეკრულებას და დეკლარაციას, რომლითაც სტრატეგიული თანამშრომლობის ერთობლივი საბჭო დავაფუძნეთ. დაძრული იქნა ადგილიდან ისეთი რთული თემები, როგორიცაა თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების მოლაპარაკების გახსნა და იმ პროდუქციის ჩამონათვალის გაფართოება, რომელიც შეიძლება, საქართველოდან თურქეთის ბაზარზე შევიდეს. ეს არის ძალიან დიდი რამ საქართველოში წარმოებისთვის. სოფლის მეურნეობის მიმართულებით, მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ გაიხსნება კიდევ ახალი მოლაპარაკება ქართული პროდუქციის თურქულ ბაზარზე შეტანისათვის. დაძრული იქნა ადგილიდან ისეთი მტკივნეული თემები, როგორიც იყო, მაგალითად, მტკვარზე ელექტროსადგურის მშენებლობა და ახლიდან იქნება მოლაპარაკებული, კვლევებზე დაყრდნობით, ისეთი ლოკაცია, რომელიც გარემოს არ დააზიანებს და მოიხსნება ის შეშფოთებები, რომელიც არის დღეს საზოგადოებაში. მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ ქართველი პრობაციონერები პრობაციას გაივლიან საქართველოში და პირიქით. ეს არის მართლაც ძალიან დიდი შეთანხმება. მთლიანობაში უნდა ითქვას, რომ ჩვენი თანამშრომლობა და სტრატეგიული პარტნიორობა, პრინციპულად, თვისობრივად ახალ საფეხურზე გადავიდა და ძალიან მოხარული ვარ, რომ ასეთი პოზიტიური შეხვედრა შედგა გუშინ", - აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

შეხვედრა პრეზიდენტის სასახლეში პრემიერ-მინისტრის ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში გაიმართა.

მხარეებმა საქართველოსა და თურქეთის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების ძირითადი საკითხები განიხილეს. საუბარი შეეხო მაღალი დონის სტრატეგიული თანამშრომლობის საბჭოს დაარსების მნიშვნელობას და ვიზიტის ფარგლებში გაფორმებული შეთანხმებების დროულად ამოქმედების აუცილებლობას.

**რეჯებ თაიპ ერდოღანმა** საქართველოს პრემიერ-მინისტრს მადლობა გადაუხადა თურქეთის მიმართ გამოხატული მტკიცე მხარდაჭერისთვის და კმაყოფილება გამოთქვა ვიზიტის ნაყოფიერად დასრულების გამო.

საქართველოს მთავრობის მეთაურმა კიდევ ერთხელ გამოხატა მხარდაჭერა თურქი ხალხისადმი და გამოთქვა რწმენა, რომ სტაბილური და დემოკრატიული თურქეთი რეგიონში უსაფრთხოების მნიშვნელოვანი გარანტი იქნება.

გიორგი კვირიკაშვილმა თურქეთის პრეზიდენტს მადლობა გადაუხადა ვარშავის სამიტზე საქართველოს მხარდაჭერისთვის.

აღნიშნა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის დღევანდელი ვიზიტი ორი ქვეყნის ურთიერთობებს მნიშვნელოვნად განამტკიცებს.

## EBRD „რუსთავის აზოტს" 155 მილიონი დოლარის დაფინანსებას გამოუყოფს

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) კომპანია „რუსთავის აზოტს" 155 მილიონი დოლარის ოდენობის დაფინანსებას გამოუყოფს, - ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტრანზაქცია კერძო სექტორის მიმართულებით, გაზის მონეტიზაციის ძალიან მსხვილ პროექტს ითვალისწინებს.

შესაბამისი შეთანხმების ხელმოწერის ცერემონიას საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, მინისტრთა კაბინეტის წევრებთან ერთად დაესწრო.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის მიერ, საქართველოს კერძო სექტორის წარმომადგენელთან ერთად დაფინანსებული უპრეცენდენტოდ დიდი პროექტი, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებას, შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს - ასე შეაფასა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ხელშეკრულება, რომელსაც EBRD-ის დირექტორმა კავკასიაში, მოლდოვასა და ბელარუსში, ბრუნო ბალვანერამ და ბიზნესმენმა, Loyal capital Group S.A.-ს დამფუძნებელმა და "რუსთავის აზოტის" მფლობელმა რომან ფიფიამ მოაწერეს ხელი.

**გიორგი კვირიკაშვილის** განცხადებით, ეს არის ექსპორტზე ორიენტირებული პროექტი, რომელიც მყარი ეროვნული ვალუტისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

„ამ პროექტს სახელმწიფოს სრული მხარდაჭერა აქვს და ეს ბევრი ფაქტორით არის განპირობებული. ჩართულია „საპარტნიორო ფონდი" და ვფიქრობ, ეს არ იქნება ერთადერთი პროექტი, რომელსაც ჩვენ უახლოეს მომავალში, ევრობანკთან ერთად კიდევ დავაფინანსებთ. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი გახლავთ ყველაზე მსხვილი კრედიტორი და კაპიტალში მონაწილე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი საქართველოში", - განაცხადა პრემიერმა და EBRD-ის დირექტორს კავკასიაში, მოლდოვასა და ბელარუსში, ბრუნო ბალვანერას, საქართველოს რეალურ სექტორსა და საფინანსო ინსტიტუტებში დამატებითი ფინანსური რესურსის მოზიდვის მიმართულებით, აქტიური მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, ძალიან კარგია, რომ 155 მილიონ დოლარში ასევე მონაწილეობს „საქართველოს ბანკი", რომელიც, ასევე, პროექტის ერთ-ერთი მსხვილი კრედიტორი იქნება.

გიორგი კვირიკაშვილი მიიჩნევს, რომ ეს არის ახალი, მისასალმებელი წინგადადგმული ნაბიჯი საქართველოს ეკონომიკის რეალურ სექტორში.

პრემიერმა, სიტყვით გამოსვლისას, ფინანსურ სექტორში მუშაობის გამოცდილებიდან ერთი ფაქტი გაიხსენა.




„საერთო გაზეთი"
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის" სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# სიახლეები



### გიორგი კვირიკაშვილი – ჩვენ გპირდებით სწრაფ განვითარებას

ჩვენ გვტკივა თქვენი ტკივილი და გვიხარია თქვენი სიხარული, ჩვენ გპირდებით სწრაფ განვითარებას", - ასე მიმართა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარემ, პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა საჩხერის მოსახლეობას.

### მინისტრთა კაბინეტმა დღის წესრიგით გათვალისწინებული 33 საკითხი განიხილა

საქართველოს 2000-ზე მეტი ქალაქისა და სოფლისათვის ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინტერნეტის ქსელი შეიქმნება, - მთავრობის დღევანდელ სხდომაზე „საქართველოში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამა" დამტკიცდა. პროგრამის მიხედვით, ფართოზოლოვანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურა საქართველოს მასშტაბით აშენდება და მივა ისეთ დასახლებულ პუნქტებამდე, სადაც აქამდე ან არ ყოფილა ინტერნეტი, ან დაბალი ხარისხით და შეზღუდულად მიეწოდებათ. ტერიტორიებზე მოეწყობა ე.წ. „ღია დაშვების წერტილები", რომელიც საშუალებას მისცემს ნებისმიერ პროვაიდერს და ოპერატორს, მოსახლეობა უზრუნველყოს მაღალხარისხიანი ინტერნეტით, ტელევიზიით და სხვა შესაბამისი სერვისებით. პროექტს აფინანსებს ფონდი „ქართუ", ხოლო კოორდინაციას ახორციელებს ეკონომიკის სამინისტროს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს ინიციატივით შექმნილი ორგანიზაცია „OpenNet"-ი.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, თბილისში, ქუთაისში, ხონსა და ლაგოდეხში კიდევ 198 დევნილ ოჯახს უსასყიდლოდ გადაეცემა საკუთრებაში საცხოვრებელ ფართები. 2012 წლის ოქტომბრიდან დღემდე მთავრობის განკარგულებით, 12 052 დევნილ ოჯახს გადაეცა საკუთრებაში საცხოვრებელი ფართი.

მთავრობის დღევანდელ სხდომაზე ასევე დამტკიცდა კანონპროექტი, რომლის მიხედვით, მიღწეული სპორტული წარმატებებისთვის, წელს 291 სპორტსმენი, მწვრთნელი, სპორტული ექიმი და ადმინისტრაციული პერსონალი პრემიის სახით, მთლიანობაში მიიღებს 3 849 650 ლარს.

### გიორგი კვირიკაშვილი – ჩვენ არ ვქმნით დისტანციას ჩვენსა და მოსახლეობას შორის

ჩვენ ვართ ხალხის ხელისუფლება; თქვენს გვერდით მდგომი ხელისუფლება და არ ვქმნით დისტანციას ჩვენსა და მოსახლეობას შორის, - ამის შესახებ პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარემ, პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ბაღდათში განაცხადა, სადაც რაიონულ ცენტრში შეკრებილ მოსახლეობას ბაღდათისა და ხარაგაულის გაერთიანებული საარჩევნო ოლქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი კობა ლურსმანაშვილი წარუდგინა.

„დღეს ბაღდათს და ხარაგაულს სჭირდება ისეთი ადამიანი, როგორიც არის კობა ლურსმანაშვილი. კობა არის კაცი, რომლისთვისაც უცხო არ არის არც ერთი პრობლემა. ამავე დროს, ის არის კვალიფიციური ადამიანი, საერთაშორისო სამართლის პროფესიონალი და თქვენს საკითხებს პარლამენტში არა მხოლოდ დააყენებს, არამედ გადაჭრის კიდეც", - განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

მთავრობის მეთაური ადგილობრივ მოსახლეობას საყოველთაო ჯანდაცვაზე, სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით გადადგმულ ნაბიჯებზე, ეკონომიკურ რეფორმებსა და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაზე ესაუბრა.

მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის წარდგენას ესწრებოდნენ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" გენერალური მდივანი კახა კალაძე და პარტიის წევრები-მამუკა მდინარაძე, ომარ ნიშნიანიძე, პაატა კიკნაველიძე.

„2008 წლის აგვისტოს ომის დროს, როდესაც იყო გაგანია საბრძოლო მოქმედებები, ევრობანკმა საქართველოსთვის მხარდაჭერის ნიშნად, შეავსო საპარტნიორო ანგარიში ერთ-ერთ პროგრამაში, ერთ-ერთ ბანკში, რომელშიც მე მაშინ ვმუშაობდი და ეს იყო EBRD-ის მიერ, საქართველოს საბანკო სექტორისა და საქართველოსადმი მხარდაჭერის ძალიან მკაფიო გამოხატულება და რწმენა, რომ საქართველო შეუქცევადად ადგას განვითარების სწორ ვექტორს. კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ მართლაც ძალიან დიდ წარმატებას და დარწმუნებული ვარ, ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტი საქართველოს რეალურ სექტორსა და ევრობანკს შორის", - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

დაფინანსება გამოყენებული იქნება ამიაკის წარმოების ხაზის რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციისთვის, რაც ენერგოეფექტური ღონისძიებების გამოყენებით განხორციელდება. შედეგად, ენერგიის მოხმარება 30%-ით შემცირდება. ახალი, ენერგოეფექტური ამიაკის ხაზი, შესაბამისობაში იქნება უმაღლეს გარემოსდაცვით სტანდარტებთან, რაც მის კონკურენტუნარიანობას გაზრდის.

კავკასიაში, მოლდოვასა და ბელარუსში EBRD-ის დირექტორის, ბრუნო ბალვანერას განცხადებით, EBRD-მა, ხელშეკრულების ხელმოწერით წელს რეკორდი მოხსნა, რადგან ივლისის მდგომარეობით, საქართველოში განახორციელა 325 მილიონი დოლარის ინვესტიცია, რაც 2015 წელს განხორციელებული ინვესტიციების მოცულობას სამჯერ აღემატება.

„ამ ხელშეკრულების ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ გვწამს საქართველოს ნათელი მომავლის, საქართველოს იურიდიული სისტემის, საქართველოს სამეწარმეო გარემოსი", - განაცხადა ბრუნო ბალვანერამ და მხარდაჭერისთვის საქართველოს მთავრობას მადლობა გადაუხადა.

### შავი ზღვის სანაპიროზე ამიაკის საექსპორტო გადატვირთვის ტერმინალის აშენება იგეგმება

შავი ზღვის სანაპიროზე ამიაკის საექსპორტო გადატვირთვის ტერმინალის აშენება იგეგმება, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ჟურნალისტებს იმ ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონიის შემდეგ განუცხადა, რომლის თანახმად, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) კომპანია "რუსთავის აზოტს" 155 მილიონი დოლარის ოდენობის დაფინანსებას გამოუყოფს.

პროექტის განხორციელებისთვის, „საპარტნიორო ფონდს" თადარიგი უკვე დაჭერილი აქვს.

გარდა ამისა, EBRD-ისგან მიღებულ დაფინანსებას „რუსთავის აზოტი" ამიაკის წარმოებაში ახალი კომპონენტის ჩართვისთვის გამოიყენებს. ამასთანავე, ხდება „რუსთავის აზოტის" მრავალი წლის წინ აშენებული ქარხნის სრული მოდერნიზაცია და აბსოლუტურად თანამედროვე სტანდარტებზე გადაყვანა.

პრემიერის შეფასებით, ეს არის კომპლექსური პროექტი, რომელიც იწყება 155 მილიონით, თუმცა მისი მასშტაბი გაცილებით დიდია.

„ეს არის უპრეცედენტოდ დიდი ტრანზაქცია კერძო სექტორში. კავკასიაში, მოლდოვასა და ბელარუსში EBRD-ის დირექტორის, ბრუნო ბალვანერას განცხადებით, უკვე წელს, ივლისამდე ინვესტირებული თანხები სამჯერ აღემატება მთლიანად 2015 წელს ევრობანკის მიერ დაფინანსებულ პროექტებს. ეს არის განვითარებისა და საერთაშორისო საფინანსო სექტორის ჩართულობის მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი მაჩვენებელი. შეიქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები, იზრდება ქვეყნის ექსპორტის პოტენციალი და ეროვნული ვალუტისთვის ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. ასევე, ეს არის თანამედროვე ტექნოლოგია, რომელიც გარემოს დაცვის ყველა სტანდარტთან შესაბამისია", - განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.



## თემურ მირიანაშვილი:

# ბიძინა ივანიშვილმა სასწაული ჩაიდინა – შიზოიდური ფაშიზმი და გიჟი ტირანი ისე დაამხო, ერთი წვეთი სისხლი არ დაღვრილა...

რატომ გაიმარჯვებს არჩევნებში „ქართული ოცნება“?

ეს სტატია კარგა ხნის წინ დავწერე. არჩევნების შემდეგ ვაპირებდი გამოქვეყნებას. მაგრამ ეხლა ვბეჭდავ. მხოლოდ სათაურს ვცვლი ოდნავ: ნაცვლად ზმნისა „გაიმარჯვა“, ვწერ ზმნას „გაიმარჯვებს“. დიახ, მე აბსოლუტურად ვარ დარწმუნებული ბიძინა ივანიშვილისა და მისი პარტიის ტრიუმფში 8 ოქტომბერს. და. აი, რატომ:

2011 წლის 7 ოქტომბრამდე ბ. ივანიშვილზე ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა. მისი ფოტოსურათიც კი არ მენახა. ვიცოდი მხოლოდ, რომ იგი არის ძალიან მდიდარი და ეწევა უპრეცედენტოდ დიდ, მამულიშვილურ ქველმოქმედებას. სააკაშვილის ავადსახსენებელ „ეპოქაში“ მეც, როგორც ბევრი სხვა, ვფიქრობდი, ვინ შეძლებდა იმ დამთხვეულისგან, იმ გონებით და ზნეობით ხეიბრისგან საქართველოს დახსნას. მაშინ ბატონ ბიძინაზე არცკი მიფიქრია. არ მეგონა, თუ იგი როდისმე პოლიტიკაში მოვიდოდა. სააკაშვილი ბაყბაყ დევივით უკვდავ-უბერებელს ჰგავდა. სამუდამოდ აპირებდა საქართველოს სისხლის წოვას, ხან პრეზიდენტის და ხან პრემიერის სტატუსით. მთელი ჩვენი ერი სასოწარკვეთილებამ მოიცვა. ასეთ დროს გამოქვეყნდა ბ. ივანიშვილის განცხადება პოლიტიკაში მოსვლის თაობაზე. მაშინვე მთელმა საქართველომ ბიძინა ივანიშვილზე ლაპარაკი და მასზე ფიქრი დაიწყო. მეც მის ყველა პუბლიკაციას ვკითხულობდი. ვკითხულობდი კრიტიკული თვალით და მაინც აღფრთოვანებული ვიყავი. 7 ოქტომბრის შემდეგ დღითიდღე საოცრად იზრდებოდა ბატონი ბიძინას პოპულარობა. მიტინგომანიაგამოვლილ საქართველოს მანამდე არასოდეს უნახავს ისეთი გრანდიოზული მიტინგ-დემონსტრაციები, როგორიც ივანიშვილის მომხრეებმა გამართეს მთელს ქვეყანაში.



ხელისუფლება დაფრთხა, გაწიწმატებით დაეძგერა ახალ ძალას. თავისი მესაფლავე იცნო მასში. ნაცების იარაღი პოლიტიკურ ბრძოლაში, ცხადია, იყო (და არის) მხოლოდ პიარი ანუ ცრუპენტელობა „ქართული ოცნების'' ლიდერისთვის ჩირქის მოსაცხებლად. მაგრამ, აი, გავიდა უკვე 5 წელიწადი და ვერცერთი კომპრომატი ვერ გამოუქვეყნეს, რაც იმის უდაო დასტურია, რომ საქართველოს ლიდერად ქცეულ ქართული ოცნების ლიდერს კაცურად, ღირსეულად უცხოვრია.

1 ოქტომბერს ახდა ჩვენი ნატვრა. დამარცხდნენ ნაცები და განაგრძეს პიარმეიკერობა, მაგრამ ყველა ვხედავთ, ბ. ივანიშვილის გარემოცვის წევრთაგანაც პრაქტიკულად ვერცერთს ვერ აუგორეს შავი პიარი - ვერ დასწამეს კორუმპირებულობა. ამიტომ კორუფციაზე ხმას დაუწიეს და არაკომპეტენტურობაზე აჭიჭყინდნენ. ბატონმა ბიძინამ ამჯერადაც აბსოლუტურად სწორი და დემოკრატიული ტაქტიკა აირჩია - ხვდება პრესას, ისმენს ჟურნალისტების პრეტენზიებს და მერე ნაცჟურნალისტების „არგუმენტებისგან“ ქვას ქვაზე არ ტოვებს. ასე უჩვენებს ხალხს, რომ ქვეყანა სწორ გზას ადგას, რომ არსებული სირთულეები ობიექტური ხასიათისაა და ისინი ძირითადად თვითონ ნაცების მიერ არის შექმნილი.

იყო „ქართული ოცნების'' კონცეპტუალურად განადგურების ცდებიც. მაგალითად, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო'' ბ. ივანიშვილის განქიქებაში სპეციალდებოდა. არ ვიცი, რა სახელსახრავი შეიგულა რედაქციამ ამაში, მაგრამ ფაქტია, გაზეთის ყოველი ნომერი ბ. ივანიშვილის დემონიზების მცდელობას ეძღვნებოდა. პასკვილანტებს კრინტი არ დაუძრავთ საპასუხოდ, ჩირგვებში გაინაბნენ ანუ რეალურად არაფერი აქვთ სათქმელი. ის სტატია არის ინტერნეტშიც: temurmirianashvili.wordpress.com.

ივანიშვილის კიდევ ერთი „პრინციპული“ კრიტიკოსია ვინმე თამარ ცოფურაშვილი. მის პუბლიკაციაზე ლაპარაკიც არ ღირს. ნამეტანი ანეკდოტურად აზროვნებს ავტორი ქალბატონი. ყოველ მხრივ იწუნებს ბ. ივანიშვილის პოლიტიკას და პიროვნებასაც კი, მაგრამ არგუმენტი საერთოდ ვერცერთი ვერ მოაქვს, გარდა ამისა: მეცნიერი ქალი ვარო.

ასე რომ ბიძინა ივანიშვილის ასე თუ ისა საგულისხმო კრიტიკა არავის გამოუთქვამს.

ეხლა წარმოვიდგინოთ, რა დღეში ვიქნებოდით, რომ არა ბიძინა ივანიშვილი და მის მიერ სულთამხუთავი გიჟის დამხობა:

იმძვინვარებდა შიზოფაშიზმი, უკრაინასთან ერთად რუსეთის წინააღმდეგ ვიომებდით, სუსტი, მაგრამ მზარდი ეკონომიკის ნაცვლად გვექნებოდა სრული კოლაფსი - სიდუხჭირე... თანაც იმის პერსპექტივით, რომ სულთამხუთავ გიჟს ვერადავერ მოვიშორებდით თავიდან. დღეს კი - მიმოვიხედოთ ირგცლივ - რომელიმე მეზობელ ქვეყანას აქვს ჩვენზე დინამიკური ეკონომიკა?

გასულ ოთხ წელიწადში ბატონ ბიძინასგან საქართველოსთვის გაკეთებული, უდაოდ, სასწაულების ტოლფასი საქმეებიდან მხოლოდ ორიოდეს გავიხსენებ:

**2012 წლამდე დარწმუნებული ვიყავი, რომ სააკაშვილს უსისხლოდ ვერ მოვიშორებდით. ვნატრობდი, ოღონდ ბევრი ადამიანი არ შესწირვოდა მსხვერპლად მასთან ბრძოლას და თუნდ მეც ვყოფილიყავი ერთ-ერთი მსხვერპლი. ბიძინა ივანიშვილმა კი დაამხო გიჟი ტირანი და ისე დაამხო, რომ წვეთი სისხლი არ დაღვრილა!**



ეს ნამდვილად სასწაულია!!!

რესუბლიკელები ხალხს ნაცებზე არანაკლებ ეჯავრება. ეს პარტია, უდაოდ, ნაცებზე საშიშიც კი არის. პირადად მე ამ ტიპური V კოლონის განდევნა პოლიტიკიდან ნაცების განდევნაზე პრობლემურად მესახებოდა. მაგრამ, აი, რესპუბლიკელები უკვე განდევნილნი არიან! - ქართული ოცნების გარეშე ხომ არჩევნებში ხმების ნახევარ პროცენტსაც კი ვერ ელირსებიან.

**მკითხველი უნდა დამეთანხმოს: რესპუბლიკელების ასე უმტკივნეულოდ თავიდან მოშორებაც სასწაულია!!!**

აქაც თავს ვერ ვიკავებ სიამაყის გამოხატვისგან. პირველმა მე გავაკრიტიკე პრესაში რესპუბლიკური პარტია(გაზ.“თბილისი“, 18 აგვისტო, 1992) ამის გამო დაბოღმილმა ერთმა რესპუბლიკელმა მაშინ მუშტიკრივი გამიმართა. მერე გაირკვა, რომ ის რესპუბლიკელი (რეზო შავიშვილი) ამ პარტიის წევრთაგან, მგონი, ყველაზე წესიერი კაცი ყოფილა.

მესმის ოპონენტთა ხმები: ნაცებიც და რესპუბლიკელებიც ჯერ კიდევ დიდ პოლიტიკურ საფრთხეს ჰქმნიანო...

მოვითმინოთ ოქტომბრამდე...

ცხადია, ბევრი პრობლემა არის ჯერაც გადასაჭრელი. ყველას გვაქვს შენიშვნები და უკმარობის განცდა. ყველაზე მწვავე პრობლემაა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს რეინტეგრირება საქართველოში. ამ მხრივ, არავითარი პოზიტივი არ ჩანს.

ოთხმოციანი წლების მეორე ნახევარში, როცა აშკარა გახდა სეპარატიზმისგან საქართველოსთვის დამუქრებული საფრთხე, ამ სტრიქონების ავტორმა გადაწყვიტა, გაერკვია, რამდენად სამართლიანია ოსი და აფხაზი ლიდერების ეს ბრალდებები. შევისწავლე მცირე ერების მდგომარეობა მთელს საბჭოთა კავშირში. უზარმაზარი მასალის ანალიზმა დამანახა - გადაუჭარბებლად ვიტყვი - გამაოგნებელი სიმართლე, რაც, ალბათ, ქართველებისთვისაც კი დაუჯერებელი იქნება: აფხაზების და საქართველოს ოსები პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და, საერთოდ, ყოველგვარი მდგომარეობა არა მხოლოდ უმჯობესი ყოფილა სხვა საბჭოთა მოკავშირე რესპუმლიკების ეროვნული უმცირესობების (მათ შორის, ჩრდილო ოსების) მდგომარეობაზე, არამედ უმჯობესი ყოფილა შეუდარებლად! ათასგზის! გადავწყვიტე დამეწერა ამის შესახებ. ნაშრომი საკმაოდ დიდი გამოვიდა, თითქმის ორასი ნაბეჭდი გვერდი. ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში ვცადე ტექსტის სრული სახით გამოქვეყნება, მაგრამ ვერ შევძელი. 1990-92 წლებში თბილისის ქართულ- და რუსულენოვან გაზეთებში დავბეჭდე ნაშრომის ათამდე ვრცელი ფრაგმენტი. მოუთმენლად ველოდი ოსი და აფხაზი ოპონენტების გამოხმაურებას. იმ წლებში თბილისურ პუბლიკაციებს ოსებისა და აფხაზების შესახებ სეპარატისტთა იდეოლოგები უპასუხოდ არ ტოვებდნენ, მაგრამ მე დღემდე არ მაღირსეს პასუხი. ანუ არცკი უცდიათ ფაქტების უარყოფა.

სეპარატისტები მარჯვედ იყენებენ ჩვენს პროდასავლურ ორიენტაციას - რუსეთის მტრობად ასაღებენ. ამიტომ ვფიქრობ, ტაქტიკის შეცვლა გვჭირდება.

2012 წლის წინასაარჩევნო პერიოდშიც მწამდა, რომ „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებდა. არაერთხელ დავწერე ამაზე. ეხლაც მწამს. მთავარია, ხალხი არ შეცდეს და დემაგოგთა „არგუმენტები“ არ დაიჯეროს.

**თემურ მირიანაშვილი**

# ჩემი „სულ ერთია“ პრეზიდენტი

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა მისცა „რუსთავი 2“-ს და განაცხადა, მე იმდენად გამოცდილი ვარ, ვიცი რაზე უნდა ვისაუბრო და რაზე არაო.. მეტიც, პრეზიდენტი ისეთი გამოცდილია, ისიც იცის, ვისთან უნდა ისაუბროს და ვისთან არა...

მაინც სად მიიღო ჩვენმა პრეზიდენტმა ასეთი კარგი გამოცდილება? რეზიდენციაში? წინდის ქსოვის დროს? მდიდრული სექსის დროს? ბოკერიასთან სადილობისას? ფილოსოფიური ტრაქტატების წერის დროს?

მთავარი პრეზიდენტის ინსტიტუტია და არა ის, მარგველაშვილი კარგი ბიჭია თუ ცუდიო...

პრეზიდენტის ინსტიტუტი თუ მთავარია, რა გააკეთა ამ ოთხი წლის მანძილზე პრეზიდენტის ინსტიტუტმა?

კონსტიტუცია არ მაძლევდა უფლებასო... რის უფლებასაც გაძლევდათ, ის მაინც რომ გეკეთებინათ, არა? კონსტიტუციამ იმის უფლებას ხომ მოგცათ, რომ იმ ხელისთვის დაგეწყოთ კბენა, რომელიც გაჭმევდათ, კონსტიტუციამ იმის საშუალება ხომ მოგცათ, ისინი გეკრიტიკებინათ, ვისთან ერთადაც ხელისუფლებაში მოხვედით, კონსტიტუცია მაშინ ხომ არ გაგხსენებიათ, როცა ნაციონალებთან ერთად ატარებდით თავისუფალ დროს?

ჩვენს პრეზიდენტს კარგი გამოცდილება მიუღია და გაცუღლუტებულა...

შეფარულად საუბარი უსწავლია... აი, ისეთი, არც წყალი როა და არც ღვინო, არც მიწის როა და არც ცის, არც მწვადს რომ არ წვავს და არც შამფურს...

დღეს ანდაზებით საუბრის ხასიათზე ვარ, რა ვქნა, ჩემი პრეზიდენტი ფილოსოფოსია და ტრაქტატებით მესაუბრება, მე ხალხის შვილი ვარ და ანდაზები მირჩევნია, ჰოდა, კიდევ ერთი ანდაზა გამახსენდა: „ეს ქათამი ჩვენსას კაკანებს და სხვაგან კვერცხს დებსო“, ან „ხე ნაყოფით იცნობაო“...

ჰოდა, რა ნაყოფი აქვს ამ ჩვენი ბიჭის პრეზიდენტობის ინსტიტუტს და სად დებს კვერცხს? ნაცებთან გენაცვალე, ნაცებთან...

მერაბიშვილზე შესტკივა ფილოსოფოსი გული... ფსევდო ლიბერალიზაციით, ფსევდო დემოკრატიით აღჭურვილს... მერაბიშვილის უფლებები ირღვევაო...

მართალია, ვერ გაიხსენა, რა მომენტში დაირღვა ვანოს უფლებები, თუ არ ვცდები, იყო იქ რაღაც, სხვა ოთახში გადაიყვანესო, თუ რაღაცო, მაგრამ, დაირღვაო...

ოთახი შეუცვალეს და მისი უფლებები დაირღვაოო? რას მეუბნებითო, ვინ გაუბედაო?

და იმ ადამიანებზე რას იტყვით, ვის უფლებებსაც მერაბიშვილი, ახალაია, საკაშვილი, უგულავა, ბოკერია და სხვანი არღვევდნენ? იმ ადამიანებზე რას იტყვით, რომლებიც მათ რეჟიმს შეეწირნენ? იმ ოჯახებს ვინ გასცემს პასუხს, ვისი შვილებიც ჩაცხრილეს? იმათი უფლებები არ დაირღვა? თქვენი საქმე რაღაც ისეა, „თავის დამკარგველი, თმას დასტიროდაო“, ან „მგელი დანარჩენს სტიროდა, პატრონი წანაღებსაო“...

ის მაინც არ გაგიგიათ, „ხალხი მირბოდეს - გაჰყევი, გაჩერდეს - გაჩერდიო“? ხალხს სულ არ აინტერესებს რომელ ოთახში იჯდება მერაბიშვილი, დაიცავს თუ არა უგულავა უგულავას ძვირადღირებულ დიეტას, აქვს თუ არა ბოკერიას სექსი...

ხალხს აინტერესებს რატომ ნერვიულობთ მერაბიშვილიზე ამდენს და რატომ აცხადებთ რომ არ შეგიძლიათ ნაცების რეჟიმზე სუაბარი? აკი, თქვით კიდეც, ვანოს მინისტრობის პერიოდზე ახლა რომ ვისაუბრო, ამით ისევ მის უფლებებს დავარღვევო... ანუ, საჯარო პირის გაკეთებულ ან გაუკეთებელ საქმეებზე საუბარიც პირადი ცხოვრებაა?

ხალხს ისიც აინტერესებს და ადარდებს, როგორ მოხდა, რომ ამ ოთხი წლის მანძილზე ერთხელაც არ გაგახსენდათ ნაცების რეჟიმის დროს უამრავი ადამიანის გათელილი უფლებები? რატომ არაფერს აკეთებს იმ ადამიანთა უფლებების დასაცავად, რომლებიც არც ცნობილები არიან, არც ნაცები, არც ყოფილი მინისტრები დიდი საბანკო ანგარიშებით... ისევ კონსტიტუცია არ მოიშველიოთ, დაანებეთ თავი ამ კონსტიტუციას, ნუ დაატარებთ აღმა-დაღმა... „ბრმა, თვალხილულს ატყუებდაო“ მეც გამიგია ეგ ანდაზა, მაგრამ მოატყუა რო? კეთილი და კარგი საქმის საკეთებლად, ყოველთვის მოიძებნება გზა... ხომ გაგიგიათ, „ძილს სასთუმალი არ უნდა, სიმშილსა შეჭამადიო“, ან, ხმალსა არ უშლის სიმოკლე, ფეხი წინ წასდგი - გასწვდება“-ო?

კონსტიტუცია და უფლებები, მხოლოდ ნაცების რეჟიმზე საუბარში გზღუდავთ, თორემ საკუთარ გუნდს, რომელმაც პრეზიდენტად დაგსვათ, აკრიტიკებთ ხშირად, მუშაობასაც უწუნებთ თბილი და მდიდრული რეზიდენციიდან და მას შემდეგ რაც სკამი გაინაღდეთ, თავს აღარც კი მოიაზრებთ ამ გუნდის წევრად...

არჩევნებს ვინ მოიგებს, ჩემთვის სულ ერთიაო, დეპუტატებად ვის წარადგენენ რა მნიშვნელობა აქვსო, „ოცნების“ სია არ მაინტერესებსო, სულ ერთია, როგორი სიით წარსდგებიანო... მე ლიბერალი ბიჭი ვარო, ამიტომ არც ერთი პარტიის მიმართ არ გამოვხატავს გრძნობებსო... მათ შორის, არც იმ პარტიის მიმართ, რომელთან ერთადაც საარჩევნო კამპანიას ვაწარმოებდი და რომელიც დამეხმარა, რომ არჩევნებში მომეგოო... მერე დაფიქრდა და... დამეხმარა რა, საარჩენო კამპანია დამიგეგმა, თორემ, მე ხმა მომცა ხალხმა და საზოგადოებამო... ასეა, „ცალთვალა ხარს, ორთვალა ხარის ნამუშევარი თავისი ეგონაო“...

ხალხმა და საზოგადოებამ ამირჩიაო? ვინ გიცნობდათ? ვის რაში სჭირდებოდით? რომ არა ბიძინა ივანიშვილი, ახლაც იქ იჯდებოდით, სადაც მანამდე ბრძანდებოდით, მაგრამ „ბაყაყი ხალიჩაზე დააბრძანეს, ისკუპა და ისევ გუბეში ჩახტაო“ ისე მოგდით...

საარჩევნო კამპანია დაგიგეგმეს, არჩევნებში ბიძინა ივანიშვილმა მისი წილი ხმები გაჩუქა, რეზიდენციაში დაგსვით და პრეზიდენტად რომ არ გაგეყვანეთ, დღემდე ცოლის მოყვანასაც ვერ მოახერხებდით თქვენი გამოცდილებითა და ფილოსოფიით... ზუსტად ასეთ, ცუდ და უმადურ ბიჭებზეა ნათქვამი: „მამამ შვილს ვენახი აჩუქა და შვილმა მტევანიც არ მიაწოდაო“; „ობოლსა ჰკითხეს - რომ გაიზრდები რას იზამო? - ვინც გამზარდა, დედას ვუტირებო“...

ჰოდა, ცდილობთ ახლა დედის ატირებას, მაგრამ ცუდი მოკავშირე აირჩიეთ... „რუსთავი 2“-მა როგორც არ უნდა გაგათეთროთ, თქვენ და თქვენი მეგობარი ნაცები, არა მგონია შავ ყორანს ფერი ეცვლებოდეს... „ბრმამ ბრმას უთხრა ჭიტაო“... ჰოდა, ხან თქვენ დაუძახეთ ჭიტა ბოკერიას, ხან ის დაგიძახებთ... ასე არჩევნებს ვერ მოიგებთ, რადგან „ცარიელი ტომარა ფეხზე ვერ დადგება“, მაგრამ გაერთობით მაინც...

როგორც ამბობთ, „რუსთავი 2“ თქვენი საყვარელი არხი ყოფილა, როგორც გამოტყდით, უსმენთ და უყურებთ თურმე ხშირად, როგორც წამოგცდათ, დემოკრატიასთან აიგივებთ, და იმუქრებით, მედიასთან ბრძოლაში ყველა პოლიტიკოსი წაგებულიაო... მაშინ სად იყო „რუსთავი 2“ ნაცები რომ ქვას ქვაზე არ სტოვებდნენ? თუ მაშინ იმ ტურას ჰგავდა, დაქცეულ ქვეყანაში რომ ქორწილსა და ღრეობას მართავს?

ახლა კი იმ ადამიანს ებრძვით, რომელმაც პრეზიდენტად დაგსვათ, ახლა იმ გუნდს უგორებთ ჭორებს, რომელმაც საარჩევნო კამპანიოა დაგიგეგმათ... აკი, არ ვსაუბრობ იმაზე, რაც ფაქტებით არ არის დასაბუთებულიო? მაშ, რატომ უსმენდით ინტერვიუს დროს ღიმილით წამყვანს, რომელიც ხან მოსამართლეებს ლანძღავდა და ამბობდა ყველა მოქრთამულიაო, ხან ივანიშვილს მოიხსენიებდა აუგად, ისევ და ისევ ფაქტების გარეშე? ანუ, ფაქტები ხან გჭირდებათ, ხან არა? ანუ, მიკერძოებული ხარ, ცუდო ბიჭო პრეზიდენტო?

ჩვენმა პრეზიდენტმა განაცხადა, მე არც იურისტი ვარო, არც მედია ექსპერტიო, არც ეკონომისტიო, არც პიროვნებებზე ვსაუბრობ და არც პარტიებზეო... სულ ერთია ვინ მოიგებს და სულ ერთია ვინ წააგებსო...

ერთი ამბავი გამახსენა ამ „სულ ერთია“ ბიჭმა: პლეხანოვზე ბებო იჯდა, გვერდით ორი კალათა ედო, ერთი ბალით სავსე, მეორე კი ალუჩით, ხან იძახდა: - იყიდეთ, ბებო ალუჩაო, ხანაც: - იყიდეთ ბებო ბალიო... და როცა ვერც ერთის მუშტარი ვერ იპოვნა, თავისთვის ჩაილაპარაკა: არცა გემჟავებათ, ნენა და არცა გეტკბილებათო?

ჰოდა, ბატონო პრეზიდენტო, ასე სულ ერთია თუა და თუ არცა გემჟავებათ და არცა გეტკბილებათ, რაღა ბოკერიასთან ერთად სადილობთ, რაღა მერაბიშვილის დამცველად გამოდიხართ, რაღა მხოლოდ „რუსთავი 2“-ს უყურებთ, რაღა ნაციონაალების რეჟიმზე საუბარს გიკრძალავთ კონსტუტიცია... ა, თუ გემჟავებთ და მალავთ, ჰა?

პრეზიდენტმა მიგვანიშნა, მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მინდა კენჭი ვიყაროო...



„ჯერ ძილი, მერე სიზმარიო“...

ან, თუ მიხვალთ საპრეზიდენტო არჩვენდებამდე მშვიდობიანად, თქვენთვის მშვიდობიანად, თორემ ჩვენთვის მშვიდობის მომტანი თქვენ არა ხართ ნამდვილად, მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში ხმას ნეტავი ვინ მოგცემთ, მაგაზე არ გიფიქრიათ? საარჩვენო კამპანიას ვინ დაგიგეგმავთ, ბოკერია? მოქალაქეების ხმებს ვინ მოგიპოვებთ სააკაშვილი ოდესიდან? მართლა ასეთი მიამიტი ბრძანდებით, ბატონო პრეზიდენტო? თუ მართლა გულუბრყვილოდ გჯერათ, რომ არჩევნები თქვენ მოიგეთ, მაშინ, კი ბატონო, სცადეთ, საკუთარი ძალებით, სცადეთ, ნაცების დახმარებით და შედეგს თავად ნახავთ... ამაზეა ნათქვამი: „ყრუს და ბრმას ცოლი მოუკვდა - როგორ გავაგებინოთ? - გვერდს რომ აღარ მოუწვება, მაშინ ხომ გაიგებსო“...

ოღონდ, როცა არჩევნებს წააგებთ, გეხვეწებით, არ დაიწყოთ მერე, „ჰაი, გიდი, ცხრა ნაბადზე ვხტებოდიო“...

თამუნა კუშელავა
555 46 08 04

# ოთარ აბესაძე:
# ვფიქრობ, „ქართული ოცნება“ გაძლიერდა ძალიან საინტერესო ახალი სახეებით და არაფერია იმაში ცუდი, თუ მათ დასავლური განათლება და ძალიან კარგი კონტაქტები აქვთ



„ქართული ოცნების“ ახალი სახეების წარდგენას საზოგადოებასა და პოლიტიკურ სპექტრში არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა. ზოგი მიიჩნევს, რომ მათ პოლიტიკური გამოცდილება აკლიათ, ზოგის აზრით კი ახალი სახეების დასავლური განათლების ნიშნით შერჩევა ქართული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს სწავლის ინტერესს და მოტივაციას დაუკარგავს.

„ოცნების“ ახალი გუნდის გამოცხადებით სულში ჩააფურთხეთ პირველ რიგში სტუდენტობას!!! მიდით, დახურეთ ჯავახიშვილი, ილიაუნი, ეროვნული უნივერსიტეტების კურსდამთავრებულები ხომ მხოლოდ ბარმენებად და დამლაგებლებად გდომებიათ!!!“ – ასე გამოეხმაურა თავისი ფეისბუკის გვერდიდან „ქართული ოცნების“ რიგებში დასავლური განათლების მქონე სახეების გამოჩენას პარტია „თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“ წევრი ლალი მოროშკინა.

არასათავრობო ორგანიზაცია „გაერთიანებული საზოგადოებას“ ხელმძღვანელი **ანი დარსალია:** დავიწყოთ იმით,



რომ რაღაც ორ-სამ თვიანი კურსები და სერტიფიკატები სრულფასოვან უცხოურ განათლებას არ ნიშნავს, მაგრამ ყველაზე მთავარი ისაა, რომ როდესაც ეროვნული საუნივერსიტეტო განათლების გაუმჯობესებისა და წახალისებისათვის თითქმის არაფერი კეთდება, საზღვარგარეთ მიღებული განათლების პრიორიტეტად გამოცხადება ქართველ სტუდენტებში პესიმიზმსა და უიმედობას დანერგავს. ისეთი განცდა მაქვს, თითქოს ვიღაც ცდილობს სტუდენტებს ჩაუკლას იმედი, რომ კარგი სწავლით წარმატების მიღწევა შესაძლებელია. ხელისუფლებამ ახალგაზრდებს პრიორიტეტად უცხოური განათლება დაგვისახა, მაგრამ რომელ უცხოურ განათლებაზეა ლაპარაკი, როცა ნიჭიერ ახალგაზრდებს წელიწადში 2250 ლარის გადახდაც უჭირთ? ჩვენს გარშემო უამრავი ნიჭიერი ახალგაზრდაა, რომელიც უცხოეთში განათლების მიღებას უსახსრობის გამო ვერ ახერხებს. რა გამოდის? თუ „კაი მამიკოს“ შვილი არ ვარ, „პატრონი“ არ მყავს, ბევრი ფული და უცხოეთში განათლების მიღების საშუალება არ მაქვს, ჩემთვის სამშობლოში ყველა კარი ჩარაზულია? ასეთი აზროვნებით მხოლოდ ნეპოტიზმისა და პროტექციონიზმის აყვავებამდე მივალთ. მე ვიცნობ უძლიერეს იურისტს, რომელმაც ჯავახიშვილის უნივერსიტეტი უმაღლესი ქულებით დაამთავრა და დღეს დაცვის სამსახურში 250 ლარიან ხელფასზე მუშაობს. თურმე, ჩვენი კურსდამთავრებულები დაცვის სამსახურებში უნდა მუშაობდნენ, ევროპაში მოსამსახურეებად და მიმტანებად უნდა მიდიოდნენ და ევროპიდან ჩამოსულები აქ პარლამენტარებად და მინისტრებად გვევლინებოდნენ.

ახალგაზრდული არასათავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელს პოზიციის გაზიარება თურქეთში განვითარებული მოვლენების შემდეგ, თურქეთის გენერალური კონსულის მიერ გაკეთებულ განცხადებაზეც ვთხოვეთ.

„საქართველოს უცხოური სასწავლებლების სიმრავლე კი არა, ქართული უნივერსიტეტების განვითარება და ხელისშეწყობა ჭირდება. ჩემი ორგანიზაციის ერთ-ერთი წევრი ძალიან ცნობილ თურქულ უნივერსიტეტში სწავლობს, რომელიც გიულენის სახელთან ასოცირდება, ამიტომ ზუსტად ვიცი, რომ იმ უნივერსიტეტის თურქი და ირანელი სტუდენტები ქრისტიანების მიმართ აგრესიულობით გამოირჩევიან. სანამ თურქეთში ცნობილი მოვლენები განვითარდებოდა, ძალიან ბევრი მითქმა-მოთქმა იყო იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში თურქული სასწავლებლები მასობრივად იხსნებოდა. თურქეთის კონსულმა ახლა თქვა, გიულენის სასწავლებლები რელიგიურ შუღლს აღვივებსო, მაგრამ აქამდე სად იყო? ეს ახალგაზრდები ხომ უკვე მოწამლულები არიან? არ შეიძლება ფულისა და ინვესტიციების გამო, ქვეყნის მომავალი გავწიროთ. არ შეიძლება, რომ ადამიანს, რომელიც ტერორისტული ორგანიზაციების დაფინანსებაშია შემჩნეული, ჩვენი გაღატაკებული მოსახლეობის ხარჯზე ფული ვაკეთებინოთ. ვფიქრობ, კერძო უმაღლესი სასწავლებლების ნაწილი დასახურია და საერთოდ, 74 უხარისხო უნივერსიტეტს 12 ხარისხიანი მირჩევნია.

„ქართული ოცნების“ ახალ სახეებთან დაკავშირებით ატეხილი აჟიოტაჟი უსაფუძვლოდ მიაჩნია განათლების მინისტრის მრჩეველს. ოთარ აბესაძის თქმით მმართველი გუნდი გაძლიერდა ძალიან საინტერესო ადამიანებით, რომელთა მიზანი ქართული განათლების ხელის შეწყობა და წახალისებაა. რაც შეეხება თურქეთის გენერალური კონსულის განცხადებაზე სახელმწიფოს რეაგირებას, გადაწყვეტილება ორი მეგობარი ქვეყნის სახელმწიფოს ლიდერების შეხვედრის შემდეგ იქნება მიღებული – განმარტა აბესაძემ.

**ოთარ აბესაძე:** ვფიქრობ, „ქართული ოცნება“ გაძლიერდა ძალიან საინტერესო ახალი სახეებით და არაფერია იმაში ცუდი, თუ მათ დასავლური განათლება და ძალიან კარგი კონტაქტები აქვთ. ეს ადამიანები პარტიაში მიღებული ახალი წევრები არიან და რატომ არ ველოდებით სრულ სურათს, რომელიც მალე დაიდება? მეც „ქართული ოცნების“ წევრი ვარ და ბაკალავრის, მაგისტრის და დოქტორის ხარისხი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოვიპოვე. ამასთან, 2 წელზე მეტია, თსუ-ში ლექციებს ვკითხულობ. მეც გავიარე რაღაც სპეცკურსები, მაგისტრატურისა და დოქტურანტურის ნაწილი საზღვარგარეთ, მაგრამ ჩემი მიზანი ქართული განათლების განვითარება და წახალისებაა. მე ასევე მოვისმინე მოსაზრებები, რომ ეს ადამიანები ახლები არიან და შეიძლება პოლიტიკური დებატები და ა.შ. გაუჭირდეთ. არამც და არამც, პირიქით. დებატი საკუთარი პოზიციის დაცვაა და კვალიფიციურ განათლებაზე დაფუძნებული პოზიცია ყველაზე სწორია. რაც შეეხება კონსულის განცხადებას, ეს არის ძალიან ფრთხილი და ფაქიზი საკითხი, რომელზეც სახელმწიფო სახელმწიფოსთან და სახელმწიფოს ხელმძღვანელი სახელმწიფოს ხელმძღვანელთან თანხმდება. შესაბამისად, საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებაც და თურქულიც იმ გადაწყვეტილებას გაატარებს, რომელსაც ორი მოკავშირე და პარტნიორი სახელმწიფოს ხელმძღვანელი მიიღებს. აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება აუცილებლად მიიღებს შესაბამის მითითებას, თუ რა სტრატეგიული შეთანხმება გაფორმდება ორ ქვეყანას შორის. ასე, რომ ეს არის წმინდა ტექნიკური საკითხია. როგორც შეთანხმდება ორი მეგობარი და მეზობელი ქვეყნის ლიდერი, ისე იქნება.



და ბოლოს, ქართული უმაღლესი განათლების სისტემაზე მოქილიკეებს შევახსენებთ, რომ ბირთვული კვლევების ევროპულ საბჭოში - „ცერნის“ ლაბორატორიაში, სადაც ათასობით მეცნიერი სამყაროს შექმნის საიდუმლოს ამოცნობას ცდილობს, ფიზიკის 100 მეცნიერი მუშაობს და აქედან 35 ქართველია. მათი ნაწილი საქართველოს მოქალაქეა, ნაწილი კი ლაბორატორიაში სხვადასხვა ქვეყნის სახელით მოღვაწეობს. მათ შორის, ერთ-ერთმა, მსოფლიოში ცნობილმა მეცნიერმა გია დვალმა 1985 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი და თბილისშივე მოიპოვა სადოქტორო ხარისხი მაღალი ენერგიის ფიზიკასა და კოსმოლოგიაში. თსუ კურსდამთავრებული ამჟამად არის ნიუ-იორკის უნივერსიტეტისა და ლუდვიგ მაქსიმილიანის მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორი თეორიულ ფიზიკაში, ასევე მაქს პლანკის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი. 2001 წელს მიიღო ნიუ-იორკის მერის მიერ დაწესებული ჯილდო განსაკუთრებული მიღწევებისთვის მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში. 2008 წელს კი ჰუმბოლტის პროფესურა.

**ნელი თორდია**
571 35 36 88



# „ნაციონალების“ „შავი“ მილიონები შავი საქმეებისთვის

## გამორიცხული არ არის, არჩევნების შემდეგ „ნაციონალებმა“ და მისმა სატელიტებმა ახლახან თურქეთში მომხდარი არეულობის მსგავსი თავსატეხი გაგვიჩინონ

### გვესაუბრება ადვოკატი და უფლებადამცველი გრიგოლ გაგნიძე

**— ბატონო გრიგოლ, არჩევნები ახლოვდება და, სულ უფრო ცხადი ხდება, რომ „ნაცმოძრაობა“ და მისი სატელიტი პარტიები უსახსრობას არ უჩივიან.**

— აშკარად და პირდაპირ, მაგალითად, მარტო „ნაცმოძრაობას“ დიდ თანხებს ვერ გადმოურიცხავენ. Eსაა ერთ-ერთი მიზეზი, რისთვისაც დაიქსაქსნენ სხვადასხვა პარტიებად, ეტყობა, ცალკეული პარტიებით უფრო მეტი დაფინანსება სურთ მიიღონ სამომავლოდაც. ნაციონალები ეცდებიან ამ არჩევნებზე რაც შეიძლება მეტი ხმა მოაგროვონ და ამისთვის თანხებს არ დაზოგავენ. მერე მოაწყობენ პროვოკაციებს და ამ პროვოკაციებსაც პიარით შეფუთავენ.

რამდენიმე თვის წინ ებრაულმა გამოცემა HAARETZ-მა გაავრცელა ინფორმაცია



— ე. წ. პანამის დოკუმენტი, მილიონერების შესახებ, რომლებსაც ოფშორებში აქვთ დარეგისტრირებული ქონება, თანხები და ორგანიზაციები. მათ შორის ყოფილი თავდაცვის მინისტრის კეზერაშვილიცაა ნახსენები, რომელიც ისრაელის კომპანიასთან კორუფციულ გარიგებაში არის მხილებული, სწორედ თავდაცვის მინისტრობის დროს.

საინტერესოა ის, რომ ამ დოკუმენტში არსებული 85 მილიონერი ქართველის სახელი და გვარია ჩამოთვლილი. ბევრს, ალბათ, ვერც წარმოედგინა, საქართველოში 85 მილიონერი თუ იყო. საქართველოში ამდენი მდიდარი ადამიანი თუ არის, ქვეყანას არ უნდა უჭირდეს, თუმცა რეალობა სულ სხვაა.

ამ სიაში გვხვდება „ნაცმოძრაობის“ პოლიტსაბჭოს წევრი, „რუსთავი-2“-ის ადვოკატი ზაზა ბიბილაშვილი და სხვა, ნაიონალებთან ასოცირებული პირები, ასევე ისინიც, რომელთაც სააკაშვილის ძმასთან დავით სააკაშვილთან ერთად ბიზნესიც ჰქონდათ. ამ სიაში ბევრი ისეთი ადამიანია, რომლებიც, შესაძლოა, ფარულად თანაუგრძნობდეს კიდევაც „ნაცმოძრაობას“ და საარჩევნოდ ფულიც კი გაიღონ არსებული ხელისუფლების და სახელმწიფოს წინააღმდეგ.

დანამდვილებით ვერავინ იტყვის, „ნაცმოძრაობას“ როდის ვინ რამდენს გადმოურიცხავს, ან გადმოურიცხავს თუ არა, საერთოდ, ვინმე, მაგრამ დღეს ჩვენს ქვეყანაში თანხების მიმოქცევა გაცილებით გამარტივებულია.

დღესდღეობით, როგორც გითხარით, ლიბერალური პოლიტიკა ხორციელდება, არ იდევნებიან ბიზნესმენები, არც ნაცების მიერ კონტროლირებული ბიზნესი არ იდევნება. შესაბამისად, შესანიშნავი ნიადაგია იმისთვის, რომ საქართველოში შემოვიდეს თანხა და ფინასურად გაძლიერდნენ, მათთან ასიცირებული არასამთავრობო ორგანიზაციებიც კი, რომლებსაც ხელისუფლება არ ან ვერ გააკონტროლებს.

ვვარდაუდობ, რომ არჩევნები 2016 წლის 8 ოქტომბერს არ დამთავრდება. ე. წ. ოპოზიციას, „ნაცმოძრაობის“ სახით და მათი სატელიტებს, ექსპერტების თქმით, უკვე დიდი ხანია ჩაფიქრებული აქვთ დესტაბილიზაცია. ამისთვის შესაბამისი პროცესების წამოწყებაა საჭირო და უკვე 9 ოქტომბრიდან, ჩემი აზრით, შეეცდებიან რესურსების მაქსიმალურად გამოყენებას, თუ დაინახავენ, რომ საზოგადოებაში მათდამი ნდობის რეიტინგი იმაზე დაბლაა, ვიდრე მათ თვითონ მიაჩნიათ. მაქსიმალურ პროვოკაციებს მოაწყობენ. კორცხელი მონაგონი იქნება. „რუსთავი-2“-ს კი ფარად და ბასტიონად გამოიყენებენ. ისინი ყველა ძალას გამოიყენებენ, ისეთებსაც კი, რომლებიც სახელისუფლო სტრუქტურებში ჰყავთ შენიღბულად შეგზავნილი.

არავის ვაშინებ, უბრალოდ, ვამბობ, რომ გასაკვირი არ იქნება, საქართველოს არაკეთილმოსურნეთა მიერ წაქეზებულმა ამ ავანტიურისტებმა — „ნაცმოძრაობის“ და მისი სატელიტების სახით, ახლახან თურქეთში მომხდარი არეულობის მსგავსი თავსატეხი გაგვიჩინონ.

„რუსთავი-2“-ის თემას დღის წესრიგიდან არ მოხსნიან და მოსალოდნელია, ბოლოს და ბოლოს, ეს საკითხი ხელისუფლების აქილევსის ქუსლადაც კი აქციონ.

**— ბატონო გრიგოლ, თქვენი აზრით, რჩეულიშვილები თავიანთი რესურსებით პოლიტიკურად ანგარიშგასაწევი ძალა იყო? მათი მხრიდან გაისმა განცხადებები — ჩვენი დაკავება პოლიტიკურად არის მოტივირებული, ჩვენ „ნაცმოძრაობას“ ვუჭერთ მხარს და არჩევნებშიც აქტიურ ჩართვას ვაპირებდითო.**

— რჩეულიშვილები „ნაცმოძრაობის“ სპონსორები იყვნენ და ახლა სურთ პოლიტიკური მანტია მოისხან. 2008 წელს მოსახლეობა მოატყუეს ხრუშჩოვკებს ავიღებთ და ახალ სახლებს აგიშენებთო. ამ საქმეში კონკრეტული პირი რუსუდან კერვალიშვილი იყო გარეული, მერე შეძვრა პარლამენტში და არც ეს დაპირება და არც სხვა აღარ შეუსრულებია.

მათ განაცხადეს, რომ 10 მლნ. თანხა აქვთ დახარჯული „ნაცმოძრაობის“ მმართველობისას. როგორც ჩანს, მიშასთვის მიჰქონდათ ფული. ვერ გეტყვით, ნებსით თუ უნებლიეთ, მაგრამ მათი სპონსორები რომ იყვნენ, ცნობილია. ახლა ითხოვენ იმ თანხას, რაც სააკაშვილს მისცეს ან წაართვა მიშამ. ერთ ინტერვიუში ისიც თქვეს — წინა ხელისუფლე-



ბას 10 მლნ მოვუგეთო, ანუ უკანონოდ მიითვისა ხელისუფლებამ მათი ფული და რადგან ახლანდელი ხელისუფლება წინას სამართალმემკვიდრეა, ვალდებულებას აკისრებს „ქართულ ოცნებას“ — მიშას შეაჭამა ფული და სახელმწიფოს სთხოვს.

თუ ასეა, პირდაპირ თქვას, რომ არეკეტებდათ და აყაჩაღებდათ სააკაშვილი და იმის მაგივრად, რომ მათ მიერ დაზარალებული ხალხი როგორმე დააკმაყოფილონ, ცინიკურად იქცევიან და ხალხის ნერვებზე თამაშობენ. სახლები რომ აქვთ აშენებული ვარძიის გამოქვაბულებივით და ვერ ყიდიან, შეუშვან იქ მათ მიერ უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობა, და არ ატყდებოდა აჟიოტაჟი.

რაც შეეხება თვით დაზარალებულებს — მათ შეეძლებათ უკვე კანონიერად, სამართლებრივად მოსთხოვონ პასუხი უკვე სამართლებრივად გამოაშკარავებულ თაღლითებს.

საპროცესოს გაუფორმებენ მათ თუ საპატიმრო სასჯელს მიუსჯიან, დაზარალებულებს ყველა შემთხვევაში აქვთ უფლება მოითხოვონ საკუთარი თანხა ან ქონება.

რჩეულიშვილების დაკავება იმის მანიშნებელია, რომ სახელმწიფო ზრუნავს თავის მოქალაქეებზე, იმ ადამიანებზე, რომლებიც არ უშინდებოდნენ და აქციებს აქციებზე მართავდნენ არა მხოლოდ წინა რეჟიმის უსამართლობის წინააღმდეგ, არამედ კონკრეტულად, რჩეულიშვილების სავარაუდო თაღლითური სქემის გამოსააშკარავებლად.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

# გიორგი რომანოვი:
# საქართველო მსოფლიო მართლმადიდებლობის ცენტრად უნდა იქცეს

## დიდი რუსეთი ქართველებმა შექმნეს... ახლა დროა რუსეთმა იზრუნოს დიდი საქართველოს ასაღორძინებლად

### ექსკლუზიური ინტერვიუ რუსეთის სამეფო სახლის წარმომადგენელთან, მთავარ გიორგი ვლადიმერის ძე რომანოვთან



გარკვეული ხნის წინათ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულმა საუბარმა ბატონ ბესო მიქავასთან, სადაც მოყვანილი იყო რუსეთის მეფის შთამომავლის, რუსეთის სამეფო სახლის მთავრის გიორგი ვლადიმერის ძე რომანოვის მოსაზრება ივერიის მართლმადიდებლობის ცენტრად გამოცხადებასთან დაკავშირებით, გაჩნდა უამრავი კითხვა, როგორც თავად გიორგი რომანოვის პიროვნების შესახებ, ასევე მისი იდეის არსის გარშემოც. ჩვენ კვლავ შევხვდით ბატონ ბესო მიქავას, რომელმაც თავად გიორგი რომანოვთან დაგვაკავშირა. გთავაზობთ საუბრის ჩანაწერს.

**— გიორგი ვლადიმერის ძევ, ამჟამად, როდესაც ჩვენი ქვეყნების პოლიტიკური ხელმძღვანელობა არ აწარმოებს აქტიურ დიალოგს, თქვენი ყურადღება საქართველოსადმი და მის მომავალზე ზრუნვა, არ ფიქრობთ, რომ მავანთ შეიძლება არაგულწრფელად მოეჩვენოს?**

**რით არის განპირობებული თქვენი ესოდენი ყურადღება ჩვენი ქვეყნისადმი?**

— თავიდანვე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ აქტიური პოლიტიკური დიალოგის არქონა ჩვენი ქვეყნების ხალხთა არჩევანი არაა, არამედ შედეგია საგანგებოდ მოწყობილი პროვოკაციისა, რომელიც მიმართულია ჩვენს ხალხთა და ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობის გასაწყვეტად.

ვფიქრობ, დადგა დრო, რათა საქართველოსა და რუსეთს შორის მეგობრული ურთიერთობა აღდგეს. ეს უაღრესად რთული საკითხია, მაგრამ მასზე პასუხის გაცემის ძიება აუცილებელია და უწინარესად, არა სახელმწიფოთაშორის კონტექსტში, არამედ გაცილებით ფართო ასპექტით.

რუსეთისა და საქართველოს პარტნიორულმა ურთიერთობებმა დადებითი გავლენა იქონია არა მარტო საქართველოს ისტორიაზე, არამედ — ხელი შეუწყო რუსეთის პროგრესულ განვითარებასაც.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ რუსეთის სამეფო კარი უმალ დაუმოყვრდა საქართველოს სამეფო საგვარეულოებს (საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძე ეკატერინე II-ის ნათლული იყო), ისინი სულიერად მეტად ახლო ადამიანები იყვნენ და ეკუთვნოდნენ ერთიან მართლმადიდებლურ კულტურულ ცივილიზაციას.

სამყაროს ქრისტიანული აღქმა განსაკუთრებულად აახლოებს ქართველ და რუს ხალხს.

ჩვენს ქვეყანათა შორის მეგობრული ურთიერთობის აღდგენა სწორედ წარუვალ მართლმადიდებლურ ფასეულობებს შეუძლია და არა ე. წ. „ევროპულ“, ან სხვა ფასეულობას, რომელთაც ესწრაფვიან ლიბერალები, როგორც რუსეთში, ასევე საქართველოში.

გავიმეორებ, 2008 წლის ტრაგიკულ მოვლენათა შემდეგ ორმხრივი ურთიერთობა უკანასკნელ ხნობამდე ემყარებოდა მხოლოდ „სახალხო დიპლომატიას“, ხოლო უკანასკნელი 2-3- წლის მანძილზე დაემატა ერთიანი ძალისხმევის მიმართვის აუცილებლობა მართლმადიდებლობის სიწმინდის შესანარჩუნებლად.

ვუბრუნდები 2008 წლის მოვლენებს და მინდა აღვნიშნო, რომ ეს არ არის მხოლოდ ტერიტორიული პრობლემა, არამედ, უწინარესად, სულიერი პრობლემაა, ეკლესიის პრობლემა, რამაც მოგვიყვანა გათიშულობამდე.

**კატეგორიული მომხრე ვარ იმ პოზიციისა, რომ ამ ტერიტორიათა მიკუთვნება საქართველოს საპატრიარქოსადმი შეუვალია და აუცილებლად აღდგენილი უნდა იქნას.**

**საქართველო დედა ღვთისმშობლის პირველი წილხვედრი ქვეყანაა და მისი დაყოფა-დანაწილება ყოვლად დაუშვებელია.**

დღეს არსებულ პრობლემათა გადაწყვეტა შეუძლებელია მართლმადიდებელი ეკლესიია ავტორიტეტის გარეშე.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ საერო დიპლომატიურ ურთიერთობათა შეწყვეტის მომენტშიც კი რუსეთისა და საქართველოს ეკლესიას არასოდეს გაუწყვეტია ურთიერთობა.

აქვე დავძენ, ჩემთვის ცნობილია საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავართა სამშვიდობო ძალისხმევა 8 აგვისტოს მოვლენებში.

ჩემმა მოსკოველმა მეგობარმა რეზომ, წმინდა დიდმოწამე გიორგის ტაძრის მრევლმა, მიამბო, რომ უკვე 17 აგვისტოს, მოსკოვში ჩამოსულმა ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოსმა გერასიმემ (შარაშენიძე) ქართულად მიმართა ტაძრად შეკრებილ ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს, რომლებიც ერთგვარ შიშსა და დაბნეულობას მოეცვა, რადგან არ იცოდნენ, საით გაქცეულიყვნენ, რა ელონათ. მაშინ მას წარმოუთქვამს თურმე მარტოოდენ ორი სიტყვა: „მოდით, მივუტევოთ...“ ყველა ტიროდა თურმე, როგორც ქალები, ასევე მამაკაცები. ეს ადამიანები დღემდე მეგობრობენ. ერთი ქართული ტაძრის მრევლს შეადგენენ და საერთო წმინდა ბარძიმიდან ეზიარებიან. აი, პრობლემათა გადაჭრის მორგებული გასაღები. ცხოვრება, სახარების შესაბამისად, უფლის მცნებათა აღსრულებით, ხოლო მცნება კი ყველა ჩვენგანს — ქართველს, რუსსა თუ აფხაზს — ერთი გვაქვს.

ვიმედოვნებ, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ბრძენ და ავტორიტეტულ იერარქთა თანადგომით შეძლებს ამ პრობლემათა გადაწყვეტას.

ჩემთვის ცნობილია საქართველოს სანუკვარი ხატი „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დიდება“, რომელზეც მუხლმოდრეკით და ხელაპყრობით გამოსახულნი არიან ის წმინდანები, რომელთა გმირობა თუ მოწამებრივი აღსასრული დაკავშირებულია ივერიაში მართლმადიდებლობის გავრცელების, განმტკიცებისა თუ მარტვილობის გვირგვინთან. ხოლო წმინდა ხატის შუაგულში ძელიცხოველს ვხედავთ — სვეტიცხოველს — გულს საქართველოისას, მის ზემოთ, ქრისტეს ფერხთით, ჰაერში მონარნარე ვარსკვლავებით გარემოცული სამეფო გვირგვინი ჩანს.

საქართველო და რუსეთი უფლის საკურთხევლის ერთიან კვარცხლბეკს წარმოადგენს.

მაგრამ ეს განწყობა მარტო მე როდი მახასიათებს. ყურადღება საქართველოსა და მის სიწმინდეთა მიმართ ოდინდელ წმინდა რუსეთს ყოველთვის ჰქონდა.

რუსეთის უახლეს ისტორიაში ამრიგად ჩაიწერა ორი სახელოვანი ფურცელი, რომელთაც ცხადყვეს ისტორიული სამართლიანობის აღდგენის ფაქტი.

1995 წლის 26 ოქტომბერს მოსკოვის კრემლის კვირიაკეს (ვოსკრესენსკის) კარიბჭესთან მდებარე ახლად აღდგენილ ივერიის ღვთისმშობლის სამლოცველოში ათონიდან ჩამოაბრძანეს ივერიის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის ახლადშესრულებული ასლი.

რევოლუციამდე კრემლის ივერიის ღვთისმშობლის სამლოცველოს „მოსკოვის ალისფერ ივერიის გულს“ უწოდებდნენ, რადგან ქალაქ მოსკოვის უმთავრესი საგანძურის დედაღვთისმშობლის ივერიის წმინდა ხატის მცველი იყო. ყველა, ვინც კი მოსკოვში ჩამოდიოდა, უწინარეს ყოვლისა, მიეშურებოდა, თაყვანი ეცა ივერიის ხატისთვის, რომელსაც მოსკოველები „დედილოს“ ეძახდნენ.

**პეტრე პირველის დროიდან მოყოლებული, საიმპერატორო საგვარეულოს ყოველი წევრი მოსკოვში ჩამოსვლისას, მათ შორის მეფედ კურთხევისას, ახალი ჩრდილოური დედაქალაქიდან მიემართებოდნენ, ამ სიწმინდეს რომ მთხვეოდნენ და აუცილებლად ემშვიდობებდნენ პეტერბურგში დაბრუნების წინ. ერთი**






**სიტყვით, გზა, როგორც კრემლისკენ, ასევე კრემლიდან, ივერიის კარიბჭის გავლით მიდიოდა.**

პირადად ჩემთვის, ივერიის ხატის სამლოცველოს კურთხევის დღესასწაული ძალზე სასიხარულო მოვლენად იქცა, რომელიც სამუდამოდ დარჩა ჩემს ხსოვნაში იმის დარად, როგორც კვირის თავზე, 1995 წლის 2 ნოემბერს, ჩემი საყვარელი სულიერი მამის სანქტ-პეტერბურგისა და ლადოგის მიტროპოლიტ იოანეს აღსასრული, რომელმაც პირველმა მომცა ლოცვა-კურთხევა ჩემს მომავალ მსახურებაზე.

იმავე დღეს უფალმა მიიბარა ქართული მიწის უდიდესი მოჭირნახულე – წმინდა ღირსი გაბრიელ ურგებაძე, რომელსაც ასევე ძალზე დიდ პატივს მივაგებ.

ბერი გაბრიელი ამბობდა, რომ მის ჯვარს სრულიად საქართველო და რუსეთის ნახევარი შეადგენს და მე დარწმუნებული ვარ, რომ ისინი ჩემს განსვენებულ სულიერ მამასთან ერთად ლოცულობენ ყველა ჩვენგანისათვის, ჩვენი ერების გადარჩენისათვის და, საერთოდ, ყველა მართლმადიდებლის კეთილდღეობისათვის.

**– ის, რაზეც თქვენ ახლა ყვებით, რუსეთში ივერიის ხატის შესახებ, ძალიან საინტერესოა, ვფიქრობ, ჩვენმა მკითხველმა, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობამ, ნაკლებად იცოდა ამის თაობაზე, რადგან, ტრადიციულად, ყოველთვის იმას ვამბობთ, რომ საქართველო და რუსეთი წმიდა ღირსი სერაფიმე საროველის მიერ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი.**

– სულიერი კავშირი საქართველოსა და რუსეთს შორის, ეს არის, უწინარესად, წმიდა ძაფი, გაჭიმული დედა ღვთისმშობლის პირველ და უკანასკნელ წილხვედრთა შორის. ეს ღვთისმშობლის ის წმიდა მიწაა, რომელზეც იღვწოდნენ ქართველი და რუსი წმინდანები მის სადიდებლად.

რასაკვირველია, წმიდა სერაფიმე საროველის სამლოცველო ღვაწლი, წმიდა მოციქულთა სწორი ნინოს დარად, უაღრესად დიდია.

მით უფრო, რომ ამ წმინდანთა შორის არსებობს უხილავი თუ ხილული სულიერი კავშირი. ძნელად თუ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ თანხვედრად ის ფაქტი, რომ წმიდა ღირსი სერაფიმე საროველის ცხოვრების დროს მოციქულთასწორი წმიდა ნინოს სასწაულმოქმედი ჯვარი ნოვგოროდის მიწაზე უფლისწულ ბაქარ ბატონიშვილის შვილიშვილის, საქართველოს დიდი მთავრის გიორგი ალექსანდრეს ძის მამულში იყო დაცული; სრული დამაჯერებლობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ უფლის დიდი რჩეული სერაფიმე არაერთხელ ყოფილა გიორგი ალექსანდრეს ძის მამულში და ულოცია კიდეც დიადი ქართული სიწმინდის – მოციქულთა სწორი წმინდა ნინოს სასწაულმოქმედი ჯვრის წინაშე.

**– გიორგი ვლადიმერის ძევ, მოგვიყევით მიზეზთა შესახებ, რომელთაც შთააგონეს გელაპარაკათ საქართველოს მომავალზე, როგორც მსოფლიო მართლმადიდებლობის ცენტრზე?**

– ეს ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც უცებ კი არ გაჩენილა, არამედ მწიფდებოდა საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე.

შევეცდები, ავხსნა.

უკანასკნელი 2-3 წლის განმავლობაში მსოფლიო მართლმადიდებლური საზოგადოებრიობა აქტიურად ბჭობდა ე. წ. საყოველთაო მართლმადიდებლური კრების საშხადისის გამო. თავად ეს თავყრილობა მოულოდნელი არ ყოფილა. იგი ნაწინასწარმეტყველევი იყო მრავალ წმიდა ბერთა მიერ, როგორც ის დამანგრეველი შედეგი მართლმადიდებლობისთვის მთელ მსოფლიოში, რომელიც წარმოიქმნება მისი გამართვის შემდეგ. ადამიანთა მოდგმის დაუძინებელმა მტერმა ყველაფერი ისე მზაკვრულად მოაწყო, რომ საეკლესიო ერთობის მრავალი ავტორიტეტული პირი თუ საზოგადო მოღვაწე, უკანასკნელ ხნობამდე იმაზე ბჭობდა – ეს „ის" მე-8 კრებაა თუ არა, ბოროტებაა ის, თუ პირიქით.





რაც შეეხება ჩვენს რუსულ სამეფო სახლს, ჩვენ ამის თაობაზე გაგვაჩნია ჩვენი მტკიცე პოზიცია, რომ ამ კრების გამართვის შემდეგ მართლმადიდებელი სამყარო სრულიად შეიცვლება.

ეს მოსაზრება ემყარება არათუ ვარაუდსა და წინასწარმეტყველებას, არამედ ჩვენს ხელთ არსებულ სხვა, 1976 წლის ასევე საიდუმლო-მოსამზადებელი კრების მასალებს, რომელიც წმიდა სერგის სავანეში გაიმართა რუსეთის პატრიარქი პიმენის დროს.

იმ კრებაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება, აღებულიყო გეზი ჩვენი რწმენის თანდათან გასაკათოლიკურებლად.

ის კრება ამ ორმოცი წლის წინ ასევე სწორედ სამების წმიდა დღესასწაულს დაამთხვიეს. ჩვენ ისიც ვიცით, რომ ამ ყოველივეს წინ მხოლოდ რამდენიმე ეპისკოპოსი აღუდგა, მათ შორის, ამჟამინდელი სრულიად საქართველოს უწმიდესი პატრიარქი ილია მეორე.

სწორედ მაშინ უნეტარესი დაადგა აღმსარებლობის გზას და მტკიცედ განაგრძობს მასზედ სვლას დღევანდელ დღემდე და ღიად და უშიშრად აცხადებს თავის პოზიციას.

დიდი რუსეთი ქართველებმაც შექმნეს... ახლა დროა, რუსეთმაც იზრუნოს დიდი საქართველოს ასაღორძინებლად.



**ირანდა კალანდაძე**
593 51 11 18

# მათ სურთ მთელი დედამიწის მოსახლეობა „ნემსზე შესვან“



## მსოფლიო ნარკომაფია და სიონისტური ორგანიზაციები ნარკოტიკული საშუალებებით მიზანმიმართულად ანადგურებენ ქვეყნებს და ხალხებს

**ინტერვიუ პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ დავით გაგნიძესთან.**

(გაგრძელება. დასაწყისი. იხ. „სგ“ N25/1)

ვაგრძელებთ ინტერვიუს პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკ დავით გაგნიძესთან, რომელიც უარყოფითად აფასებს მეტადონის პროგრამას, როგორც ნარკოდამოკიდებულებისგან განკურნების საშუალებას. რესპოდენტის განცხადებით, პაციენტი მერე მეტადონისგან ვეღარ დაიხსნის თავს, რომელიც სინთეტიკური ნარკოტიკია და გაცილებით ძვირიც ღირს.

**დავით გაგნიძე:** „სხვადასხვა წყაროები ამტკიცებენ, რომ ფაშისტური გერმანიის მეცნიერებმა, მეტადონი დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობის დასამონებლად შექმნეს. რუსეთის ყირიმში შესვლის შემდეგ, ადგილობრივმა ნარკომომხმარებლებმა უკრაინას შეაფარეს თავი, რუსეთში აკრძალულია მეტადონის პროგრამა, ყირიმელები კი მეტადონით „მკურნალობდნენ“. დასავლელ „პროგრესულად მოაზროვნე“ ნარკობანკირებს აშკარად სურთ პოსტსაბჭოთა სივრცეში შექმნილი სახელმწიფოების აბორიგენი მოსახლეობის გაჟლეტა, მათ მაგივრად ახალი ადამიანების შექმნა და ნაწილის უცხოეთიდან „იმპორტი“, ანალოგიური გეგმა ჰქონდათ ფაშისტებსაც. იგივეს ცდილობდა საქართველოში ავადმყოფი სააკაშვილი თავის ბანდასთან ერთად, გამორიცხავთ, რომ იგი ზუსტად ამ მიზნით არ „გადააპორტირეს“ თავის გუნდიანად უკრაინაში. ამჟამად მეტადონის წარმოების პატენტს, ამერიკული ფარმაცევტული გიგანტი „ელაი ლილი“ ფლობს და ცდილობს, რაც შეიძლება მეტი მოგება მიიღოს, სანამ მეტადონის პროგრამასაც ისე აკრძალავენ, როგორც თავის დროზე ჰეროინი და კოკაინი აკრძალეს. ამ უმსხვილესი ფარმაცევტული კომპანიის შტაბბინა აშშ-ის ქალაქ ინდიანაპოლისშია, რომელიც 1876 წელს პოლკოვნიკმა ელაი ლილიმ დაარსა. 2007 წელს კომპანიას 2,9 მილიარდი აშშ დოლარის მოგება ჰქონდა, ქარხნებში 40.600 ადამიანია დასაქმებული და წარმოებული პროდუქცია 143 ქვეყანაში იყიდება. მიმართულებებია: ენდოკრინოლოგია, ონკოლოგია, ფსიქიატრია, ნევროლოგია, კარდიოლოგია, უროლოგია.

ამ კომპანიამ დანერგა მსოფლიოში პირველად, წამლების კაფსულებში გამოშვება, ამერიკის ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომ (ცსს), 1953 წელს მასთან გააფორმა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც დიეტილამიდა ლიზერგინული მჟავა სწორედ ამ კომპანიას უნდა ეწარმოებინა. ხსენებული ხელშეკრულება ცსს-ს საიდუმლო პროგრამის ნაწილს წარმოადგენდა. შემდგომში ამ პროექტის მთელი ინფორმაცია განადგურებული იქნა, რის გამოც, 1975 წელს აშშ-ის კონგრესის სპეციალურმა კომისიამ ვერაფერს მიაღწია. გარდა ამისა, ხსენებულ კომპანიას არაერთი საეჭვო მოქმედების პრეპარატი აქვს წარმოებული, რომლის გამოც პასუხი აგო, თუმცა ზოგიერთი პრეპარატის საქმე მიაფუჩეჩეს.

მსოფლიოში ყველაზე „ელიტურ“ ნარკოტიკად კოკაინი ითვლება, კოკაინის ბუჩქი სამხრეთ ამერიკის ტროპიკულ ზონაში იზრდება და მისი მატონიზირებელი და ნარკოტიკული თვისებების გამო, ადგილობრივი მოსახლეობა კოკას ფოთლებს მრავალი წლის განმავლობაში ფართოდ მოიხმარდა. მე-19 საუკუნის შუა წლებიდან ეს ნარკოტიკი ევროპაშიც გავრცელდა, თავიდან მასაც სამედიცინო თვალსაზრისით იყენებდნენ ამერიკასა და ევროპაში, თუმცა მე-20 საუკუნის დასაწყისში, ამ სფეროდან განდევნილი იქნა სხვა უფრო სრულყოფილი პრეპარატების მიერ. კოკაინის გამოყენებაც მორფზე დამოკიდებულების მიზნით დაიწყეს. პირველად ეს მეთოდი ზიგმუნდ ფროიდის ინიციატივით განხორციელდა, იგი პაციენტებს მორფს უხსნიდა და კოკაინს უნიშნავდა, მაგრამ მალე თვითონაც კოკაინის აქტიური მომხმარებელი გახდა. კოკაინი ოპიატების (ოპიუმის შემცველი) შემდეგ ყველაზე პრობლემური ნარკოტიკია. სუფთა კოკაინის დაახლოებით 70%-ს ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის მოსახლეობა მოიხმარს, 22%-ს ევროპა, უმთავრესად კი დასავლეთ ევროპა. კოკაინს ჟარგონით უამრავი დასახელება აქვს; ჯანკოი, კოკსი, მარაფეტი, ქოქოსი, ძვირფასი, პირველი, თეთრი ცხენი და ა.შ. რაც შეეხება კრეკს, ეს კოკაინის იაფფასიანი, ძლიერმოქმედი სახეცვლილებაა, რომელიც დიდი კრისტალების სახით გვხვდება. 1978 წელს, სამხრეთ ამერიკაში ცდები ჩაატარეს, რათა შეესწავლათ, როგორ მოქმედებდა ადამიანზე კოკაინის პასტა „ბაზუკოს“ მოწევა, რადგან ამ პასტას ადგილობრივი მოსახლეობა ამ ფორმით აქტიურად იყენებდა. ამის შედეგად გაჩნდა ახალი კოკაინი, რომელსაც კრეკი დაარქვეს. კრეკის ძალა და მასზე დამოკიდებულად ქცევის ალბათობა უფრო მაღალია, ვიდრე კოკაინის. ჩამოთვლილის გარდა, კიდევ უამრავი ნარკოტიკია, რომლებიც, როგორც ბუნებრივი, ისე თანამედროვე ქიმიური მეთოდებით მიიღება, ბუნებრივია, ყველას ვერ განვიხილავთ, მით უმეტეს, რომ ზოგიერთი მტაცებელი ქვეყნის მიერ სისტემატურად იქმნება ახალ-ახალი ნარკოტიკები, რომელთა მომხმარებლისთვის მიწოდებაც, მყარადაა გარანტირებული. ძირითადად იმ „პოპულარულ“ ნარკოტიკებზე გესაუბრეთ, რომლებმაც დაღუპეს და დღესაც ღუპავენ, ადამიანების მხოლოდ გარკვეულ ჯგუფებს კი არა, მთელ სახელმწიფოებს. როგორც გითხარით, კაცობრიობა ნარკოტიკულ ნივთიერებებს უხსოვარი დროიდან იცნობს, მართალია, მათ ძირითადად სამედიცინო დანიშნულებით იყენებდნენ, მაგრამ იყო ხალხი, რომლებიც გართობის მიზნით ეძალებოდნენ ამ საწამლავს, იმ შეგრძნების მიღებას ცდილობდნენ, რომელიც ცხოვრებისეულ პრობლემებს დროებით მაინც დაავიწყებდა. ამ გრძნობას მოგვიანებით „ეიფორია“ დაარქვეს, ჩვენს დროში კი „კაიფი“ ჰქვია, ეს არაბული წარმოშობის სიტყვაა („კეიფ“) და სიამოვნებას, განცხრომას ნიშნავს. ნარკომანია ბერძნული სიტყვაა, ნარკოს გაშეშებას ნიშნავს, ხოლო ხოლო მანია – სიგიჟეს. ნარკომანია მკვეთრად გამოხატული, ავადმყოფური ლტოლვაა ნარკოტიკებისადმი, რომლებიც უპირატესად ცენტრალურ ნერვულ მოქმედებენ. ნარკოტიკი ანადგურებს ადამიანის ჯანმრთელობას, ანგრევს მის სასიცოცხლო ორგანოებს, აქვეითებს მეხსიერებას, იწვევს სქესობრივ უძლურებას, კანის გამოფიტვას, გახმობას, დანაოჭებას, თმის ცვენას. ნარკომანის დამახასიათებელი ნიშნებია – მძიმე ფსიქოზი, ნაადრევი დაძაბუნება, დაჩაჩანაკება, სისხლის მიმოქცევისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევა, თავის ტკივილი, გულის წასვლა, კოშმარული სიზმრები და ა.შ. ეს საშინელი სენი, ზიანს მარტო ნარკოტიკის მომხმარებელს კი არა, მისი ოჯახის წევრებსა და მთლიანად საზოგადოებას აყენებს, რადგან დამნაშავეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშემწყობია. ტყუილად არ ამბობენ, რომ ნარკოდამოკიდებული ადამიანი, პოტენციური დამნაშავეა, რადგან ნარკოტიკის საშოვნელად, ე.წ. ლომკა რომ მოიხსნას, ყველაფერზეა წამსვლელი.




**– ბატონო დავით, როგორც ამბობთ, ნარკოტიკულ ნივთიერებებს ანტიკური ხანიდან იყენებდნენ. რომელი ქვეყნები იყვნენ ასე ვთქვათ, პიონერები?**

– ჩინეთში ოპიუმის სამედიცინო თვალსაზრისით გამოყენება, ძველი წელთაღრიცხვით მე-8 საუკუნეში დაიწყეს, საბერძნეთსა და რომში კი მე-5 საუკუნიდან გამოიყენებოდა, თუმცა ექიმები იმ დასკნამდე მივიდნენ, რომ ოპიუმის დიდი დოზით გამოყენება, სიკვდილს იწვევდა. ოპიუმის ყაყაჩოს მოყვანის შესახებ ცნობები, დაახლოებით 3400 წლის ისტორიას ითვლის. მესოპოტამიაში (დღევანდელი ერაყი), შუმერულ ქალაქ ნიპურიში აღმოჩენილი იქნა პატარა დაფები, სადაც ნაჩვენები იყო, დილაობით ოპიუმის ყაყაჩოს წვენის შეგროვებისა და შემდეგ მისგან ოპიუმის დამზადების პროცესი შემდგომში ამ ყაყაჩოს მოყვანა ასირიელების, ბაბილონელების, ეგვიპტელების მიერაც ხდებოდა და მას მხოლოთ სამედიცინო თვალსაზრისით იყენებდნენ. გაცილებით გვიან, ამყაყაჩოს მოყვანა კვიპროსზეც დაიწყეს. ოპიუმის, როგორც



თრობის საშუალებად გამოყენება, ჩვენი წელთაღრიცხვით მე-6 საუკუნეში არაბებმა დაიწყეს და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნარკომანიის პრობლემაც სწორედ ამ პერიოდიდან იწყება. ოპიუმი ფართოდ მოედო, როგორც არაბულ ქვეყნებს, ისე სპარსეთსა და თურქეთს, სპარსელები მას „თერიაკს“ უწოდებდნენ, საქართველოშიც ამ სიტყვიდან წამოვიდა ოპიუმის სახელი ოდნავი ცვლილებით და „თრიაქი“ შეარქვეს. მე-15 საუკუნეში, ოპიუმს



არასამედიცინო დანიშნულებით ფართოდ იყენებდნენ ჩრდილოეთ ინდოეთშიც, ანუ დიდი მოგოლების იმპერიის დროს. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ოპიუმით ფართო ვაჭრობა, რასაც ინდოელი და არაბი ვაჭრები ახორციელებდნენ და მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში, ამ ვაჭრობას უკვე დიდი შემოსავლები მოჰქონდა ხსენებული იმპერიისთვის. მართალია, ოპიუმის ყაყაჩოს მთელს ქვეყანაში აწარმოებდნენ, მაგრამ ყველაზე დიდი კონცენტრაცია ინდოეთის ორ რეგიონში ხდებოდა, აღმოსავლეთით მდინარე განგის შესართავთან, კალკუტის რეგიონში „ბენგალური ოპიუმი“ და დასავლეთით, ბომბეის ჩრდილოეთში „მალვიური ოპიუმი“. ჩინეთსა და ინდოეთში ოპიუმს ლითონის ჩიბუხებით ეწეოდნენ, თურქები, სპარსელები და არაბები კი, ჭამდნენ ან ღეჭავდნენ აბების სახით. აბი არაბული წარმოშობის სიტყვაა, ჰაბბ თესლს, მარცვალს ნიშნავს. ჰეროდოტეს ცნობით, სკვითები კანაფის თესლს ეტანებოდნენ, ეს ნარკოტიკი აფრიკაშიც მიღებული იყო. სხვათა შორის, ამ პერიოდში უკვე არსებობდა სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალება, მაგალითად, პრერიის ინდიელები კაქტუსისგან მეტად საშიშ ნარკოტიკს ამზადებდნენ, პერუსა და მექსიკაში სიმინდის ალაოსგან დამზადებულ ლუდის მსგავს სასმელს „ჩიჩას“ ნარკოტიკის შემცველ ბალახს უმატებდნენ, მიღებულ სითხეს „სორას“ უწოდებდნენ, რომლის მიღება მეომრებსა და წარჩინებულ ადამიანებს შეეძლოთ. პერუში ცნობილი იყო ნარკოტიკული სასმელი „ტონიკაც“, თუმცა ყველაზე გავრცელებული მაინც კოკა იყო და პერუელებს კოკას მღეჭველებსაც კი უწოდებდნენ. მექსიკელი ქურუმები ოლოლიუკის თესლს იყენებდნენ, მდინარე ამაზონზე მცხოვრები ომაგავას ტომი მცენარის ფხვნილ „კურუპას“ მოიხმარდა, რომელსაც ლერწმის ღეროს საშუალებით შეისუნთქავდნენ, ნარკოტიკის მიღების ამ ფორმის შესახებ ქრისტეფორე კოლუმბიც საუბრობდა, ამ ფხვნილს „კოგობს“ უწოდებდნენ. ახალი გვინეის აბორიგენი მოსახლეობა შხამა სოკო ნანდის იყენებდა, ამ სოკოზე დაყენებული სასმელით კამჩატკელებიც იწამლავდნენ თავს. ინდიელი ზუნები, ჯემსტაუნის თესლისგან დამზადებულ ნარკოტიკს ეწეოდნენ, ინდუსებში აღმგზნები საშუალება „სომი“ იყო გავრცელებული, სპარსელებში „ჰაომი“, ძველი თურქები ნარკოტიკს ეწეოდნენ კიდეც, მუსლიმები ოპიუმს კანფეტების სახითაც იღებდნენ, რასაც „მაშ ალაჰს“, ღვთის წყალობას ეძახდნენ. შუა აზიის ქვეყნებში ოპიუმს, როგორც აღმგზნებ საშუალებას, ცხენებსაც კი აძლევდნენ. დასავლეთ ჩინეთში „თრიაქი“ ფულის მაგივრადაც კი იხმარებოდა. ევროპელების მიერ ოპიუმით ვაჭრობის შესახებ ცნობები 1513 წლიდან არსებობს, რაც პორტუგალიელ მეზღვაურს ეკუთვნის, პორტუგალიელებს იმ პერიოდში „მალვიური ოპიუმის“ ექსპორტი დაუწყიათ ინთოეთიდან ჩინეთში. ცოტა მოგვიანებით, ესპანელები ოპიუმს თამბაქოში ურევდნენ და ისე ეწეოდნენ, მანამდე ამ ნარკოტიკს ჭამდნენ. ოპიუმის მოწევა უფრო აზიაში განვითარდა. ოპიუმის რაოდენობრივად აღრიცხვა 1640 წლიდან ჰოლანდიელებმა დაიწყეს, ისინი ინდოეთში შესყიდულ „ბენგალურ ოპიუმს“ კუნძულ იავაზე ყიდდნენ, რასაც დიდი შემოსავალი მოჰქონდა, ამიტომაც ყოველწლიურად იზრდებოდა ამ ნარკოტიკის გადაზიდვის მოცულობა, 1660 წელს თუ 0,6 ტონა გაიტანეს, 1685 წელს 72,2 ტ, ხოლო 1699 წელს 87 ტონის ოპიუმის ყაყაჩოს მოსავლის ტრანსპორტირება მოხდა. ბრიტანელებმა „ბენგალური ოპიუმის“ შესყიდვა და ჩინეთში რეალიზაცია 1720 წელს დაიწყეს, ამ წელს 15 ტონა გაიტანეს, 1773 წელს კი 75 ტონის ექსპორტს ახდენდნენ. ოპიუმზე მოთხოვნის გაზრდამ, ინდოეთში მისი წარმოების გაზრდა გამოიწვია, იმ პერიოდში მონოპოლია ინდოეთის ქალაქ პატნას ვაჭრებს ჰქონდათ აღებული. 1773 წელს ბრიტანელმა გენერალ-გუბერნატორმა „ბენგალური ოპიუმით“ ვაჭრობის სინდიკატი გაანადგურა და სამხრეთ ინდოეთის კომპანიის მონოპოლია ჩამოაყალიბა. მას შემდეგ, მთელი 130 წლის განმავლობაში ბრიტანეთი აქტიურად ვაჭრობდა ინდური ოპიუმით ჩინეთში, ხსენებული კომპანია თითქმის 1820 წლამდე სარეალიზაციო ფასებს ზრდიდა, ამის გამო წლიურად 270 ტონაზე მეტი არ შეჰქონდა ეს „საქონელი“ ჩინეთში, რამაც კომპანიისთვის „უარყოფითი“ შედეგი გამოიწვია, დამოუკიდებელმა ამერიკელმა გემის კაპიტნებმა ჩინეთში თურქული ოპიუმის ყაყაჩოს იმპორტრეალიზაცია დაიწყეს, იგივე „ბიზნესს“ ეწეოდნენ დამოუკიდებელი ბრიტანელი კაპიტნებიც, ოღონდ „მალვიური ოპიუმით“. 1805 წელს ამერიკელმა „ნარკობიზნესმენებმა“ თურქეთიდან 7 ტონა ოპიუმის ექსპორტი განახორციელეს, 1830 წელს კი რაოდენობა 100 ტონამდე გაიზარდა. ინდოეთიდან ჩინეთში „ექსპორტირებული“ ოპიუმის რაოდენობა 1820 წელს 270 ტონას შეადგენდა, 1839 წელს – 2558 ტ, 1858 წელს - 4810 ტ, 1879 წელს - 6700 ტ, 1905 წელს - 3368 ტ, 1913 წელს ეს „ექსპორტი“ შეწყდა. 1830 წელს ბრიტანულმა ბრიტანულმა კომპანიამ ამერიკელებს უფლება მისცა, რომ ინდური ოპიუმით ევაჭრათ ჩინეთში, ამის შემდეგ ამერიკელებს თურქეთიდან „ექსპორტი“ აღარ განუხორციელებიათ.

საუკუნეთა განმავლობაში, ნარკოტიკები ავანტიურისტთა გამდიდრების წყაროდ იქცა, „აღებ-მიცემობას“ ძირითადად ინგლისელები ეწოდნენ, მარტო 1890-91 წლებში „ვესტ-ინდოეთის“ კომპანიამ, დაახლოებით 75 მილიონის შემოსავალი მიიღო. სწორედ ოპიუმი გახდა ინგლისსა და ჩინეთს შორის გაჩაღებული პირველი (1840-42 წლები) და მეორე (1856-60 წწ) ომის საბაბი. პირველი ომი მას შემდეგ დაიწყო, რაც 1839 წელს ჩინეთის მთავრობის წარმომადგენელმა ლინ ძესიუმ ოპიუმის დიდი მარაგი გაანადგურა. ჩინელები ხედავდნენ, რომ თავისუფალი ვაჭრობის ეგიდით მოქმედი ბრიტანელები, ძირითადად ოპიუმით ვაჭრობდნენ და ქვეყნიდან მთელი სიმდიდრე გაჰქონდათ. ამიტომ მეორე ომის წაგების შემდეგ თვითონ დაიწყეს ოპიუმის წარმოება, რასაც ძირითადად ორ პროვინციაში, სი ჩუ ანსა და იუნანში ახდენდნენ, ამით მნიშვნელოვნად შეავიწროვეს ინდური ოპიუმი. აქვე შემოგთავაზებთ ამ წარმოების სტატისტიკას: 1839 წ. – 720 ტონა მოსავალი, 1879 წ. – 6.500 ტ, 1881 წ – 13.525 ტ, 1906 წ. – 35.370 ტ. მე-20 საუკუნის დასაწყისში, ჩინეთის 450 მილიონიანი მოსახლეობიდან, 25 მილიონი ნარკომანი იყო. ოპიუმი ევროპაში სამედიცინო თვალსაზრისით, მე-16 საუკუნეში შევიდა, მაგრამ ქრისტიანობამ არ მიიღო, საშინელ ცოდვად აღიარა. 1840 წლიდან თურქული ოპიუმის შეტანა აშშ-იც დაიწყეს და „ექსპორტი“ ყოველწლიურად მატულობდა, 1840 წელს თუ 8 ტონა „ნედლი მასალა“ შეიტანეს, 1858 წელს ამ ციფრმა 62,7 ტ-ს მიაღწია. მე-19 საუკუნეში ოპიუმმა ევროპასა და ამერიკაში მყარად მოიკიდა ფეხი, დიდი ხნის განმავლობაში არ კრძალავდნენ, პირიქით, თავისუფლად ავრცელებდნენ და წარმატებით ვაჭრობდნენ, რადგან ყაყაჩოს მოყვანა-რეალიზაცია ძალიან სარფიან „საქმეს“ წარმოადგენდა. ინგლისში 1840 წლიდან დაიწყეს ოპიუმის მოწევა, 1852 წლიდან მათ ისლანდიელები, ფრანგები და დანარჩენი ევროპელები შეუერთდნენ.

**- საქართველოში რა დამოკიდებულება ჰქონდათ ამ მძიმე სენის მიმართ?**

- ქართულმა მოწინავე საზოგადოებამ იმთავითვე ომი გამოუცხადა ნარკომანიას, რის შესახებ აღშფოთებით წერდა იმ დრონდელი ქართული პრესაც, გაზეთ „ივერიის“ 1892 წლის 19 მარტის ნომერში ვკითხულობთ - „თრიაქს მიჩვეული ყველა ავადმყოფია, გამხდარი და მილეული. ამისთანა კაცი, თუ თრიაქი შემოაკლდა, თავს გასწირავს, ავაზაკობასაც კი ჩაიდენს, ოღონდ თრიაქი ვიშოვნო როგორმეო. საშინელია თრიაქით მოწამლული კაცი“. მართალია, მე-19 საუკუნეში უცხოელმა მონოპოლისტებმა სცადეს, ხელში ჩაეგდოთ საკართველოში მიწები და ოპიუმის ყაყაჩოს წარმოება გაეშალათ, მაგრამ ეს ბოროტი განზრახვა ვერ განახორციელეს. 1875 წელს „სასოფლო გაზეთი“ აღშფოთებით წერდა, „სურამთან, ვეზირიშვილების მამული, ვიღაცა უცხოელ კაცებს აუღიათ ბანგის დასათესათა და მოსაყვანათ. ყველა განათლებულ ქვეყნებში ბანგი საწამლავათ მიაჩნიათ და ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ჩვენში შემოვიდეს. ბანგს თამბაქოსავით სწევენ. კაცს ათრობს და ისე ხდის, როგორც კაი დამთვრალი კაცი. ბანგნაჩვევი კაცი უდროოდ სუსტდება, ღონე ერთმევა და არაფრის საქმის გაკეთება აღარ შეუძლია და ვეღარ გადაეჩვევა“. ისტორიულად, საქართველოში ოპიუმი ადრეული პერიოდიდანაა ცნობილი, მაგრამ მუდმივად თვითგადარჩენის რეჟიმში მცხოვრებ ერს, ამის დრო და საშუალება არ ჰქონდა, ცალკეული პიროვნებები ჩვენთანაც რეგულარულად მოიხმარდნენ თრიაქს, მაგრამ ისინი მაინც ერთეულები იყვნენ. მოგვიანებით, ოპიუმი დიდ პოლიტიკაშიც ჩაერთო და ქვეყნებს შორის ომიც კი გამოიწვია, მაგრამ იმ სახით, როგორიც დღეს არის, ყველა საზღვარს სცილდება. როგორც გითხარით, ოპიუმით ვაჭრობაში ბრიტანეთს



ეკავა „მოწინავე“ ადგილი, ცოტა მოგვიანებით, აშშ-იც წამოეწია, ერთი პერიოდი საფრანგეთიც იყო გარეული ამ „ბიზნესში“. მოგვიანებით, რასაკვირველია, სიონისტების მეცადინეობით, ისრაელიც დაემატა „ნარკობიზნესმენებს“. სადაც დიდი ფული და მოგებაა, გამორიცხულია, სიონისტები იქ არ იყვნენ. ამ ყველაფრის შემხედვარე, ძნელია სტალინს არ დაეთანხმო, რომელიც ამბობდა, ჩვენ ებრაელებს კი არა, სიონისტებს ვებრძვითო. ოპიუმის წარმოების შესახებ სისტემატური მიმოხილვა, პირველად 1907 წელს გამოვიდა და შემდეგი მონაცემები დაფიქსირდა: ჩინეთი 35.364 ტონა; სამხრეთ-დასავლთ აზია (თურქეთი, ინდოეთი, ირანი, ავღანეთი) – 6.258 ტ; სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია – 2 ტონა. 1914 წელს, თურქეთმა ოფიციალურად უთხრა უარი, სამედიცინო საჭიროებისთვის ოპიუმის მიყიდვაზე ანტანტის ქვეყნებს. მეფის რუსეთი იძულებული გახდა, კერძო სტრუქტურებისთვის აკრძალვა მოეხსნა გერმანულ მორფზე, ხოლო ოპიუმის წარმოებაზე შორეულ აღმოსავლეთსა და თურქესტანში.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

**(გაგრძელება იქნება)**

# პოლიტიკური მიწისძვრა თურქეთში

**ბოლო ინფორმაციით, თურქეთში 600-ზე მეტი სასწავლო დაწესებულება დახურეს. მათგან უმრავლესობა კერძოა. განათლების დარგის დაახლოებით 20 ათას თანამშრომელს, რომლებიც ეჭვმიტანილი არიან ფეთჰულაჰ გიულენის ფონდთან ურთიერთობაში, თანამდებობა დაატოვებინეს. თურქეთის უმაღლესი სასწავლებლების ლექტორებს აუკრძალეს საზღვარგარეთ გასვლა.**



ხელისუფლებამ შეზღუდა სახელმწიფო მოხელეთა უცხოეთში წასვლაც. პუტჩის ჩაშლისთანავე, ანკარის სასამართლოს გადაწყვეტილებით დააპატიმრეს სამხედრო-საჰაერო ძალების გენერლები – ასამდე მეთაური. პუტჩის გარდა, მათ ბრალად ედებათ პრეზიდენტ რეჯეპ ტაიპ ერდოღანის სიცოცხლის ხელყოფის მცდელობა, აგრეთვე ხალხის განზრახ მკვლელობა... დააპატიმრეს სტამბოლის სიახლოვეს მდებარე სამხედრო-საჰაერო ძალების აკადემიიის არაერთი თანამშრომელი, რომლებიც ეჭვმიტანილი არიან გადატრიალებაში. თანამდებობა დაატოვებინეს 2700-ზე მეტ მოსამართლეს, მუშაობის უფლება შეუჩერეს 9000 პოლიციელს. თანამდებობები დაატოვებინეს აგრეთვე იუსტიციის სამინისტროს 300-მდე თანამშრომელს, ოჯახისა და სოციალური პოლიტიკის 400-მდე მუშაკს. უფრო ადრინდელი ცნობებით, გადააყენეს ყველა სამხედრო პროკურორი და მოსამართლე. ყველას ამოწმებენ, ჰქონდათ თუ არა კავშირი სამხედრო გადატრიალებასთან. პუტჩში მონაწილეობის ბრალდებით დაპატიმრებულთა რაოდენობა 10 ათასს აჭარბებს.

15 ივლისს, საღამოს სამხედროების ჯგუფმა სცადა ძალაუფლების ხელში ჩაგდება – ანკარისა და სტამბოლის ქუჩებში ისმოდა სროლა, აფეთქებების ხმა, გაჩნდა მძიმე ტექნიკა... ამბოხი ჩაახშეს. დაღუპულია 300-ზე მეტი ადამიანი...

შაბათ დილას ამერიკელებმა და ევროპელებმა ოფიციალურად დაგმეს პუტჩი და მხარი დაუჭირეს ერდოღანს, მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოების არც ერთ მეთაურს არ დაურეკავს თურქეთის პრეზიდენტისთვის. დაძაბულობამ მალევე იჩინა თავი:

ჯერ ერდოღანის განცხადების შემდეგ, რომლითაც მან ბრალი დასდო პენსილვანიაში მცხოვრებ ყოფილ სასულიერო პირს ფეთჰულაჰ გიულენს გადატრიალების მოწყობაში და ამერიკას და პირადად პრეზიდენტ ობამას მისი თურქეთში ექსტრადიცია მოსთხოვა: „თუ ჩვენ სტრატეგიულ პარტნიორებად ვრჩებით, ჩვენი თხოვნა უნდა შეასრულოთ“. თავის მხრივ, ერდოღანისა და მისი პარტიის მხარდამჭერმა მასმედიის საშუალებებმა მინიშნებები გააკეთეს იმის შესახებ, რომ გადატრიალების სულისჩამდგმელები არიან ამერიკა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო – ეს საკმაოდ გავრცელებული მოსაზრებაა თურქეთში, სადაც ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის ყველაზე ძლიერია ანტიამერიკული განწყობილებები.

„საჯარო ინსინუაციები ან მტკიცება იმისა, თითქოს ამერიკამ თავისი როლი შეასრულა ამ წარუმატებელ გადატრიალებაში, უსაფუძვლოა და ვნებს ორმხრივ ურთიერთობას“ – ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში და იმეორებს იმავე განცხადების სულისკვეთებას, რაც ჯონ კერიმ თავის თურქ კოლეგას გადასცა. უფრო მკაცრი იყო კერის განცხადება შაბათის პრესკონფერენციაზე:

„ერდოღანს სურს, გადატრიალების მცდელობა გამოიყენოს ქვეყნის შიგნით თუ გარეთ თავის მტრებთან ანგარიშსწორებისთვის. როგორც ყოველთვის, თურქეთის ხელისუფლებას ვთავაზობთ, წარმოადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც ყურადღებას იმსახურებს“.

„ამერიკაში დოკუმენტების ოთხი პაკეტი გავგზავნეთ მთავარი ტერორისტის ექსტრადირებისთვის. ამერიკას გიულენის დანაშაულის შესახებ იმდენ მტკიცებულებას წარვუდგენთ, რამდენსაც მოითხოვენ“, – განაცხადა თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ბინალი ილდირიმმა პარლამენტში გამოსვლისას.

* * *

ანკარამ ოფიციალური მოთხოვნა გაუგზავნა ამერიკას, გადასცეს შტატებში მცხოვრები ისლამი მოძღვარი ფეთჰულაჰ გიულენი. ეს არ არის ერდოღანის პირველი მცდელობა, გაანეიტრალოს თავისი მთავარი პოლიტიკური მოწინააღმდეგე, მაგრამ ყველა ადრინდელი ცდა უშედეგო აღმოჩნდა. დათანხმდება კი ამერიკა, თურქეთს გადასცეს მსოფლიოს ერთ-ერთი გავლენიანი მოაზროვნე? საიდან იღებს სათავეს სიძულვილი ერდოღანსა და გიულენს შორის?

თურქეთის სასამართლომ ადრე სამჯერ გასცა ფეთჰულაჰ გიულენის დაპატიმრების ორდერი. 2006 წელს გიულენის წინააღმდეგ საქმე მტკიცებულებითი ბაზის არარსებობის გამო დაიხურა. 2013 წელს თურქეთის პროკურატურა შეეცადა, გიულენი ინტერპოლის ძებნილთა სიაში შეეყვანათ, მაგრამ უარი მიიღო.

ერდოღანმა სამხედრო გადატრიალების ჩაშლისთანავე ულტიმატუმის ენით მოსთხოვა ამერიკას გიულენის გადაცემა, უარის შემთხვევაში „ეს ორი ქვეყნის ურთიერთობაზე აისახებაო“, – განაცხადა მან არაორაზროვნად.

გიულენმა მაშინვე უპასუხა ბრალდებებს:

„მე ყველაზე სასტიკად ვგმობ თურქეთში სამხედრო გადატრიალების მცდელობას. მთავრობა უნდა იცვლებოდეს არა ძალის, არამედ პატიოსანი და თავისუფალი არჩევნების მეშვეობით. მე ვლოცულობ თურქეთისთვის, თურქი ხალხისთვის, ყველასთვის, ვინც თურქეთშია. ჩემთვის შეურაცხმყოფელია ნებისმიერი მცდელობა, ჩემი სახელი ძალადობრივი გზით ძალაუფლების ხელში ჩაგდების მცდელობას დაუკავშირონ...“

ფეთჰულაჰ გიულენი არის ეგრეთ წოდებული ინტელექტუალური, არაპოლიტიკური ისლამის წარმომადგენელი, რომელსაც მსოფლიოს ყველაზე გავლენიან მოაზროვნეთა რიცხვს მიაკუთვნებენ. იმამი გიულენი „წმინდა წერილის“ ხალხს – ქრისტიანებსა და იუდეველებს ეროვნებათშორისი და კონფესიათაშორისი დიალოგისკენ მოუწოდებდა...

დაიბადა 1941 წელს, თავს გადახდა უამრავი რამ: 1971 წელს მოხვდა ციხეში, მერე სამხედროები დევნიდნენ. პენსილვანიაში სამკურნალოდ გაემგზავრა – 20 წელია ჯანმრთელობა სერიოზულად შეერყა. ამერიკაში მიიღო გადაწყვეტილება, აღარ დაბრუნებულიყო სამშობლოში. არ ურთიერთობს პრესასთან. გამონაკლისი იყო 2014 წლის ინტერვიუ BBჩ-სთან. კორესპონდენტმა ის დაახასიათა, როგორც ფიზიკურად სუსტი, დაღლილი და ავადმყოფი. „ხანდახან ძლივს იღიმოდა, ყოველი პასუხის შემდეგ თვალებს ხუჭავდა და სახეზე აღბეჭდებოდა არა სიმშვიდე, არამედ ტკივილი“, – წერდა კორესპონენტი მასთან ინტერვიუს შემდეგ და თავდაჯერებით ამბობდა, რომ გიულენი ერდოღანთან კონფლიქტის თავიდან არიდებას ცდილობდა.

გიულენის მიმდევრები ერდოღანის მთავარი მტრები გახდნენ. არადა, თურქეთის ახლანდელმა ლიდერმა თავის დროზე სწორედ მათი მხარდაჭერით შეიძინა პოლიტიკური წონა. გიულენსა და ერდოღანს აერთიანებდათ რელიგიური შეხედულებები – ორივე მხარს უჭერდა ისლამის, როგორც მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ფაქტორის დაბრუნებას, რაც ეწინააღმდეგებოდა ათათურქის დამკვიდრებულ სახელმწიფო მოწყობის საერო პრინციპებს. თუმცა, 1999 წელს, გიულენის ამერიკაში გამგზავრების შემდეგ, მათი ურთიერთობა გაცივდა. ყოფილი მოძღვრის წინააღმდეგ სასამართლო პროცესი დაიწყო 2000 წელს. ამბობენ, ერდოღანი ამერიკაშიც კი ეწვია გიულენსო, მაგრამ მოგვიანებით ურთიერთობა დაიძაბა: ერდოღანი მას ტერორისტს უწოდებდა, გიულენი კი საპასუხოდ ჯოჯოხეთში გამგზავრებას სთავაზობდა...

ახლა თურქეთში მიმდინარეობს აქტიური მუშაობა იმ სტრუქტურების გასაუქმებლად, რომლებიც რამენაირად ფეთჰულაჰ გიულენს უკავშირდება. ეს საკმაოდ რთული იქნება, რადგან მოძრაობა „ჰიზმეთს“, რომელშიც გაერთიანებული არიან გიულენისტები, ძლიერი გავლენა აქვს ქვეყნის შიგნითაც და მის გარეთაც. მოძრაობის წევრები წარმოდგენილი არიან კულტურის განათლების, სამხედრო და პოლიტიკური სტრუქტურების ყველა რგოლში, ყველა დონეზე. 2013 წელს ერდოგანმა მათს საქმიანობას „პარალელური სახელმწიფო“ უწოდა და ფაქტობრივად ტერორისტულს გაუთანაბრა.

რას წარმოადგენს მოძრაობა „ჰიზმეთი“? მისი ძირითადი საქმიანობა უკავშირდება თურქეთის საგანმანათლებლო დარგს. მოძრაობის მხარდაჭერით იხსნებოდა სასწავლო დაწესებულებები, რომლებშიც განათლების მაღალი დონეა და რომლებიც მსოფლიოს 150 ქვეყანაში ფუნქციონირებენ. თვითონ ფეთჰულაჰ გიულენი თავის მთავარ საქმიანობად სწორედ განათლებას ასახელებს, რის გამოც მის მომხრეთა რიგებში მეცნიერებისა და კულტურის არაერთი მოღვაწეა.

* * *

გადატრიალების მცდელობის დროს ჩაიკეტა ინჯირლიკის სამხედრო-საჰაერო ბაზა, რომელსაც ნატო-ს ძალები სირიის წინააღმდეგ ბრძოლებში იყენებენ. მართალია, კვირას ამ ბაზამ მუშაობა



განაახლა მას შემდეგ, რაც მისი მეთაური დააპატიმრეს, მაგრამ ამ ფაქტმა გააძლიერა დაძაბულობა თურქეთსა და ამერიკას შორის – დასავლეთს მიანიშნეს, რომ ისინი თურქების კეთილ ნებაზე არიან დამოკიდებული.

ევროპამაც თავშეკავებით გამოხატა თავისი პოზიცია. ჯერ სირიის, შემდეგ კი მიგრანტებთან დაკავშირებულმა კრიზისებმა გამოავლინა საერთაშორისო პოლიტიკაში თურქეთის ხელისუფლების ორმაგი თამაში (შარშან მარტში თურქეთმა ევროკავშირისთვის კაბალური შეთანხმება გააფორმა, არალეგალი მიგრანტებისთვის ევროპის სახღვაო საზღვრის ჩაკეტვის სანაცვლოდ). ევროპული სახელმწიფოების ლიდერებს აშინებთ რეპრესიების მასშტაბები, რაც გადატრიალების მცდელობას მოჰყვება. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟან-მარკ ერომ ისიც აღიარა, რომ საეჭვო ხდება, თუ რამდენად სანდო იქნება თანამშრომლობა თურქებთან „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში.

საბოლოო ჯამში, შექმნილი ვითარება ერთნაირია როგორც ამერიკის, ისე ევროპისთვის: ერდოღანის თურქეთი არასანდო მოკავშირეა და არავის სურს, იგი მტრად მოიკიდოს. მიუხედავად ამისა, ამერიკაცა და ევროკავშირიც არ აპირებენ უმთავრესი დემოკრატიული პრინციპების შებღალვას, რომელთაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კანონის უზენაესობის დაცვაა. ამის შესახებ ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ და ევროკომისარმა ფედერიკა მოგერინიმ ორშაბათს გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადეს.

ფედერიკა მოგერინი: „ვერც ერთი ქვეყანა ვერ გახდება ევროკავშირის წევრი, თუ იქ სიკვდილით დასჯა მოქმედებს“.

ჯონ კერი: „ჩვენ მხარს ვუჭერთ თურქეთის არჩეულ ხელისუფლებას, მაგრამ თურქეთის ქმედებებმა, რომლებიც არღვევს დემოკრატიულ პრინციპებს, შესაძლოა ქვეყანას ნატო-ს წევრობა დააკარგვინოს“.

## 30 წლის განმავლობაში სამხედროებმა სამჯერ დაამხეს მთავრობა

15 ივლისს თურქეთში მომხდარი სამხედრო გადატრიალების მცდელობის შესახებ არაერთი ვერსია ვრცელდება. თურქეთის ამჟამინდელი ხელისუფლება ამერიკაში მცხოვრები ყოფილი სასულიერო პირის, თურქი ფეთჰულაჰ გიულენისა და მისი მიმდევრებისკენ იშვერს ხელს, ბევრი ფიქრობს, რომ ამ მოვლენებში რუსეთის ხელი ურევია.

შექმნილ ვითარებაში ამ ორი დიდი სახელმწიფოდან არც ერთს არ სურს ურთიერთობის დაძაბვა თურქეთთან – ამერიკისთვის თურქეთიცა და ერდოღანიც ერთ-ერთი მთავარი მოკავშირეა სირიისა და „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლაში. ამერიკა მზად არის, თვალი დახუჭოს, თუკი ერდოღანის ხელისუფლება „სამაგალითო დემოკრატიის“ ნიმუში ვერ იქნება – თურქეთის დასუსტება და ქვეყანაში დესტაბილიზაცია მისთვის მეტისმეტად არახელსაყრელია.

ვინც კარგად იცნობს თურქეთის ისტორიას, თუნდაც ბოლო ათწლეულებისას, მათთვის მომხდარში უჩვეულო არაფერია – ამას წმინდა წყლის „თურქულ მოვლენად“ აფასებენ. სამხედრო გადატრიალებისა და ქვეყნის მართვის სადავეების ხელში ჩაგდების მცდელობის ფონზე, თურქეთის მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით ასაკოვანთათვის, შექმნილი სიტუაცია მეტისმეტად ნაცნობია.

თურქეთს, როგორც რეგიონულ სახელმწიფოს (ოსმალეთის იმპერია ცენტრით სტამბოლში), ხანგრძლივი ისტორია აქვს, მაგრამ თვითონ თურქეთის რესპუბლიკა შედარებით ახალგაზრდაა – ერთი საუკუნეც არ არის, რაც არსებობს. მიუხედავად ამისა,



სახელმწიფო გადატრიალებები საკმარისზე მეტი ერგო.

ასეთი დიდი რყევები სრულიადაც არ არის შემთხვევითი. გადატრიალებების ამ მწკრივის ერთ-ერთი მიზეზი უკავშირდება იმას, რასაც თურქული მმართველობის სისტემის განუყოფელი ნაწილი ჰქვია: ქვეყნის კონსტიტუცია სამხედროებს უტოვებს უფლებას, „ჩაერიონ“ აუცილებლობის შემთხვევაში; ხოლო სამხედრო მეთაურობა ანგარიშვალდებული არ არის პოლიტიკური ხელმძღვანელობის წინაშე. თურქეთის არმია დიდი ხნის განმავლობაში განუხრელად იცავდა დიდი ათათურქის გაფრთხილებას იმის შესახებ, რომ არმია პოლიტიკის მიღმა უნდა არსებობდეს. თუმცა არმიას ისიც კარგად ახსოვდა, რომ ქემალ ათათურქმა მას კონსტიტუციის დაცვა დაავალა.

1960 წელს, თითქმის უსისხლო სამხედრო გადატრიალების შემდეგ დაამხეს ავტორიტარული პრემიერი ადნან მენდერესი (რომელიც ჩამოახრჩვეს). მაშინ ჯემალ გიურსელი დაინიშნა პრეზიდენტად, პრემიერ-მინისტრად და თავდაცვის მინისტრად, რამაც მსოფლიოს გაუჩინა იმედი, რომ ქვეყანა ნამდვილი დემოკრატიის პრინციპებს დაიცავდა.

11 წელი არ იყო გასული, რომ სამხედრო მეთაურობის ერთმა ჯგუფმა ახალი ამბების დიქტორს გადასცა მემორანდუმი და მისი ეთერში წაკითხვა მოსთხოვა. თურქი ხალხისადმი მიმართვაში ეწერა, რომ მთავრობა კიდევ ერთხელ მიაქანებს „ქვეყანას ქაოსისკენ, ძმათამკვლელობისა და სოციალურ-ეკონომიკური მღელვარებისკენ“, ამიტომაც „თურქი სამხედროები, ასრულებენ რა კონსტიტუციით მინიჭებულ რესპუბლიკის დაცვის ვალდებულებებს, ძალაუფლებას აიღებენ ხელში“. ამ მეთოდს, რომელმაც გაამართლა, უწოდეს „გადატრიალება მემორანდუმის თანახმად“.

ხანგრძლივი პოლიტიკური დაპირისპირებისა (თვეობით ვერ იღებდნენ კანონებს, რადგან არ არსებობდა ქმედითი საპარლამენტო კოალიცია) და ტერაქტების სერიის შემდეგ, სამხედროებმა „ძალაუფლება ხელში აიღეს“.

1980 წელს ეს განმეორდა.

დემოკრატიულად არჩეული მთავრობა გააძევა გენერალთა საბჭომ, რომლის ექვსივე წევრმა იზრუნა და: ერთი ღამის განმავლობაში დაიჭირა ქვეყნის ოპოზიციის ყველა ლიდერი, გამოაცხადა, რომ ყველაფერს გააკონტროლებენ მანამდე, ვიდრე ქმედუნარიანი მთავრობის საქმიანობა არ აღდგებოდა. 1960 და 1971 წლების მოვლენების მიხედვით, ისინი სწორედ ასე იქცეოდნენ: ყოველი გადატრიალების შემდეგ სამოქალაქო ხელისუფლებას რამდენიმე წელი სჭირდებოდა, რომ ძალაუფლებას დაბრუნებოდა.

როგორც მემარცხენე რადიკალთა, ისე ულტრამემარჯვენეთა რამდენიმეთვიანი მზარდი ტერორისტული აქტივობის შემდეგ ქვეყანა მისთვის უჩვეულო მდგომარეობაში ჩავარდა – მშვიდობიანი მოსახლეობა სიხარულით ეგებებოდა სტამბოლის ქუჩებში ხმაურით ჩავლილ ტანკებს. მძღოლები ხელს ართმევდნენ ბლოკ-საგუშაგოებზე მორიგე ჯარისკაცებს. მაღაზიების მფლობელებმა რამდენიმე თვის ლოდინის შემდეგ მოხსნეს ცხაურები და რესტორნებიც საღამოობით ნელ-ნელა ხალხით გაივსო. ქალაქელები უფრო აკურატულად გამოიყურებოდნენ, რადგან სამოსის ქვეშ იარაღს აღარ ატარებდნენ. „მთელს თურქეთში ცხოვრება ნორმალური გახდა“ – ასე აღწერდა ახალი ამბების ინგლისურენოვანი Turkish Daily News ქვეყანაში არსებულ განწყობილებებს.

ხელისუფლებაში ხუნტის მოსვლის შემდეგ ტერორიზმის ახალი ტალღა აგორდა. სამხედრო რეჟიმით უკმაყოფილო მემარცხენე რადიკალებმა მოკლეს მაღალი რანგის სამხედრო თუ სამართალდამცავი პირები (სატანკო ნაწილის უფროსი, სტამბოლის პოლიციის ხელმძღვანელი...). ამას მოჰყვა ექსტრემიზმში ეჭვმიტანილთა მასობრივი დაპატიმრებები – ერთ კვირაში ორი ათასზე მეტი კაცი დაიჭირეს და დახურეს 150-მდე პროფკავშირის განყოფილება...

სამი წელიც არ იყო გასული, 1982 წლის ბოლოს სამხედრო რეჟიმმა შეასრულა დანაპირები, დაბრუნებოდა დემოკრატიას – ამ შეთანხმებას ბევრი დამკვირვებელი სიფრთხილით ეკიდებოდა, რადგან ახალი დემოკრატიული მთავრობა პრეზიდენტს ძალიან დიდ უფლებებს ანიჭებდა.

იმდროინდელი თურქეთის საერთაშორისო მდგომარეობა მართალია არასტაბილური, მაგრამ მნიშვნელოვანი იყო: მის გვერდით მდებარეობდა რევოლუციისშემდგომი ირანი, და მისი ბევრი ნატოელი მოკავშირე დიდად აფასებდა თურქეთის მეშვეობით ირანზე წვდომის შესაძლებლობას. სამხედრო და საკონსტიტუციო ბალანსის მისაღწევად ანკარის მისწრაფება მთელს მსოფლიოში არნახულად ხელსაყრელი იყო.

სინამდვილეში დემოკრატიულობის საქმე მაინცდამაინც ვერ იყო მოწოდების სიმაღლეზე. შემდგომ წლებში იყო სამხედროების, მოქალაქეებისა და მთავრობის მცდელობა – გარდამავალი წარმატებითა და განსხვავებული ძალადობით გამორჩეული – გაერკვიათ, ვინ უფრო უკეთ იცავდა კონსტიტუციას. ეს შეუსაბამობა, აშკარაა, რომ დღესაც არსებობს.

1980 წლის გადატრიალებამდე მისი ორგანიზატორი, თურქი გენერალი ქენან ერვინი ვითარებას ასე ახასიათებდა: „ყველა ეროვნულ ერთიანობაზე ლაპარაკობს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის მიღწევა არავის ძალუძს“. ეს ის ქენანია, რომელსაც „კონსტიტუციური წესრიგის წინააღმდეგ“ სამხედრო გადატრიალებაში მონაწილეობის ბრალდებით 2014 წელს სამუდამო პატიმრობა მიესაჯა.

იქნებ შეცდა ოტომანთა იმპერიის ნანგრევებზე შექმნილი თურქული ეროვნული სახელმწიფოს სულისჩამდგმელი ქემალ ათათურქი, როცა არმიას პოლიტიკის მიღმა მოიაზრებდა? იქნებ ცდებიან ახლანდელი სამხედრო მეთაურები, როცა საკუთარ თავს ათათურქის იდეის გარანტად მიიჩნევენ? როცა ფიქრობენ, რომ ათათურქმა მათ კონსტიტუციის დაცვა დაავალა და იმავდროულად, ეს კონსტიტუცია მათზე არ ვრცელდება?

* * *

ერდოღანი სახელმწიფო ინსტიტუტებს გაწმენდს არასასურველი მოხელეებისგან და მისდამი ლოიალურებს დანიშნავს. ანალიტიკოსთა უმრავლესობა თანხმდება, რომ გადატრიალების მცდელობამ ერდოღანი უზრუნველყო ხალხის მხარდაჭერით, რაც ასე აუცილებელია პოლიტიკური სისტემის შესაცვლელად. ერდოღანს სურს, როგორც პრეზიდენტმა, ძალაუფლება მოაქციოს თავის ხელში, სადავეები სრულად ჩამოართვას პარლამენტს და გააგრძელოს ბოლო წლების კურსი, რომელსაც იმავე ანალიტიკოსთა შეფასებით, ავტორიტარიზმის გზა ჰქვია.

**უკანასკნელ საათს**

## თურქეთმა ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მოქმედება შეაჩერა

**თურქეთმა გადაწყვიტა, დროებით შეაჩეროს ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მოქმედება ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებით, — განაცხადა ქვეყნის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ნუმან კურტულმუსმა.**



**მისი სიტყვებით, ევროპის კონვენციის 15-ე სტატია ქვეყანას საშუალებას აძლევს, უარი თქვას ვალდებულებათა ნაწილზე საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში, რომელიც ხელს უშლის მათ შესრულებას.**

# დავით ნემსაძე:
# ხიდაშელი კი წავიდა, მაგრამ თავდაცვის სამინისტროში თავისი „კუდები“ დატოვა

სახელმწიფო ბიუჯეტის ყველაზე დიდი მომხმარებელი – თავდაცვის სამინისტრო – ახალი მინისტრის, ჩათვალეთ, ცვლილებების მოლოდინშია. ამის თაობაზე ვესაუბრებით შეიარაღებული ძალების თადარიგის ოფიცერს და სამხედრო ბლოგერს, უფროს ლეიტენანტ **დავით ნემსაძეს**.

**- ბატონო დავით, თინა ხიდაშელი გადადგა. საინტერესოა, რა ხდება დღეს სამინისტროში?**

- გემი სახელწოდებით „დედოფალი თინა“ წარმატებით იძირება და, როგორც წესი, ტრიუმის ბინადარნი - ვირთაგვები, თვითგადარჩენის ინსტინქტით შთაგონებულები, პირველნი ტოვებენ განწირულ ხომალდს.

**- კონკრეტულად, ვის გულისხმობთ?**

- დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს, რომლებმაც სხვადასხვა დროს, სხვადასხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედება ჩაიდინეს. სწორედ ეს ბირთვი ეძებს გზებს ახალ მინისტრამდე მისასვლელად, საკუთარი თავის შეთავაზების მიზნით. მაგალითად, ომარ ბეგოიძემ არმიაში 1997 წელს შემოყო თავი ჯერ ოცეულის, შემდეგ ასეულის მეთაურად. როგორც მე ვიცი, მანამდე მას არსად უმუშავია. სამაგიეროდ, კარგი მეხოტბეა. მეხოტბეობა კი ჩვენ დროში დიდად ფასობს. ბეგოიძის კარიერაც, ვფიქრობ, ამ „ტაქტიკურ მანევრზეა“ დამყარებული. ან კიდევ ერთი მეხოტბე - პოლკოვნიკი, **რომან ჯოხაძე**. მას „ნაცები“ აწინაურებდნენ. ჯოხაძეს გერმანიაში აქვს დამთავრებული „საგარეო დაზვერვის სკოლა“. და, ჰოი, საოცრებავ, ამ პიროვნებამ არც გერმანული ენა იცის და არც ინგლისური და ეს, მიუხედავად იმისა, რომ ხიდაშელმა ჯოხაძე ჯერ სახლში „მიუვლინა“ თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელს - **მარინა გოგინაშვილს** ინგლისურის ორკვირიანი კურსების გასავლელად, შემდეგ კი აშშ-ში გაგზავნა სასწავლებლად „ომის კოლეჯში“.

**- პოლკოვნიკმა ორ კვირაში ინგლისური ენა როგორ ისწავლა?**

- როცა ხიდაშელის ფავორიტი ხარ, მაშინ ყველაფერი შესაძლებელია, მით უმეტეს, როცა ასეთი „უნივერსალური ჯარისკაცი“ ხარ, როგორც ჯოხაძე. ალბათ, ორი კვირაც არ დაგჭირდება მინისტრის ნდობის გასამართლებლად. ეს ხუმრობით... სინამდვილეში, ნასწავლი და მონდომებული სამხედროც, ჩაწყობის გარეშე ვერასდროს შეძლებს „ომის კოლეჯში“ მოხვედრას. მოუწყონ ჯოხაძეს გამოცდა ინგლისურ ენაში და თუ მე ვიქნები მტყუანი, ბოდიშს მოვუხდი ჯოხაძეს და საზოგადოებას საჯაროდ, თუ არა - დააბრუნონ ჯოხაძე სამშობლოში პირველივე რეისით, რადგან მისი სწავლა-განათლება ბიუჯეტს ძვირი უჯდება. **თავდაცვის სამინისტროში დანაშაული ბატონობს**. მაგალითად, ლოგისტიკის შტაბის უფროსმა - **მიხეილ ლორთქიფანიძემ,** რომელიღაც ინციდენტის გამო, სამხედრო პოლიციის ოთახში, „წესრიგის დამყარების მიზნით“, სასტიკად სცემა რიგითი **უძილაური**. უბედურება ის არის, რომ ბაზის იურისტი, კუდის ყოფილი ოპერმუშაკი - **იოსებ ბახტურიძე** ცემის ფაქტს შეესწრო და ... პირში წყალი ჩაიგუბა. და ეს კიდევ არაფერია! **შეიარაღების და ტექნიკის სარემონტო ბაზაზე შვიდ წლამდე ასაკის ბავშვები აწამეს!** ეს გაუგონარი დანაშაული მიჩქმალეს ბაზის უფროსმა - **ილია ლუტიძემ** და **შალვა კაჭარავამ**. მიუხედავად ამისა, ამ ბატონებმა პასუხი არ აგეს. დაუსჯელია, აგრეთვე, მაიორი **ირაკლი შაიშმელაშვილიც**. ამ უკანასკნელმა უკანონოდ დაავალა მაიორ **ვეფხია ივანიძეს** თანხის აკრეფა ბაზაზე მომსახურე ოფიცრებისგან და რიგითებისგან.

**- რას იტყვით ყოფილი მინისტრის, ქალბატონ ხიდაშელის აპარატზე. არიან იქ გამოცდილი და პატრიოტი კადრები?**

- მათ პატრიოტიზმზე მე საუბარი არ მსურს, რადგან არაერთხელ აღვნიშნე - სამხედრო უწყებაში პატრიოტიზმის დეფიციტია! რაც შეეხება ხიდაშელის კადრების გამოცდილებას, კომპეტენტურობას ვიტყვი, რომ **არა მარტო აპარატში, არამედ ისეთ სპეციფიკურ სამხედრო ბლოკში, სადაც შეიარაღებული ძალების და გვარეობის მიხედვით უნდა იყვნენ შევერცხლილთმიანი პროფესიონალები, ადგილები დაკავებული აქვთ კბილის ტექნიკოსებს, ავეჯის ხელოსნებს და პროფტექნიკური სასწავლებლის დონეზე ნასწავლ ადამიანებს**. უვიცი და თავხედი პირები ქმნიან სახელმწიფოში უწესრიგობას. აი, ხიდაშელის მრჩეველმა - **დავით ებრალიძემ** ისე მოაწერა ხელი მოქმედი სამხედროების ერთადერთი საცხოვრებლიდან გამოყრას, წარბიც არ შეუტოკდა. ეს გაჭირვებული ხალხი საბჭოთა კავშირის დროინდელ საერთო საცხოვრებელში იყვნენ შეყუჟულნი. **მცხეთაში** არის ასეთი სამხედრო ბაზა - „Звезда“ და იქ ებრალიძე სამხედროებს უკანასკნელ ჭერს ატოვებინებდა! ებრალიძემ „ზვეზდაში“ მობინადრეებს მიუგზავნა სამხედრო პოლიციის ზონდერები და ატერორებდა მათ: აქაოდა, უწყების ბალანსზე რიცხული ქონება, დატოვეთ, თორემ სამსახურიდან გაგაგდებთო!... მაშიმ მე სამხედრო ფორმა მეცვა და მახსოვს, ბევრი ვიწვალე, ეს საკითხი რომ მომეგვარებინა. ბოლოს, სამხედრო დამცველის ჩარევით, ებრალიძეს უკან დავახევინე. საინტერესო ეპიზოდი - დავით ებრალიძე სამხედრო მოსამსახურეებს აგდებდა საცხოვრებელი ფართიდან ქუჩაში,



თავად კი საცხოვრებელი ფართი თავზესაყრელად აქვს. საკმარისია, მის ქონებრივ დეკლარაციაში ჩაიხედო. ებრალიძეს ქონებრივი დეკლარაცია აქვს შევსებული 2013 წელს, როცა ის ფინანსთა სამინისტროდან წამოვიდა. ებრალიძე ფლობს ბინას ბაკურიანში, ასევე, 105 კვ.მ-ის ფართობის ბინას თბილისში, ედიშერ მაღალაშვილის ქუჩაზე. მის საკუთრებაშია მიწის ნაკვეთი **მცხეთაში**, ზაჰესის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომლის ფართობი 5 ათასი კვადრატული მეტრია; ხოლო მისი მეუღლის - **მედეა ქვრივიშვილის** საკუთრებაშია 330 კვ. მ-ის ფართობის ბინა თბილისში, რამიშვილის ქუჩაზე. აღარაფერს ვამბობ მათ საბანკო ანგარიშებზე. აშკარაა, რომ ასეთი ქონების პატრონს თავი ქუდში აქვს.

**- ბატონო დავით, ვარკეთილში ოფიცერთა საცხოვრებელი სახლები შენდება და მაგ ბინებს, რა თქმა უნდა, ტელეკამერების წინ ხან ბატონი ალასანია, ხან ქალბატონი ხიდაშელი ურიგებდნენ სამხედრო მოსამსახურეებს. ამ ფაქტზე რას იტყვით ან იმ ბრალდებებზე, რომელსაც თქვენ და სხვები უყენებდით მის ხელმძღვანელობას, თავდაცვის სამინისტრო დუმს. მინისტრი ხიდაშელი დუმს, სამინისტროს პრესსამსახურიც დუმს. რა ხდება? რას ელოდებიან?**

- სათქმელი არაფერი აქვთ. ხომ გაგიგონიათ, დუმილი თანხმობის ნიშანიაო. პირადად მივედი სამინისტროში და პრესსამსახურის უფროსისგან - **თამარ კაციტაძისგან** მოვიკითხე დუმილის მიზეზი. მართალია, ქალბატონი თამარი ამ სამსახურს ხელმძღვანელობს, მაგრამ სინამდვილეში არანაირი პრესსამსახური იქ არ არსებობს. ეს არის ტიპიური პარტიული პრესკლუბი.

**- რა პასუხი მიიღეთ?**

- თამარ კაციტაძისგან მიღებულმა პასუხმა ძალიან გამაკვირვა. პრესსამსახურის უფროსი შეიარაღებულ ძალებს იხსენიებს შინაგან ჯარებად. ეს არის ტრაგედია, რომ კაციტაძემ - დიდი ხელფასის პატრონმა, არმია და პოლიცია ერთმანეთისგან ვერ განასხვავა; და ასეთი გაუთვითცნობიერებული პერსონისგან, რა დალაგებულ პასუხს უნდა ელოდო? ერთის მხრივ, კარგია, რომ ხვდებიან, ენას კბილი დააჭირონ და უფრო დიდი სისულელის წამოროშვით ისედაც დამძიმებული ყოფა არ გაიუარესონ. სულ ეს არის მათი დუმილის „ფილოსოფია“.

**- რაში ხედავთ გამოსავალს?**

- გამოსავალი პროფესიონალიზმშია. შეიარაღებული ძალები არ არის დროს ტარების, გართობის და სექსუალური კავშირების დამყარების ადგილი. მას წმინდა მისია აკისრია. ყველაფერი უნდა დაეყრდნოს სამართლიანობის სვეტს. დილეტანტებმა, „ნაც-რესპების“ ქურუმებმა და ბიძინა ივანიშვილის მაგინებელმა ხროვამ ეს პლაცდარმი უნდა დატოვოს.




ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**

# რამდენი საქართველოა ერთ საქართველოში?

მართლაცდა, რამდენი საქართველოა ამ ერთ საქართველოში?

ალბათ, იმდენი, რამდენი სოციოლოგიური კვლევაც ტარდება ხოლმე არჩევნების წინ.

იმდენად განსხვავებულია ამ კვლევების შედეგები, გეგონება, ერთ ქვეყანაში კი არა, რამდენიმე სხვადასხვა ქვეყანაში ჩაატარეს ეს „ობიექტური“ და „მიუკერძოებელი“ სოციოლოგიური გამოკითხვები, რომელთა ცდომილება, გამოკითხვების ავტორთა მტკიცებით, 2-3 პროცენტს არ აღემატება.

თუმცა 2-3 პროცენტი კი არა, ერთი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევები მეორე თუ მესამე ორგანიზაციის კვლევებისგან ისე განსხვავდება, როგორც ცა დედამიწისგან.

ეს ტყუილსა და სიცრუეში დაოსტატებული ღრმად არაპატივცემული ორგანიზაციები გვარწმუნებენ, რომ ამ ერთ საქართველოში რამდენიმე სხვადასხვა საქართველოა — ერთი შედარებით ნორმალური და გონიერი, მეორე — გონებაჩლუნგი და ჭკუასუსტი, მესამე — შლეგი და პარანოიისკენ მიდრეკილი, მეოთხე — დეპრესიით გალენჩებული და გამოშტერებული, მეხუთე — ვარდისფერ ხილვებსა და ნირვანაში მოფარფატე და ა. შ. და ა. შ.




„სხვადასხვა“ საქართველოები „სხვადასხვა“ ქართველი ხალხებით — აი, ასეთია ამ ორგანიზაციების მიერ დახატული საერთო სურათი — ირეალური, აბსტრაქტული, აბსურდული, ერთმანეთის გამომრიცხავი და ერთმანეთის საპირისპირო.

ადამიანებზე ფსიქოლოგიური ზეწოლის, ფსიქოლოგიური ტერორის იარაღად გამოყენებული ამ გამოკითხვებიდან სინამდვილეს ვერა და ვერ დაადგენ, რადგან მათი მიზანი სინამდვილის დადგენა კი არა მისი დამახინჯებაა.

ასე, მაგალითად, ამ ბოლო ათითხუთმეტი წლის განმავლობაში ჩატარებული უამრავი სოციოლოგიური გამოკითხვის მიუხედავად, სინამდვილეში, არავინ იცის, საქართველოს რამდენი მოქალაქე უჭერს მხარს ნატოსა თუ ევროკავშირში გაწევრიანებას.

„სხვადასხვა“ საქართველოები „სხვადასხვა“ ქართველი ხალხებით ვერა და ვერ შეიკრა ერთ მთლიანობად, ერთ მთლიან ძალად.

არ ვიცი, რანაირად შეიძლება ასე ქვეყნის აშენება და, საერთოდ, აქვს თუ არა პერსპექტივა ასეთ ქვეყანას, სადაც ერთი ალთასაა, მეორე ბალთას, მესამე ტყემალზე ზის და იქიდან ბლის კურკებს ისვრის.

# გამოიგონეს თუ არა პოლიტიკური „ვიაგრა“ პოლიტიკური იმპოტენტებისთვის

ვარშავის სამიტიდან შემოგვითვალეს: — კიდევ ერთი გამოცდა გაქვთ ჩასაბარებელი — 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები სამართლიანად და დემოკრატიულად უნდა ჩაატაროთო.

ძალიან მაინტერესებს, როგორ იშიფრება ეს მესიჯი და რა იგულისხმება არჩევნების დემოკრატიულად და სამართლიანად ცატარებაში?

დარწმუნებული ვარ, ხელისუფლება ზედმიწევნით სამართლიანად და კორექტულად, ყველა წესის დაცვით ჩაატარებს ამ არჩევნებს, მაგრამ ქართველმა ხალხმა ხმა რომ არ მისცეს ე. წ.„პროდასავლურ პარტიებს — „თავისუფალ დემოკრატებს“, „რესპუბლიკელებს“, „ნაცმოძრაობას“ და მის პარტიულ ფილიალებს — „გირჩს“, ბურჭულაძის, ვაშაძის პარტიებს, მაშინ რა ხდება — არჩევნები დემოკრატიულად და სამართლიანად ჩატარებულად არ ჩაითვლება?

— არავის უთქვამს, რომ მაინცდამაინც ამ პარტიებს უნდა მისცეც ხმა ქართველმა ამომრჩეველმა, — შემომედავებიან, ალბათ, ოპონენტები.

მართალია, პირდაპირ არავის უთქვამს ამის შესახებ, მაგრამ თქმა რად უნდა, განა ისედაც ცხადი არ არის ყველაფერი, დაწყებული თავს მოხვეული კოაბიტაციით და დამთავრებული იმ სოციოლოგიური კვლევებით, რომლებშიც ცა და დედამიწა თავდაყირაა დაყენებული?

საქართველოში, დაუზუსტებელი მონაცემებით, 200-მდე პარტიაა და ორასივეს დარწმუნებით ჰგონია, რომ თვითონაა ის პარტია, რომელმაც ქვეყანა უნდა მართოს.

ამ ორასი პარტიიდან 60-მა უკვე მიმართა რეგისტრაციისთვის ცესკოს.

60-დან ოცმა პარტიამ რომ მიიღოს არჩევნებში მონაწილეობის მირების უფლება, ისე „სამართლიანად“ ეოფოე უნდა ცაატაროს ხელისუფლებამ არჩევნები, რომ ოცივე კმაყოფილი დარჩეს?

ოციდან, ჰა და ჰა, 7-8 პარტია თუ გადალახავს ბარიერს, დანარჩენები, თუ პოლიტიკური „ვიაგრა“ არა აქვს ვინმეს გამოგონებული დაიმით თუ არ აიმაღლებენ რეიტინგს და პოტენციას, თორემ იმ მონაცემებით, რაც დღეს აქვთ, ისინი პარლამენტში ვერ შევლენ, რაც იმას ნიშნავს, რომ 10-12 პარტია აუცილებლად დააყენებს ეჭვქვეშ საპარლამენტო არჩევნების შედეგებს.

იგივეს გააკეთებენ, ალბათ, ის პარტიებიც, რომლებიც ბარიერს კი გადალახავენმ მაგრამ შედეგებით მაინც უკმაყოფილონი იქნებიან და თავიანთ წარუმატებლობას ხელისუფლებას გადააბრალებენ.

ასე რომ, ვარშავიდან გამოგზავნილ მესიჯში არის რაღაც პროვოკაციული და ავანტურისტული, რაც პოლიტიკურმა მოძალადეებმა და გამომძალველებმა შეიძლება არჩევნების შემდეგ სიტუაციის ასარევად გამოიყენონ.

**გიორგი გამეზარდაშვილი**



facebook

# ერთი არსების სახე ნაციონალურ მითოლოგიაში! ლევან რამიშვილი!



მართლა არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს არსება ჩემი გალქტიკელია.....

ყოველგვარი მიკერძოების გარეშე მინდა, ეს არსება ავღწერო! ვისაც შეხება ჰქონია, ყველა დამეთანხმება, მათ შორის სოროსელი თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენლებიც, რომ არ ვაჭარბებ...მეც მქონია შეხება სტუდენტობის პერიოდში, მაშინ კომიკურ ფიგურად უფრო აღვიქვამდი და ყველაზე შავ ფანტაზიებშიც ვერ წარმოვიდგენდი, რომ ქვეყნის მთავარ იდეოლოგად იქცეოდა ეს არასრულფასოვანი წარმონაქმნი...

ადამიანისმაგვარი არსება, რომელსაც არა აქვს არანაირი ემოცია. არ უყვარს არც ერთი სპორტის სახეობა, არც სასმელი, არც ბანქო და ნარდი, არც ჭადრაკი. დიდი სათვალეების მიუხედავად, ჩაპაევიც კი არ უთამაშია... არ უყვარს ქალები! არანაირად! გაგიკვირდებათ და, არც კაცებისკენ იწევს, უბრალოდ, ასექსუალია (შეიძლება ინდივიდუალურად ხალისობს). არ აინტერესებს ჩაცმა, აცვია იმიტომ რომ სიცივეც არ უყვარს, ჭამს იმიტომ, რომ სული არ გასძვრეს, ჭამს სააკაშვილის სტილში (გულისამრევად), არ უყვარს მანქანები, არც მოგზაურობა, მუსიკაც არ უყვარს, რელიგია აღიზიანებს, ნებისმიერი თან....

მზეც არ უყვარს თვალებში აჭყიტებს, ვერ იტანს წვიმას სისველის გამო და ქარს! მთები არ უყვარს, კიდევ უფრო ზღვა არ უყვარს, არ უყვარს, ბავშვები და ტოლები, უფროსებს ვერ იტანს, არ უყვარს ისტორია და წარსული, მიუხედავად ამდენი ზიზღისა, არც ზიზღის გამოხატვა უყვარს და არც კმაყოფილებისა.....უყვარს კომპიუტერი და შიგნით ახალი კანონების წერა, ის ბოლომდე არაა დარწმუნებული, ადამიანები ვისთვისაც თავის ჯოჯოხეთურ იდეებს წერს, რომ ნამდვილი ადამიანები არიან და არა ვირტუალური, ჯოისტიკით სამართავი კაცუნები, მათი სიკვდილი მისთვის მხოლოდ game over-ია მას ვერავინ მიაყენებს შეურაცხყოფას! ვერაფრით აწყენინებ, წყენის გრძნობა და თავმოყვარეობა ატროფირებული აქვს, ფიზიკური ტკივილის გრძნობა გააჩნია და არც ეგ მოსწონს!

იგი ვერასდროს შექმნის ოჯახს, თუნდაც მახინჯს, მას შვილი არასდროს ეყოლება, მისი ერთადერთი შანსი არსებობისა გახლდათ მაქსიმალურად ავადმყოფი ადამიანების მოსვლა ხელისუფლებაში და მას ამ მხრივ, გარკვეული პერიოდი, გაუმართლა... ვიცი, რომ ბევრს გქონიათ შეხება ამ ცხოველთან და მაინტერესებს რამე ხომ არ დავაკელი ამ 10-უცნობიანი განტოლების ახსნისას?!

**მალხაზ თოფურია**

# ხშირად მოიძიეთ თავი — შემთხვევით სადმე ხომ არ დაკარგეთ?

**სხვა ერების წარმომადგენლები რა სიტყვებით ემშვიდობებიან შორ და უცხო ადგილზე წამსვლელს, არ ვიცი, მაგრამ ქართველი გულშემატკივარი სიტყვას ადევნებს „თავს გაუფრთხილდი!“**



ზოგადად, „თავი“ მნიშვნელოვნად ფიგურირებს ქართულ მეტყველებაში და მისი მოფრთხილებისკენ მოუწოდებს „მფლობელს“, მაგალითად, „თავი არ დაკარგო!“ ან მის მნიშვნელობაზე მიუთითებს — „თუ თავი შენ შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები“; ან აქილიკებს — „თუ თავი არ გქონდა“, ან „შენ რისი თავი გაქვსო“ და ა.შ უამრავი ფორმით და უამრავ კონტექსტში. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევებში „თავი“ სხეულის ნაწილ



„თავს“ არ გულისხმობს, მაგრამ ვითომდა, რატომაც არ გულისხმობს?

გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქირურგებმა, სერჟიო კანავერომ და ჟენ სიაოტინმა მართლაც ჩაატარეს დონორის სხეულზე 2015 წლის თებერვალში დაანონსებული თავის გადანერგვის ოპერაცია. „მოხალისედ“ რუსი პროგრამისტი ვალერი სპირიდონოვი სახელდება, რომელსაც მუსკულების ატროფია ჰქონია. წარმატებული ექსპერიმენტი გადაღებულია ვიდეოზე, რომელიც გამოქვეყნდა და ყველას შეუძლია ნახვა. მართალია, ექიმების უმრავლესობა აკრიტიკებდა კანავაროს ინიციატივას ეთიკური შეხედულებების გამო, მაგრამ ოპერაცია წარმატებით ჩატარდა.

მოკლედ რომ ვთქვათ, ალექსანდრე ბელიაევის „პროფესორ დოუელის თავი“ ფანტაზიის სფეროდან რეალობად იქცა. ერთი ადამიანის ტანზე მეორე ადამიანის თავის მიბმაზეა საუბარი, თორემ ჯერ კიდევ 1928 წელს სერგეი ბრიუხონენკოს მიერ ძაღლის მოჭრილი თავის გაცოცხლების (თავი ენას ყოფდა, პირს ილოკდა) და 1954 წელს რუსი მეცნიერის ვლადიმერ დემიხოვის მიერ ტრანსპლანტაციის შედეგად ორთავიანი ძაღლის მიღების შემდეგ, ცხოველებზე ჩატარებული ექსპერიმენტები კლონირებული „დოლის“ ჩათვლით, დიდად აღარ აოცებს საზოგადოებას, პირიქით, გაოცება ჩანაცვლებულია პროტესტით.

სხვათაშორის, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს გამოვიდა ეკრანებზე ამერიკული ფილმი „იღბლიანი“, სადაც ადამიანის თავი ღორის ტანზე იყო მიბმული და ამდენი ხნის შემდეგ, ახლა, როცა ადამიანი ადამიანზე წარმატებულად გადააბეს თავით, მართლაცდა გასაფრთხილებელი არ არის თავი? რა ვიცით ვის მოეწონება ჩვენი თავი საკუთარ ტანზე გადასაკერებლად? (ან, პირიქით)



სხვა მხრივაც დიდი მნიშვნელობა აქვს თავს — სხვა და სხვა ტექნოლოგიების სწრაფი ტემპებით განვითარების შედეგად, ისე ოსტატურად მიაბამენ ტანს სხვის თავს (ან პირიქით) და ისეთი ფაქტის წინაშე დაგაყენებენ, მხოლოდ თავის მართლებაღა რომ დაგრჩებათ, არა, ბატონო, თავი კი, არის ჩემი, მაგრამ ტანი არაო; ან თავიც თქვენი იქნება და ტანიც, მაგრამ ისეთ არასახარბიელო ვითარებაში წარმოჩენილი, რომ იქით ატეხთ ყვირილს, არა, ბატონო, მონტაჟია (ან ფოტოშოპია), არ ვარ ეგ მეო; ან გააჩნია რას აკეთებს ცალკე თავი ან ცალკე ტანი, რომელიმეს ამოირჩევთ, ის — ჩემია, ის — არაო.

ცოტა ხნის უკან კვლავ გაისმა იგივე ფრაზა, ამჯერად მამრობითი სქესის სხვა პირი ამბობდა „პირდაპირ ვაცხადებ, ხელისუფლებას მივმართავ ღია ეთერიდან, ატვირთეთ რაც გნებავთ, ეს ჩემთვის ღრმად სულერთია, ფეხიც ჩემია და თავიცო“ და ისე დაემსგავსა გაწუწულ წიწილას, როდესმე თუ პროკურორობდა, აღარაფერი ეტყობა...

კაცმა რომ თქვას, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ჯერჯერობით ერთადერთი ადამიანია ამქვეყნად ვალერი სპირიდონოვი, რომელსაც დანამდვილებით შეუძლია იძახოს, რომ თავი მისია და სრულებით არ ეხება



რას იზამს ვიღაცის ტანი...

იქით მამრობითი სქესის სხვა წარმომადგენელი აპროტესტებს მშვიდობიანი ფორმით მის მიმართ გამოთქმულ შენიშვნებს „თავი ჩემია, მინდა ტაშტს დავიდგამ და მინდა — გვირგვინს, ჩემი თავი ოც კილომდე წონას იტანსო“ და რიხინ-რიხინით მიჰყავს სკანდალურად ცნობილი საკუთარი შოუ;

მამა ანთიმოზი, არქიმანდრიტიც კი გაეხვა გაურკვევლობაში — „როდესაც ზურგით ვდგავარ, მაშინ ისმის გინება. ზუსტად მახსოვს რაც ვთქვი, ცნობილი ქართული ფილმიდან ფრაზა გავიმეორე, გამოდით, რამდენნი ხართ, უნდა დაგთვალოთ-მეთქი, ვიდეოკადრებში კი ისმის, თითქოს ვიგინები („დაგხოცავთ, თქვენი დედა მოვ...ან!“) — ეს ჩემი ხმა არ არის.“ თავი ხომ არის მისი და ტანი, დანარჩენი უკვე აღარაა საინტერესო — დრო დადგა ასეთი...

გამოსახულებაზე დადებულ ხმებზე იმდენი მაგალითების მოყვანა შეიძლება ქართული სინამდვილიდან, რა მოთვლის, მაგრამ არ არის საინტერესო სწორედ იმიტომ, რომ უამრავია და კარგად ვიცით როდის და ვისი „შემოქმედებაა“.

მამაკაცებზე ბევრად საინტერესოდ გამოჩნდნენ მდედრობითი სქესის წარმომადგენლები, ფაქტობრივად, ერთ-ერთი ფოტომოდელის კლიშეს ქვეშ — სხეული ჩემია და როგორც მინდა, ისე ვაჩვენებ!

ქალები უცნაურები არიან — არცთუ შორეულ წარსულში ერთი ე.წ ჟურნალისტი ქალი მეორე ქალს, პარლამენტარს მიმართავდა, ჩიტის მოტანილი ისეთი ფარული ჩანაწერები მაქვს, „აღარ გამოვა, თავი ჩემია, ტანი — არაო“, თუმცა, რატომღაც ქალები არ ყვირიან წინსწრებით „თავიც ჩემია და ტანიც“, ან „თავი ჩემია, ტანი — არაო.“

ზოგადად კი, რატომ მომრავლდნენ არარეალიზებული სექსუალური ენერგიის (თუ ლიბიდოდაქვეითებული?) მქონე ადამიანები, სექსოპათოლოგებმა და სექსოლოგებმა არკვიონ. ჩვენ „თავი“ გვაქვს სადევარი, ოღონდ „დამარხული ძაღლის თავი“, თან არა მხო-



ლოდ ერთი, მრავალი, თვით ბებერი ძაღლის მიერ დამარხული პატარ-პატარა თავებად, რომელიც იმდენი დაგროვდა, რომ ააყროლა საქართველო...

ისე კი, თუ თევზი თავიდან იწყებს აყროლებას, ადამიანი ვითომ რატომ არ აყროლდება თავიდან?

საინტერესოა, როცა ყველამ იცის ვინ არის ის სულძაღლი „ბებერი ძაღლი“, რომელიც დრო და დრო აყროლებს, რატომ არავინ ამოჰკრავს ჭიტლაყს გამხმარ უკანალში? როგორ დავიჯეროთ, რომ ყველა, ვისაც თანამდებობრივად და სამსახურებრივად შეუძლია და ვალდებულია ერთხელ და სამუდამოდ წერტილი დაუსვას აშკარა შანტაჟის ფორმის დაუსრულებელ კაკაფონიას ყველა მიმართულებით, ყველა ერთნაირად პირ თუ გავაგასვრილია?

რადგან თავებზე ვსაუბრობთ, მსოფლიო თავებიც ვახსენოთ, რომლებიც საკმაოდ ძვირად შეუფასებიათ თუ ფრიად იაფად, თავად განსაჯეთ, თუმცა, ზოგი მათგანის თავი უკვე აღარ არსებობს ფიზიკურად.

**ჯორჯ ბუში (უმცროსი)** — 50 მლნ დოლარი (თალიბების შეფასებით);

**ბარაქ ობამა** — 10 აქლემი (სომალის ისლამისტური დაჯგუფება „აშ-შაბაბ-ის“ შეფასებით);



**სადამ ჰუსეინი** — 25 მლნ დოლარი (ერაყში აშშ-ის დროებითი ადმინისტრაციის შეფასებით;)

**მუამარ კადაფი** — 1,7 მლნ დოლარი („გარდამავალი დროებითი საბჭოს“ შეფასებით);

**უსამა ბენ ლადენი** — 50 მლნ დოლარი (აშშ-ის კონგრესის შეფასებით);

**ბაშარ ასადი** — 25 მლნ დოლარი („აჯანყებულთა თავისუფალი არმიის“ შეფასებით);

**ვლადიმერ პუტინი** — 16, 6 მლნ დოლარი (ბორის ბერეზოვსკის შეფასებით);

**მიხეილ სააკაშვილი** — 2 მლრდ დოლარი (ვლადიმერ პუტინის შეფასებით);

საინტერესოა, ასე ძვირად რატომ დაფასდა შერეკილი სააკაშვილის თავი? ალბათ, როგორც უნიკალური საკვლევი მასალა — სხვა რა ახსნა უნდა მოეძებნოს?...

**გიორგი ჩხეიძე**



# ბუმერანგის პრინციპი

## მიმდინარე წლის 18 ივლისს, აღსრულების ეროვნული ბიუროს ეზოში ტრაგედია დატრიალდა. ინციდენტში მონაწილე სამივე პირი შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი თანამშრომლები იყვნენ



ირაკლი კოდუა, არჩილ მამაგეიშვილი

მოგვიანებით გაირკვა, რომ ავთანდილ ანთაძემ, რომელიც 2004 წელს, გიორგი ბარამიძის შს მინისტრობის დროს, მისი მოადგილის თანამდებობას იკავებდა, სასიკვდილოდ დაჭრა სამხედრო პოლიციის უფროსის ყოფილი მოადგილე არჩილ მამაგეიშვილი, რომელიც მოგვიანებით, ინგოროყვას სახელობის საავადმყოფოში გარდაიცვალა... თვითმხვილველების თქმით, მას შემდეგ რაც ავთანდილ ანთაძემ 7 ტყვია ესროლა არჩილ მამაგეიშვილს, მისმა თანხმლებმა პირმა ასევე ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით, დაჭრა ავთანდილ ანთაძე. მისი მდგომარეობა ამჟამად სტაბილურია და პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება. ყოფილი პოლიციელი, რომელმაც ანთაძეს გაუხსნა ცეცხლი მიხეილ ვანიშვილია.

ავთანდილ ანთაძე შსს მინისტრის მოადგილეობის შემდეგაც სახელმწიფო მოხელე იყო და 2015 წლამდე გარემოს დაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა.

მოკლული არჩილ მამაგეიშვილი ერეკლე კოდუას მარჯვენა ხელი იყო. სოციალურ ქსელში გავრცელებულ მუხროვანის ამბოხის კადრებში კარგად ჩანს მათი დამოკიდებულება, კოდუა აჩიკოს ეძახის, ეტყობა, ერეკლეს ორი გვამის საზღაური არ სურს, ბევრ მსურველს გაუნაწილოს. არადა, ორი გვამის მოსაპოვებლად ბატალიონი ყავთ ჩართული, მძიმე ტექნიკით და ისეთი აღჭურვილობით „დიდგორსაც“ მოიგებდა კაცი! მუხროვანის ამბოხი, როგორც ყველა დანარჩენი, „სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა“ მთავარსარდლის ვიწრო წრის მიერ დადგმული უნიჭო სპექტაკლი იყო, რომლის რეალობა ტვინგამორეცხილი ნაცფავორიტების გარდა არც 2009 წლის მაისში დაუჯერებია ხალხს და, რასაკვირველია, არც ეხლა ჯერა ვინმეს. ორი გვამის ნაცვლად ერთი გვამი მიიღეს, ორი დაჭრილი და უამრავი ღირსება შელახული, ნაწამები ჯარისკაცი რომლებიც არარსებული ამბოხის გამო გაასამართლეს და დაუმსახურებლად არცთუ მცირე სასჯელი მიუსაჯეს. პოლკოვნიკი არჩილ მამაგეიშვილი „სოდში“, შემდეგ სამხედრო პოლიციაში და ბოლოს სასაზღვრო პოლიციაში საგამოძიებო–ოპერატიული მთავარი სამმართველოს უფროსი გახლდათ. თუ მუხროვანის ამბოხის კადრებით ვიმსჯელებთ ვანო მერაბიშვილიც არ იყო მის მიმართ გულგრილი, ისე ამაყად უშშვენებდა გვერდს და სახელითაც მიმართავს, აშკარად ჩანს, რომ ტკბილ და მურაბა ურთიერთობაშია მინისტრთან... ოთხი ტყვია ჰქონდა გია კრიალაშვილს მორტყმული, ბევრად მეტი ოთანაძეს და ემირიძეს...შვიდი ტყვიით მოკლა ავთანდილ ანთაძემ ყოფილი კოლეგა და ნამეგობრალი. ჩემთვის უცნობია ავთანდილ ანთაძე, როგორ მოხვდა საჭირო დროს, საჭირო ადგილას და როგორ გახდა 2004 წელს შს მინისტრ გიორგი ბარამიძის მოადგილე, მაგრამ ის ფაქტი რომ აფრასიძეების ოჯახის მიმართ განხორციელებულ სპეცოპერაციაში შეხმატკბილებულად მონაწილეობდნენ, სარწმუნო წყაროდანაა ცნობილი და იმ ვიდეომასალაშიც მკაფიოდ ჩანს, რომელსაც შსს აღფრთოვანებით იღებდა, ალბათ მკითხველს კარგად ახსოვს აღნიშნული სპეცოპერაციაც, დაწიოკებული ოჯახი, მიშას საყვარელი გვამებით და უდანაშაულოდ ნაწამები, დაპატიმრებული ხალხით. აღნიშნულის შესახებ, შემდეგ თვითმხილველები ტელეკამერების წინ გაოცებულები ყვებოდნენ რა მოხდა სინამდვილეში, როგორ მოითხოვა „ნაომარმა“ მინისტრმა გვამებზე დასაყოლებლად კუბდარი და ადამიანის არამსგავსმა მისმა თანამშრომელმა მიცვალებულს, ბეჭედი რომ ვერ მოხსნა როგორ მოაჭრა თითი... ავთანდილ ანთაძე შსს მინისტრის მოადგილის პოსტის დატოვების შემდეგ, 2014 წლამდე გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი გახლდათ. სარწმუნო წყაროს ცნობით, მას ერთ-ერთი კლინიკის მონიტორინგის სამსახურის უფროსის დამადასტურებელი მოწმობა ამოუღეს შემთხვევაზე მისულმა პოლიციის თანამშრომლებმა. მესამე ყოფილი თანამშრომელი, რომელიც მამაგეიშვილს ახლდა და საპასუხო გასროლა ორჯერ განახორციელა ანთაძის მიმართულებით, გახლავთ „სოდის“ ფარული მეთვალყურეობისა დეპარტამენტის და შემდეგ კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის პირველი სამმართველოს ყოფილი უფროსი მიხეილ ვანიშვილი, პოლიციამ იგი მომხდარიდან რამოდენიმე საათში დააკავა და დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წინა ხელისუფლების დროინდელი შსს ს მაღალჩინოსნების დეკლარაციას თუ გადავხედავთ აღმოვაჩენთ, რომ მეორენახევრებიც მშვენიერ სამსახურებში ყავთ დასაქმებული, ქონებაც კოსმიური სიჩქარით ეზრდებათ და გასაოცარია, რომ არც ამ ხელისუფლების დროს არიან დაუსაქმებლები. შევარდნაძის დროინდელი „კორუმპირებული“ ჩინოსნების უმრავლესობას კი ზუსტად ვიცი „რკინის ბუტკებიც“ კი არ შეარჩინეს. მწარედ მახსოვს ვანო ორ გვამში დიდ პრემიას პირდებოდა ტურების ხროვას. ორასიათასს ჯილდოდ კი იმ პირს ვინც სამი ყოფილი სამხედროს ადგილმდებარეობას შეატყობინებდა. ცუდი მიჩვევა იცის სისხლმა, მისი სურნელი დიდხანს მიგყვება და მსხვერპლს გთხოვს...უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა ნაცხროვამ. ეხლა ერთმანეთს დაერივნენ, მათმა ერთ-ერთმა წევრმა ახლო ნათესავი პოლიციის თანამშრომელი ჯერ „მიშას ეპოქაში“ გამოასალმა სიცოცხლეს და მის ცოლს დააბრალა და მეორე ნათესავი ერთი წლის წინ გაისტუმრა საიქიოში, თითქოს შემთხვევით გაუვარდა. ამ ხელისუფლებაშიც ბევრი თანამოაზრე და მფარველი ყავდა როგორც ჩანს. რადგან ამჯერადაც გადაურჩა სასჯელს. როგორც ჩანს რაღაც უხილავი ძალა ცდილობს დაანახოს ხალხს, ბუმერანგის პრინციპით ყველაფერი რომ უკან ბრუნდება.

რასაკვირველია სამწუხარო ამბავი მოხდა, ახალგაზრდა კაცი, მეგობრის და ყოფილი კოლეგის ზურგში ნასროლი ტყვიით დაიღუპა, სამწუხაროა ის ფაქტიც, რომ ნაციონალურმა რეჟიმმა ადამიანებს მენტალიტეტი და ღირებულებები ერთი ძირეულად შეუცვალა, დაღუპეს არა მარტო მოწინააღმდეგეები არამედ მომხრეებიც და ერთგული მსახურნიც. თაობები თაობებს გადაკიდეს და ეხლაც უსინდისოდ ცდილობენ ხელისუფლებაში მოსვლას.. მოკლულს საკუთარი მაღაზიაც ჰქონია და კიდევ რაღაც ბიზნესიც. იმ ადამიანების ოჯახები კი რომელიც ნაცხროვამ გაძარცვა, დააწიოკა დაიჭირა და დახოცა დღესაც სიღარიბის ზღვარზე არიან და ციხეში ყოფნის პერიოდში ნახევრად მშიერ მათ შვილებს სკოლის წიგნების შეძენის საშუალებაც არ ჰქონდათ და დღემდე დასტრესილ დაკომპლექსებულები არიან. მავანი ამბობობს შურისძიება და სამართლიანობის აღდგენა დავივიწყოთო, მაგრამ მათ არ შეხებიათ ის საშინელი ტერორი რაც სხვებმა გადაიტანეს და ამიტომაც შეუძლიათ სხვის ნაცვლად პატიება. ამ სლოგანმა -ზემოთ ღმერთია და დედამიწაზე პოლიცია- აქტუალობა დაკარგა, კოჰაბიტაცია თუ არ დასრულდა და ყველა წინა ხელისუფლების „გმირი“ არ დაისაჯა მაშინ ღმერთი იზრუნებს სამართლიანობის აღდგენაზე და უფრო დიდი დანაკარგით, ვიდრე მავანთ წარმოუდგენიათ!



ავთანდილ ანთაძე

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

### საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე საჭიროდ მიიჩნევს, მის მიერ გახმაურებულ ფაქტებზე ინფორმაცია პრეზიდენტსა და პრემიერს პირადად გააცნოს

**საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილსა და საქართველოს პრეზიდენტს შორის ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ინიციატივით - პრემიერ-მინისტრთან სატელეფონო საუბარი შედგა. ამის შესახებ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.**

**„დღეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ სასამართლოში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა სასამართლოსა და ზოგიერთ მოსამართლეზე განხორციელებული ზეწოლის მცდელობასთან დაკავშირებით. ასევე გამოთქვა მზადყოფნა, შეხვედროდა ქვეყნის უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირებს, რათა გაეცნო მათთვის დეტალები.**

**აღნიშნული განცხადების შემდეგ შედგა სატელეფონო საუბარი საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარესა და საქართველოს პრეზიდენტს შორის, ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის ინიციატივით - პრემიერ-მინისტრთან. სატელეფონო საუბრის დროს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საჭიროდ მიიჩნევს მის მიერ ბრიფინგზე გახმაურებული ფაქტების შესახებ ინფორმაცია პირადად გააცნოს საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს, რამდენადაც ეს ინფორმაცია უკავშირდება ისეთ ფუნდამენტურ საკითხს, როგორიცაა საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებლობა და ამასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან სამართლებრივ და პოლიტიკურ საკითხებს.**

**აღნიშნული შეხვედრების შემდგომ სასამართლოს თავმჯდომარე გამოთქვამს მზადყოფნას შეხვდეს საქართველოს მთავარ პროკურორს”, - ნათქვამია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.**



# ვინ და რატომ „ნადირობს“ ამერიკის პრეზიდენტებზე?

თავისი არსებობის მანძილზე ამერიკის შეერთებული შტატებს 44 პრეზიდენტი ჰყავდა. პირველი პრეზიდენტი ჯორჯ ვაშინგტონი (1732-1799), კონსტიტუციის მიიღების შემდეგ აირჩიეს და ქვეყანას ორი საპრეზიდენტო ვადით 1789-დან 1797 წლებში მართავდა. ვაშინგტონის პრეზიდენტობის დროს დაარსდა ძირითადი ინსტიტუტები და სტრუქტურები, რომლებიც ამერიკაში დღემდე მოქმედებენ. მეორე საპრეზიდენტო ვადის გასვლის შემდეგ, ჯორჯ ვაშინგტონი დაბრუნდა მაუნთ-ვერნონში, სადაც სიცოცხლის უკანასკნელი დღეები ხშირად, სახელმწიფოს პირველი პირების მიმართ არაჯანსაღ ინტერესს ფსიქიურად დაავადებული პირები იჩენდნენ, რაც მათზე თავდასხმის მიზეზი ხდებოდა. ჩვენ შემოგთავაზებთ პლანეტის უძლიერესი სახელმწიფოს ლიდერებზე ყველაზე ცნობილი თავდასხმების ისტორიას.





## ენდრიუ ჯექსონი

ამერიკის პრეზიდენტების მკვლელობების სერია 1835 წლის 30 იანვარს დაიწყო, როცა ქვეყანას დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი და რიგით მე-7 პრეზიდენტი ენდრიუ ჯექსონი მართავდა.

გადასახლების დროს დაიღუპა ათასობით ადამიანი. ეს ახალ მიწებზეც გაგრძელდა, რადგან ინდიელები სრულიად განსხვავებულ კლიმატურ პირობებში აღმოჩნდნენ. ინდიელთა გადასახლების პროცესი თავისუფლად შეიძლება გენოციდად შეფასდეს, თუმცა ჯექსონზე თავდასხმის მიზეზი ეს კი არა, უმსხვილესი კერძო ფინანსური კორპორაციის გაუქმება გახდა, რომლის ნაცვლად, უამრავი კერძო საკრედიტო ორგანიზაცია დაფუძნდა. 1835 წლის 30 იანვარს კაპიტოლიუმის შენობაში მყოფ ჯექსონს ვინმე რიჩარდ ლოურენსი მიუახლოვდა. მან ჯიბიდან პისტოლეტი ამოიღო და სასხლეტს თითი ორჯერ დააჭირა, თუმცა იარაღმა არ გაისროლა. ლოურენსი უმუშევარი მღებავი იყო. მოგვიანებით მან განმარტა, რომ პრეზიდენტზე თავდასხმის მიზეზი ქრონიკული უმუშევრობა და უიმედობა გახდა. თავისი უბედურების მთავარ მიზეზად ლოურენსი ჯექსონი მიაჩნდა, რადგან მისი მოღვაწეობის შედეგად, კომპანია, რომელშიც ლოურენსი მუშაობდა, გაკოტრდა და დაიხურა.

## აბრაამ ლინკოლნი

ამერიკის პრეზიდენტებზე თავდასხმის სერია 1865 წლის 14 აპრილს გაგრძელდა, როცა სასიკვდილოდ დაჭრეს ქვეყნის მე-16 პრეზიდენტი, რესპუბლიკელი აბრაამ ლინკოლნი (1809-1865). ლინკოლნმა უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობა 1861 წელს დაიკავა. მისი პრეზიდენტობის დროს მოხდა სამოქალაქო ომი ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის. (1861-1865) და მთლიანად გაუქმდა ქვეყნის ტერიტორიაზე მონობა. მეორე ვადით არჩევის შემდეგ, ლინკოლნმა სამხრეთელებთან ომი გამარჯვებით დაასრულა. ამრიგად, ახალმა და პროგრესულმა ძველი დაამარცხა და ამერიკა ეკონომიკური განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა, მაგრამ ამას პრეზიდენტის სიცოცხლე შეეწირა. 1865 წლის 14 აპრილს, ფაქტობრივად, ომის დასრულებიდან ხუთ დღეში, მსახიობმა ჯონ უილკს ბუტმა ლინკოლნს თავში ესროლა. მკვლელობა ვაშინგტონის თეატრში, სპექტაკლის „ჩემი ამერიკელი ბიძა“



მიმდინარეობის დროს მოხდა. ბუტმა დანაშაულის ადგილიდან მიმალვა მოახერხა, მაგრამ 26 აპრილს ის პოლიციამ დააკავა. დევნის ოპერაციის დროს, ბუტმა კიდევ ერთი ადამიანი — პოლიციის სერჟანტი ბოსტონ კორბეტი შეიწირა. პრეზიდენტი 15 აპრილს გარდაიცვალა. აბრაამ ლინკოლნი ამერიკელი ხალხის ეროვნულ გმირად ითვლება.

## უილიამ მაკ-კინლი

ამერიკის პრეზოდენტების მკვლელობის სერია მე-20 საუკუნის დასაწყისიდანვე გაგრძელდა. მორიგი მსხვერპლი შტატების 25-ე პრეზიდენტი უილიამ მაკკინლი (1843-1901) გახდა. რესპუბლიკური პარტიის აქტიური



წევრი პრეზიდენტად 1895 წელს პირველი, ხოლო 1900 წელს მეორე ვადით აირჩიეს. 1901 წლის 5 სექტემბერს ნიუ-იორკის შტატის ქალაქ ბუფალოში, პანამერიკულ გამოფენაზე მყოფი პრეზიდენტი ამერიკელმა ანარქისტმა ლეონ ჩოლგოშმა (1873-1901) ხუთი ტყვით სასიკვდილოდ დაჭრა.

## თეოდორ რუზველტი

ამერიკის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი, რიგით 26-ე პრეზიდენტი თეოდორ რუზველტი (1858-1919) ქვეყნის უმაღლეს პოსტზე 1901 წლიდან 1909 წლამდე იმყოფებოდა. რუზველტზე თავდასხმა 1912 წლის 14 ოქტომბერს, მორიგი საპრეზიდენტო კამპანიის დროს განახორციელდა. ვისკონსინის შტატის ქალაქ მილუიკიში სიტყვით გამოსვლის წინ რუზველტს ფსიქიურად დაავადებული ჯონ შრენი მიუახლოვდა და 38-ე კალიბრის პისტოლეტიდან მკერდის არეში ესროლა. ტყვია რუზველტს გულის ქვეშ მოხვდა და დაჭრა, თუმცა სიკვდილს გადაურჩა, რადგან გულის ჯიბეში 50-ფურცლიანი გამოსვლის ტექსტი ედო და ფურცლებმა ჯავშანჟილეტის როლი ითამაშა. ჭრილობის მიუხედავად, პრეზი-



დენტობის კანდიდატმა სიტყვა, რომელიც 90 წუთს გრძელდებოდა, დაასრულა. ექიმებმა სხეულიდან ტყვიის ამოღებაზე უარი თქვეს, რადგან ეს უფრო დაამძიმებდა მის მდგომარეობას. რუზველტის სხეულში ტყვია 1919 წლამდე, მის სიკვდილამდე დარჩა. რაც შეეხება თავდამსხმელს, ის ფსიქიკურ კლინიკაში გაამწესეს. იგი დაჟინებით ითხოვდა , რომ ტყვია ტუზველტის გულიდან ამოეღოთ და მუზეუმში მოეთავსებინათ.

## ფრანკლინ დელანო რუზველტი

ფრანკლინ დელანო რუზველტი (1882-1945) ამერიკის შეერთებული შტატების 32-ე და ერთადერთი პრეზიდენტია, რომელიც ქვეყნის პირველ პირად ოთხჯერ აირჩიეს. მსახურობდა 1933-45 წლებში. მას აშშ-ის სამ უდიდეს პრეზიდენტთა რიგში მოიხსენიებენ. სწორედ ფრანკლინ რუზველტმა გაუწია შეუფასებელი



დახმარება საბჭოთა კავშირს ფაშისტურ გერმანიასთან ომის დროს და გააუქმა ე.წ. მშრალი კანონი, რითაც მაფიას უზარმაზარი დარტყმა მიაყენა. 1933 წლის 15 თებერვალს, საპრეზოდენტო არჩევნების შემდეგ და ინაუგურაციის წინ, ქალაქ მაიამიში სიტყვით გამოსვლისას, რუზველტს ანარქისტმა ჯუზეპე ზანგაპამ ესროლა. პრეზიდენტი სიკვდილისგან უბრალო ამერიკელმა ქალმა იხსნა. სანამ გასროლას მოასწრებდა, ქალმა თავდამსხმელს ხელში ჩაარტყა. ტყვია სხვა მიმართულებით წავიდა და შორიალოს მდგარი კონგრესმენი დაჭრა. რუზველტი შეერთებულ შტატებს თითქმის მთელი მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში ხელმძღვანელობდა და მცირე ხნით ადრე, ვიდრე ომი დასრულდებოდა ინსულტით გარდაიცვალა.

## ჯონ ფიცჯერალდ კენედი

ამერიკის პრეზიდენტების მკვლელობის სერია მე-20 საუკუნის მეორე ნახევარშიც გაგრძელდა. ახალგაზრდა და ენერგიული ჯონ ფიცჯერალდ კენედის (1917-1963) ინაუგურაცია 1961 წლის 20 იანვარს შედგა. მალე ყველასთვის ნათელი გახდა, რომ პრეზიდენტის პოლიტიკური და ეკონომიკური კურსი ქვეყნის უმსხვილეს კორპორაციებს უპირისპირდებოდა. კენედი მათ ფასების დაწევას აიძულებდა, რამაც გავლენიან ბიზნეს-წრეებში უკმაყოფილება გამოიწვია. ამასთან, ახალგაზრდა პრეზიდენტმა მარტინ ლუთერ კინგს შავკანიანების უფლებებისთვის ბრძოლაში დაუჭირა მხარი და საბჭოთა კავშირის მოთხოვნით, თურქეთიდან ბირთვული რაკეტები გაიტანა. ამან ერთ მხრივ, კარიბის კრიზისის შედეგად შექმნილი დაძაბულობა მოხსნა, მაგრამ მეორე მხრივ, გაზარდა კომუნისტური სახელმწიფოს ავტორიტეტი, რითაც პენტაგონის უკმაყოფილება გამოიწვია.

გავლენიან ამერიკულ წრეებში ჯონ კენედის მმართველობით უკმაყოფილოთა რაოდენობა იზრდებოდა, რასაც მალე პოლიტიკური შეთქმულება მოჰყვა.

გასაიდუმლოებული მკვლელობა, რომელმაც შტატების 35-ე პრეზიდენტი იმსხვერპლა, 1963 წლის 22 ნოემბერს, ტეხასის შტატის ქალაქ დალასში მოგზაურობის დროს მოხდა. ჯონ კენედი ათასობით ადამიანის თვალწინ გამოასალმეს სიცოცხლეს. აღსანიშნავია, რომ ამ დროს, დაცვამ საოცარი დაუდევრობა



გამოავლინა — სანამ კენედის ესროდნენ, არც ერთი მცველი ადგილიდან არ განძრეულა, რაც იმას ნიშნავს, რომ საიდუმლო სამსახურიც შეთქმულთა მხარეს იყო.

## ჯერალდ ფორდი

1975 წლის 5 სექტემბერს ჯერალდ ფორდს ტეროტისტული ბანდის წევრმა ლინეტ ფრომმა ესროლა. პრეზიდენტზე თავდასხმა წარუმატებელი აღმოჩნდა, რადგან ტყვია იარაღის ლულაში გაიჭედა. ორი კვირის შემდეგ, 21 სექტემბერს, ფორდს ისევ ესროლეს. თავდამსხმელი ამჯერადაც ქალი, მემარცხენეთა მოძრაობის აქტივისტი სარა ჯეინ მური იყო, რომელ-



მაც მიზანს ვერ მოახვედრა და პრეზიდენტი არ დაშავებულა. ჯერალდ ფორდი პრეზოდენტის პოსტზე 1977 წლის 20 იანვრამდე იმყოფებოდა.

### რონალდ რეიგანი

ამერიკის მე-40 პრეზიდენტი რონალდ რეიგანს (1911-2004) 1981 წლის 30 მარტს, ინაუგურაციიდან ორი თვის შემდეგ, ვაშინგტონში დაესხნენ თავს. რეიგანი სასტუმროდან მშენებელთა პროფკავშირის წევრებთან შეხვედრის შემდეგ გამო-



დიოდა. მოულოდნელად, მასთან ახალგაზრდა მამაკაცი მიიჭრა და ექვსჯერ ესროლა. რეიგანის გარდა, მისი გარემოცვის ექვსი წევრი დაიჭრა. რეიგანს ტყვია ფილტვებში მოხვდა, მაგრამ ეს პირდაპირი ნასროლი არ იყო. პრეზიდენტს მისივე ბრონირებული ლიმუზინიდან ასხლეტილი ტყვია მოხვდა.

ოპერაციის შემდეგ რეიგანი თავის საქმიანობას დაუბრუნდა. ფსიქიურად დაავადებული თავდამსხმელი ჯონ ჰინკლი კი ფსიქიატრიულ კლინიკაში მოათავსეს, სადაც დღემდე იმყოფება.

### ჯორჯ ბუში (უმცროსი)

„შავ სიაში" მოხვდა ამერიკის 43-ე პრეზიდენტი ჯორჯ ბუში უმცროსიც. მასზე თავდასხმა



2005 წლის 10 მაისს, თბილისში განხორციელდა. საქართველოს მოქალაქემ ვლადიმერ არუთუნიანმა იმ სცენის მიმართულებით, სადაც ბუში იმყოფებოდა, ხელყუმბარა ისროლა, რომელიც უბრალო შემთხვევითობის წყალობით არ აფეთქდა, რადგან წითელ ცხვირსახოცში მჭიდროდ იყო გადახვეული. პრეზიდენტი ცოცხალი და უვნებელი გადარჩა. თავდამსხმელი კი 20 ივლისს დააკავეს. არუთუნიანის პოვნაში სამართალდამცავებს პოლონელი ფოტოგრაფი დაეხმარა, რომელმაც შემთხვევით გადაიღო ადგილი, საიდანაც ასაფეთქებელი მოწყობილობა ისროლეს. არუთუნიანი სახლთან ახლოს დააკავეს. დაკავების ოპერაციის დროს, მან ქართული კონტრდაზვერვის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მოკლა. 2006 წლის 11 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლომ ტერორისტს სასჯელის უმაღლესი ზომა-უვადო პატიმრობა განუსაზღვრა.

2007 წელს იორდანიის პოლიციამ გამოავლინა შეთქმულება ჯორჯ ბუშის წინააღმდეგ. შეთქმულები გეგმავდნენ ამერიკის საელჩის აფეთქებას იმ დროს, როცა იქ პრეზიდენტი იქნებოდა.

### ბარაქ ობამა

ბარაქ ობამაზე თავდასხმა მანამდე სცადეს, სანამ პრეზიდენტი გახდებოდა. 2008 წლის აგვისტოს ბოლოს, დენვერში დემოკრატიული პარტიის წინასაარჩევნო ყრილობის მიმდინარეობის დროს დაიგეგმა თავდასხმა პრეზიდენტობის კანდიდატზე ბარაქ ობამაზე. გამოძიების ფედერალურმა ბიურომ მოახერხა დროულად დაეპატიმრებინა სამი ბოროტმოქმედი, რომლებსაც კატეგორიულად არ სურ-



დათ, რომ არჩევნებში აფროამერიკელს მიეღო მონაწილეობა.

და ბოლოს, საიდუმლო სპეცსამსახურის მუშაობა, რომელიც სახელმწიფო ლიდერების უსაფრთხოებას უზრუნველყოფს, წლიდან წლამდე იხვეწება, ამიტომ პრეზიდენტებზე თავდასხმის შანსებიც ყოველწლიურად მცირდება, თუმცა ტერორისტებიც არ არიან გულზე ხელებდაკრეფილები და ადამიანების განადგურების ახალ და ახალ საშუალებებზე მუშაობენ..

მოამზადა
**ნელი თორდიამ**
571 35 36 88

# სპორტი, პოლიტიკური იარაღი?



„შენ ხარ სპორტი და შენ ხარ მშვიდობა! შენ აახლოებ ადამიანებს, თესავ სიკეთის თესლსა და მერე თავადვე იმკი საკუთარი სიკეთის ნაყოფს. შენ შთააგონებ ახალგაზრდობას, რომ პატივი სცენ საკუთარ თავს და მშობლიურ მიწას და შენ ასწავლი ადამიანებს, რომ ერთადერთი სამართლიანი ბრძოლა, ეს არის ბრძოლა საქვეყნო მშვიდობისთვის", — ეს სიტყვები ეკუთვნის თანამედროვე ოლიმპიური თამაშების სულისჩამდგმელს, ფრანგ პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს პიერ დე კუბერტენს და ცნობილია სახელწოდებით „ოდა სპორტს". ისტორიული ექსკურსით თავს არ შეგაწყენთ, მაგრამ ერთს კი ვიტყვით — ძველ საბერძნეთში ოლიმპიური თამაშების დროს საომარი მოქმედებებიც კი ჩერდებოდა.

კუბერტენსაც სურდა, თანამედროვე ოლიმპიურ თამაშებსაც შეესრულებინა სამშვიდობო მისია, გამიჯნული ყოფილიყო პოლიტიკისგან. თავიდან ასეც იყო, თუმცა, 1916, 1940 და 1944 წლებში, მსოფლიო ომების მიზეზით, თამაშები არ გამართულა.

ოლიმპიური თამაშები და, საერთოდ, სპორტი, მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში, სამწუხაროდ, პოლიტიზებული გახდა.

თავდაპირველად პოლიტიკური ბატალიები მხოლოდ სპორტულ არენაზე ვითარდებოდა, თუ რომელი ქვეყანა დაისაკუთრებდა მედლების უფრო მეტ რაოდენობას. სპორტის აშკარა პოლიტიზება 1980 წელს გამოვლინდა, როდესაც მსოფლიოს რიგმა, ე.წ. კაპიტალისტურმა ქვეყნებმა, აშშ-ის მეთაურობით, ბოიკოტი გამოუცხადეს მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებს. ამის მიზეზი ავღანეთში ყოფილი საბჭოთა კავშირის ჯარების შეყვანა გახდა.

საპასუხოდ, ყოფილმა სოციალისტური ბანაკის ქვეყნებმა 1984 წლის ლოს-ანჟელესის ოლიმპიურ თამაშებს გამოუცხადეს ბოიკოტი და გამართეს ე. წ. კეთილი ნების თამაშები. ბოიკოტებით სამყაროში იმ დროს პოლიტიკური ვითარება ოდნავადაც არ შეცვლილა, ყველაფერი ისევ ისე დარჩა, როგორც იყო.

საკითხავია, მაშინ რა საჭირო იყო მსგავსი აქტები, თუ არაფერი შეიცვლებოდა, ან ვინ ისარგებლა ბოიკოტებით. სარგებლის რა გითხრათ, მაგრამ იზარალა სპორტმა, თავად ათლეტებმა. ნებისმიერი სპორტსმენის ოცნება და მიზანი ხომ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა და გამარჯვებაა. იმის გარდა, რომ, ორივე შემთხვევაში, ოლიმპიადები სანახაობრივად დაზარალდა, განსაკუთრებით სპორტსმენები დაიჩაგრნენ. რამდენიმეწლიანი გარჯა წყალში ჩაეყარათ. მათ შორის, ქართველ სპორტსმენებსაც.

უცნაურია, მაგრამ დღეს, 21-ე საუკუნეშიც, კვლავ გამოიყენება სპორტი პოლიტიკურ იარაღად. გავიხსენოთ თუნდაც შარშან ფეხბურთის მსოფლიოს და ევროპის საერთაშორისო ფედერაციებში განვითარებული მოვლენები. კორუფციის ბრალდებით ზოგიერთი ჩინოვნიკი ამერიკის ფედერალური გამოძიების ბიურომ დააპატიმრა, ზოგიერთს კი დაკავებული თანამდებობის დატოვება მოუხდა.

დაბეჯითებით ძნელია თქმა, მით უფრო, შორიდან, მართლა იყო თუ არა კორუფციული გარიგებები, მაგრამ საერთაშორისო ფედერაციებში არსებულ წყალქვეშა დინებებს ადგილი რომ აქვს, ამის შესახებ კულუარულად თავად სპორტში მოღვაწე ხალხი საუბრობს. საკითხავია, რატომ ითავა საქმის გამოძიება შორეულმა სახელმწიფომ და არა იმ ქვეყანამ, სადაც აღნიშნული ორგანიზაციები მდებარეობს. ამის საპასუხოდ არსებობს მოსაზრება (უცხოურ პრესაზე დაყრდნობით), რომ აღნიშნულმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა არ გაითვალისწინეს იგივე აშშ-ის ინტერესები და მაღალჩინოსნები ამიტომაც დაისაჯნენო.

რუსეთის ადვოკატობას ნურავინ დაგვაბრალებს, უბრალოდ, უხამსობაა სპორტის პოლიტიკურ იარაღად გამოყენება. თითქმის ორი წელია, აქტიურად საუბრობენ ზოგიერთი სპორტსმენის მიერ დოპინგის გამოყენების შესახებ. წლის დასაწყისში ქართველი მოჭიდავეებიც დაადანაშაულეს აკრძალული პრეპარატების გამოყენებაში. საბედნიეროდ, ფაქტი არ დადასტურდა.

მსოფლიოს ანტიდოპინგის სამსახური დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, მაგრამ, როგორც ჩანს, აღნიშნული ორგანიზაცია სხვათა კარნახით მოქმედებს. რუსი მძლეოსნები დაადანაშაულეს დოპინგის გამოყენებაში და ახლა მათი მონაწილეობა წლევანდელ ბრაზილიის ოლიმპიადაზე კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. დიახ, არავის ადვოკატობას არ ვაპირებთ და არც სურვილი გვაქვს, მაგრამ, როდესაც 2008, 2012 და 2014 (ზამთრის) წლების ოლიმპიადების დროს გამოყენებულ აკრძალულ პრეპარატებზე ედავები სპორტსმენს, სულ ცოტა, უხერხულია.

საერთოდაც, აკრძალული პრეპარატების ჩამონათვალი იმდენად დიდია, რომ ათლეტები კი არა, თავად სპორტული მედიცინის მუშაკებიც იბნევიან. ამის გარდა, ანტიდოპინგური სამსახურის წარმომადგენლები ნებისმიერ საერთაშორისო ასპარეზობას ესწრებიან. სად იყვნენ ისინი მაშინ? ბრალდებები იმ ადამიანის ჩვენებებზე დაყრდნობით წაუყენეს, რომელიც თავად არის მხილებული ასეთ დანაშაულში. თუმცა, როდესაც გაიჟღერა, რომ აკრძალული პრეპარატების მიღებას ქვეყნის პირველი პირები ახალისებენო, აშკარა გახდა, რომ პოლიტიკურ თამაშთან გვაქვს საქმე.

სავარაუდოდ, ვიღაცას არ სურს, ბრაზილიაში წლევანდელი ოლიმპიური თამაშები მშვიდად და მაღალ დონეზე ჩატარდეს. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ ქვეყნის პრეზიდენტს თამაშებამდე რამდენიმე თვით ადრე ფინანსური სკანდალი აუგორეს და თანამდებობას ჩამოაშორეს. აქ საინტერესოა ის გარემოება, რომ სკანდალი იმ ხალხმა ააგორა, რომელთა საქმეს სამართალდამცავები იძიებდნენ.

სპორტში პოლიტიკური თამაშებით, რომლებიც წესების გარეშე მიმდინარეობს, მხოლოდ სპორტი ზარალდება და, კარგავს იმ მომხიბლველობას, რისთვისაც უყვარს ხალხს. ვნახოთ, სადამდე მივა პოლიტიკური ასპარეზობა სპორტში.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# ისეთ სადღეგრძელოს ვიტყვი – ბულბულს დავსვამ ჭიქაზე!

## სიმონ სხირტლაძის გაკვეთილები



იგი არ ყოფილა ჩემი მასწავლებელი, მშობლიური ქართულის პედაგოგი.

სამწუხაროდ, არ მქონია ეგ ბედნიერება...

და მე შევნატრი, მაგალითად, თამაზ კვაჭანტირაძეს, როდესაც იგი სამაგალითო ტელელექციებითა და ლიტერატურული წერილებით გვიხატავს თავის მოძღვარს, სულის მწვრთნელს სიმონ (სიმონიკა) სხირტლაძეს.

აი, რას ამბობს ერთგან ბატონი თამაზი:

„...სიმონ სხირტლაძე იყო განხორციელებული, ხორცშესხმული მოძღვარი, ტიპურობისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მომავლის მასწავლებელი სწორედ იმისნაირი წარმომიდგენია — კაცი, რომელიც თავის პიროვნებაში გააერთიანებს პოეტსაც, მეცნიერსაც, აღმზრდელსაც. ჩვენს კლასს მართლაც იღბალი ჰქონია — მომავლის მასწავლებელი გვზრდიდა ადამიანებად, გვწვრთნიდა მოქალაქეებად, გვგეშავდა ქართველებად“.

აი, ბატონი სიმონის თამადობას კი ხშირად შევსწრებივარ (ცხონებულმა გურამ ხარაიძემ გამაცნო იგი ვერის ბაზარში). და მე, რაღა დაგიმალოთ, თამადობის პრეტენზიის მქონე ახალგაზრდა კაცი შევნატროდი ამ ხელჯოხიანი ღმერთკაცის მჭევრმეტყველებას, სიტყვა-პასუხს, სიდარბაისლეს, ვიმახსოვრებდი მის „გაკვეთილებს“ — სადღეგრძელოებს... თუმცა, მოდით, ბატონ ოთარ ჭელიძეს — აწ გარდაცვლილ შესანიშნავ პოეტს მოვუსმინოთ:

„ხალხური და კლასიკური პოეზიის, განსაკუთრებით კი სასულიერო მწერლობის საფუძვლიანი ცოდნა მეგობრულ სუფრაზე მის სწორუპოვარ თამადობას ფრთებს ასხამდა, სათქმელის წარმოთქმას აიოლებდა.

ზოგიერთ ქართველს თუ არაქართველს ირონიულად ელიმება სიტყვა „თამადის“ ხსენებისას, მაგრამ საქართველოში თამადობის მრავალსაუკუნოვან ინსტიტუტს უძლურ ცინიკოსთა ქირქილი ვერას დააკლებს... მოინტელიგენტოთა ირონიას მხოლოდ ზოგიერთი სუფრის ლოთური წრეგადასულობა, უნიჭობა და უბადრუკობა აძლევს საფუძველს. ისინი არ შესწრებიან არც ჩვენი უფროსი თაობის დიდებულ წარმომადგენელთა და შემდგომ არც სიმონ სხირტლაძის სასწაულებრივ თამადობას.

მახვილგონივრული გამოთქმების, იგავების, ქარაგმების, აფორიზმების, მოსწრებული სიტყვა-პასუხის, თქმების ფეიერვერკით მას ჩვენი დროის საქართველოში ვერავინ გაუწევდა მეტოქეობას, სიმონისავე თქმისა არ იყოს, მართლაც რომ „ბულბულს დასვამდა ჭიქაზე“.

სწორედ ამან ათქმევინა სიმონ სხირტლაძისადმი მიძღვნილ ლექსში სულმნათ გიორგი შატბერაშვილს:

ისეთ სადღეგრძელოს ვიტყვით,
ბულბულს დავსვამთ ჭიქაზე,
ვარდის ტოტზე დაჩვეული
ჩვენთან ჯდომას იკადრებს.

აი, სიმონ სხირტლაძის სადღეგრძელო მშობლიურ სოფელ მრავალძალზე და შქმერელ აღდგომელა გლოველზე (ჩაწერილია მაგნიტოფონზე):

„ძმებო, მე მრავალძალელი კაცი ვარ და სადაც არ უნდა ვიყო, იქითკენ მიმიწევს გული. იქ მეგულება მამა-პაპათა საფლავი, სამლოცველო, ჩემი ბავშვობის სანუკვარი, მაგრამ დღეს უკვე გაფრენილა წლები და აი, ახლა, როცა ჩემი სიცოცხლის მზეს ნელ-ნელა სიცხოველე აკლდება, როცა დღეს თუ ხვალ ყოველთა დამამხობელი ანგარიშს გამისწორებს, ჩემი საწადელი უცვლელი და რაინდული რჩება: ჩემი სხეული მიიბაროს იმ მიწამ, რომლითაც განგებამ მე ამაშენა, ადამიანის სახე და ხატება მომმადლა. როგორც ერბო დადნება ცხელ ტაფაზე, ასევე ესიამოვნება ჩემს სხეულსაც მრავალძალის მიწაში დადნობა, იქ გადასვლა მარადისობაში.

...„ამჯერად მე მინდა, რომ თქვენ წინაშე გავაცოცხლო ქართული სუფრის უძლეველი ფალავანი, ლეგენდებში გადასული შქმერელი კაცი აღდგომელა გლოველი.

არავინ იფიქროს, თითქოს ღვინით თრობის პროპაგანდას ვეწეოდე, მაგრამ ცხოვრებაში ყველაფერი საჭიროა, ყველაფერში ვაჟკაცები უნდა ვიყოთ.

როცა ფრანგმა მწერალმა ალექსანდრე დიუმამ ორთაჭალის ბაღში განთქმული ქართველი მოქეიფეები წამოაჩოქა, სად იყო მაშინ ჩვენი აღდგომელა, მისი განიერი გულ-მკერდი და ღვინის ტევადობა... მიყვარდა და მიყვარს ეს სულგანათლებული ადამიანი, რომლის სახელიც რაჭის ეთნოგრაფიაში სამარადისოდ შევიდა“.

მახსოვს, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, ვერის უბანში პურ-მარილის შემდეგ, გვიან ღამით, გურამ ხარაიძემ და მე ბატონი სიმონი სახლამდე მივაცილეთ. იქვე ცხოვრობდა, გოგებაშვილის ქუჩაზე. რა თქმა უნდა, შინ შეგვიპატიჟა. უარი აღარ გაგვივიდა და ავყევით. შემოგვეგება სიმონის მეუღლე, შესანიშნავი ქალბატონი თამარ ჯაფარიძე. ვიგრძენით, როგორ შეწუხდა იგი — ამ შუაღამით სტუმრები... მაგიდის გაწყობა... სიმონს რა დააბნევდა: „გული დადე, თამარ, მაგიდაზე, გული! გულია მთავარი!“ — შეუძახა მეუღლეს. მაშ!.. ეს, მგონი, ჩვენი ბოლო შეხვედრა იყო, მალე წავიდა ამ ქვეყნიდან ლეგენდარული სიმონ სხირტლაძიე.

**ვილენ მარდალეიშვილი**

# მაიკლ როკფელერი – მილიონერი, რომელიც აბორიგენებმა შეჭამეს

**როკფელერები მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გვარია, მაგრამ ამ გვარის ერთ-ერთი წარმომადგენლის ცხოვრების ისტორია სისხლით არის დაწერილი. ცნობისმოყვარე ახალგაზრდა ახალი გვინეის ჯუნგლებში უკვალოდ გაქრა. ბევრი მკვლევარის მოსაზრებაზე დაყრდნობით, ახალგაზრდას დიდი პატივი ერგო – აბორიგენებმა იგი დიდი პატივისცემის გამო შეჭამეს.**



### ნიუ-იორკის გუბერნატორის ვაჟი

მაიკლ როკფელერი 1938 წელს მოევლინა სამყაროს ნელსონ როკფელერის, ამერიკის უმდიდრესი ადამიანის ოჯახში. ჯერ კიდევ ბავშვობიდან მაიკლი ისტორიამ და ანთროპოლოგიამ გაიტაცა, მას ამისთვის ყველა პირობა ჰქონდა — მამა ბევრ ფულს ხარჯავდა ძვირადღირებულ წიგნებზე, იძენდა შვილისთვის არტეფაქტებს. როკფელერების ოჯახი, ამასთანავე, აფინანსებდა ანთროპოლოგიის ინსტიტუტს, გამოყოფდა მისთვის დიდ თანხებს სამეცნიერო კვლევების ჩასატარებლად, ბიჭუნა კი პატარაობიდან სამეცნიერო წრეებში ტრიალებდა. მაიკლმა მყარად გადაწყვიტა, მეცნიერი გამხდარიყო და ეს გადაწყვეტილება მოზრდილ ასაკშიც არ შეუცვლია.

1960 წელს მაიკლ როკფელერმა ჰარვარდის უნივერსიტეტი დაამთავრა, რის შემდეგაც ახალგაზრდა როკფელერი ოკეანიაში სახიფათო და მომხიბვლელ მოგზაურობაში გაემგზავრა...

### თავისქალებზე მონადირენი

მაიკლმა და მისმა თანამგზავრმა, ჰოლანდიელმა ეთნოგრაფმა რენე ვასინგმა ორი მეგზური დაიქირავეს — ლეო და სიმონი და მათთან ერთად მოგზაურობდნენ აბორიგენების დასახლებებში და ფოლადის ნემსკავებსა და ცულებს ცვლიდნენ პაპუასების საყოფაცხოვრებო ნივთებზე.

ახალგაზრდა მკვლევარებმა შესანიშნავი კოლექცია შეაგროვეს (მოგვიანებით ეს კოლექცია ნიუ-იორკის პირველყოფილი ხელოვნების მუზეუმის მშვენებად იქცა), მაგრამ მიღწეულზე შეჩერებას არ აპირებდნენ.

ვასინგმა და როკფელერმა გადაწყვიტეს ასმატების — ადგილობრივ სისხლისმსმელ ტომში — დაკარგულ დასახლებაში ჩასვლა, რათა იქ უნიკალური არტეფაქტები მოეპოვებინათ. ცოტა ხნით ადრე როკფელერს პაპუასების შამანმა უთხრა, რომ მის სახეზე მიცვალებულის ნიღაბს ხედავდა.

შამანმა გააფრთხილა მკვლევარი, რომ ასმატებთან არ წასულიყო. ამ ტომში თვლიან, რომ ადამიანის სული იმ ადამიანში გადადის, რომელიც მას მოკლავს და შეჭამს. ამიტომ კანიბალიზმი მათი ცხოვრების ნორმაა.

მაგრამ მაიკლმა არ დაუჯერა შამანს და ექსპედიცია 18 ნოემბერს გზას გაუდგა... ახალგაზრდა მეცნიერებმა და მათმა გამცილებლებმა გადაწყვიტეს, ასმატების იმ დასახლებაში, რომელიც ძალიან მოშორებით მდებარეობდა, მდინარით მიეღწიათ. მაიკლმა პაპუასებისგან თვითნაკეთი კატამარანი შეიძინა. მასზე ძრავი დაამაგრა და მკვლევარები გზას გაუდგნენ. პაპუასებმა, დაინახეს რა, რომ ხომალდი გადატვირთული იყო, გააფრთხილეს მაიკლი, რომ მას უბედურება ელოდა, რადგან ამ ადგილებში ძალიან დიდი ტალღები იყო მოსალოდნელი, მაგრამ მან გაფრთხილებას ყური არ უგდო...

კატამარანი ჯერ შეუფერხებლად მიიწევდა წინ, მერე კი სწრაფ, მჩქეფარე დინებაში მოხვდა, ნავში წყალი ასხამდა. ძრავი დასველდა და ჩაქრა. ამ ადგილებში ბევრი ნიანგი იყო და ადამიანები ვერ ბედავდნენ თავიანთი არასაიმედო თავშესაფრის დატოვებას, სადაც სურსათის მარაგი და ძვირფასი აპარატურა იყო.

ნაპირამდე მანძილი დაახლოებით 3 კმ იყო და როკფელერმა გადაწყვიტა, თავისი გამცილებლების სიცოცხლე გაეწირა და ისინი მშველელების მოსახმობად გაგზავნა. ლეომ და სიმონმა ტანზე საწვავის კანისტრები მიიბეს და ნაპირისკენ გაცურეს. მათ მიაღწიეს მიწამდე, მაგრამ ჯუნგლებში დაიკარგნენ და ისინი მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ იპოვეს.

მაიკლი და რენე ამაოდ ელოდნენ დახმარებას. მოულოდნელად უზარმაზარმა ტალღამ გადაუარა კატამარანს და გადააბრუნა. რენემ ნავის ნატეხს ჩაავლო ხელი, მაიკლმა კი დაუყვირა, რომ ნაპირისკენ გაცურავდა. ვასინგმა უარი უთხრა მაიკლს გაყოლაზე და თვალს ადევნებდა, როგორ ეფარებოდა მისი მეგობარი ჰორიზონტს...

მაიკლ როკფელერის, ამერიკის ყველაზე მდიდარი მემკვიდრის, მოსაძებნად ყველა ღონე იყო გამოყენებული, მაგრამ მაიკლ როკფელერის კვალს ვერ მიაგნეს.

ნიუ-იორკიდან ნელსონ როკფელერიც ჩამოფრინდა, რომელმაც უზარმაზარი თანხა გაიღო შვილის მოსაძებნად, მაგრამ ვერც მაიკლი იპოვეს და ვერც მისი ნეშტი.

### რკინის თვალები

აი, უკვე რამდენიმე ათეული წელია, მკვლევარები მთელი მსოფლიოდან მაიკლ როკფელერის გაქრობის საიდუმლო ამოხსნას ცდილობენ.

ყველაზე გავრცელებული ვერსია მილიონების მემკვიდრის დაღუპვის შესახებ ასე ჟღერს — იგი აბორიგენებმა შეჭამეს. მაიკლმა მშვიდობიანად მიაღწია მიწას, მაგრამ ველური ტომის ხელში აღმოჩნდა. ეს ვერსია ეფუძნება ქრისტიანი მისიონერის იან სმიტის სიტყვებს, რომლიც მისიაც ასმატების დასახლებასთან ახლოს მდებარეობდა. იგი ამტკიცებდა, რომ ერთხელ მან დაინახა, როგორ მიჰქონდათ ასმატებს დაკარგული როკფელერის ტანსაცმელი, ამასთანავე, აჩვენეს ძვლები, რომელიც თითქოს დაკარგულ ახალგაზრდას ეკუთვნოდა. მაგრამ სმიტი თავადაც ტრაგიკულად დაიღუპა და ამ ცნობების დაზუსტება ვერ მოხერხდა. სკეპტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ ტანსაცმლის დატოვება მაიკლს აბორიგენებთან სხვა დროს სტუმრობისას შეეძლო, ხოლო ძვლები, შესაძლოა, სხვა ვინმესი ყოფილიყო.

მოამზადა
**ბელა გველესიანმა**
568 908 122

# ადოლფ ბეკი — ორეული ციხეში

## ადოლფ ბეკის საქმე ბრიტანეთის სამართლის ისტორიაში სააპელაციო სასამართლოსა და დაქტილოსკოპიის შექმნის წინაპირობა გახდა

**ისტორიაში ბევრი სულელური, ტრაგიკული და სახალისო ამბავია შემონახული, რომლებიც ადამიანების სხვა ადამიანთან მსგავსებას, შეცდომით „სხვა ადამიანებად ჩათვლას“ უკავშირდება. ასეთ ყველაზე სევდიან მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს მოვლენათა ჯაჭვი, რომელიც XIX საუკუნის ბოლოს ლონდონში მოხდა. შეცდომის მსხვერპლი ვინმე ადოლფ ბეკი გახდა...**



### „ლორდი“ ერთი საათით

1894 წლის დეკემბრიდან დაწყებული, სკოტლანდ-იარდი მარტოხელა ქალების განცხადებებმა აავსო. ყველა საჩივრის არსი ერთი იყო: წარმოსადეგი შესახედაობის მქონე სოლიდურად ჩაცმული შუახნის ჭაღარა მამაკაცი „შემთხვევით“ იცნობდა მარტოხელა და არც თუ მდიდარ ქალბატონებს.

იგი მათ თავს ხან ლორდ უილტონად წარუდგენდა, ხან ლორდ სელისბერად, ხან კიდევ სხვა რომელიმე ცნობილ პიროვნებად. ხანმოკლე „მიჯნურობის“ შემდეგ „ლორდი“ თავის მსხვერპლს ან იახტაზე გასეირნებას, ან საგვარეულო ციხესიმაგრის დათვალიერებას ან კიდევ სახლის ეკონომი ქალის თანამდებობას სთავაზობდა (მსხვერპლის ასაკიდან გამომდინარე), თან საჭირო სამოსის შესაძენად ჩეკსაც უწერდა. სანაცვლოდ კი ქალს სთხოვდა, მიეცა მისთვის სამკაულები, თითქოსდა იმისთვის, რომ შეერჩია ქალბატონისთვის უფრო ძვირფასი ნივთები.

ყველა ქალი, ამ ისტორიის დასაწყისისთვის მათი რიცხვი ორ ათეულს აჭარბებდა, მას თავის სამკაულებს აძლევდა. რის შემდეგაც „ლორდი“ სამუდამოდ ქრებოდა სამკაულებთან ერთად, ჩეკი კი, რა თქმა უნდა, ყალბი იყო.

სავარაუდო ბოროტმოქმედის დაჭერა შემთხვევამ განაპირობა. ერთ-ერთი მოტყუებული ქალბატონი ქუჩაში შემთხვევით შეხვდა „წარმოსადეგ, ხანშიშესულ, ჭაღარა მამაკაცს“ და მაშინვე პოლიცია გამოიძახა.

„ლორდს“, რომელმაც თავი ალფრედ ბეკად წარადგინა, არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია, თამამად წაყვა პოლიციელებს საპოლიციო უბანში, სადაც განაცხადა, რომ ამ ქალბატონს პირველად ხედავდა.

ბეკი ამტკიცებდა, რომ იგი 1841 წელს დაიბადა ნორვეგიაში და 1865 წელს გადავიდა ინგლისში საცხოვრებლად, სადაც სანაოსნო კომპანიაში მაკლერად მუშაობდა. იგი ბევრს მოგზაურობდა. 1868 წელს სამხრეთ ამერიკაში გაემგზავრა, სადაც ბუენოს-აირესში სავაჭრო გარიგებებში შუამავალი იყო, პერუში იარაღით ვაჭრობით დიდი ფული იშოვა და ნორვეგიაში 1884 წელს დაბრუნდა.



იქ შეიძინა სპილენძის საბადო, რომლის შემოსავლებითაც ამჟამად ცხოვრობს და არაფერში სჭირდება ქალების გაძარცვა. მალე მისი თავდაჯერებულობიდან აღარაფერი დარჩა, რადგან გაძარცვულმა ქალებმა ერთხმად ამოიცნეს მამაკაცში მატყუარა „ლორდი“.

ბეკის ბრალდების უკანასკნელი წვეთი პოლიციაში მისული ანონიმური წერილი გახდა, რომელშიც მოთხრობილი იყო, რომ ლონდონში ცხრამეტი წლის წინათ ზუსტად ამგვარი დანაშაულობების გამო დააპატიმრეს ვინმე ჯონ სმიტი. ციხიდან გამოსვლის შემდეგ და უკვალოდ გაქრა. ანონიმური წერილის ავტორი ვარაუდობდა, „ხელწერის“ მიხედვით ბეკი იგივე ჯონ სმიტიაო.

პოლიციამ გადაწყვიტა ინფორმაციის გადამოწმება და ყოფილი პატიმრის საქმე გამოითხოვა. გაირკვა, რომ ძარცვის მეთოდები, რომლებსაც ბეკს აბრალებდნენ, მთლიანად ემთხვეოდა დაკარგული სმიტის ქმედებებს. ამას ისიც დაემატა, რომ პოლიციაში ჯერ კიდევ მსახურობდნენ ის ადამიანები, რომლებმაც თავის დროზე სმიტი დააპატიმრეს და მათაც დაადასტურეს, რომ ალფრედ ბეკი იგივე ჯონ სმიტი იყო!

### სასწრაფოდ საკანში!

ბეკის იდენტიფიკაცია დაზარალებულებისა და ორი პოლიციელის მიერ იმდენად დამარწმუნებელი იყო, რომ სასამართლო ბრალმდებელმა საჭიროდ არ ჩათვალა ადოლფ ბეკისა და ჯონ სმიტის გარეგნობის შედარება, რომლის აღწერაც დამნაშავეთა კარტოთეკაში არსებობდა. ეს რომ გაეკეთებინათ, აუცილებლად შეამჩნევდნენ, რომ სმიტს ნაცრისფერი თვალები ჰქონდა, ბეკს კი — ცისფერი...

სასამართლოზე დაზარალებულმა ქალებმაც და პოლიციელებმაც დაადასტურეს საკუთარი ჩვენებები. ბეკი ცდილობდა, დაემტკიცებინა, რომ 1877 წელს, როცა სმიტი დასაჯეს, იგი ინგლისშიც კი არ იმყოფებოდა, მაგრამ მას არავინ მოუსმინა. 1895 წლის 5 მაისს მსაჯულებმა ბეკი დამნაშავედ ცნეს და მას შვიდი წლით პატიმრობა მიესაჯა.

1896-დან 1901 წლამდე ბეკმა ათჯერ მოითხოვა მისი საქმის გადახედვა, თან განუწყვეტლივ ამტკიცებდა, რომ 1877 წელს იგი სამხრეთ ამერიკაში იმყოფებოდა და ჯონ სმიტის დანაშაულობებს ვერ ჩაიდენდა. მაგრამ ინგლისში ჯერ კიდევ არ არსებობდა სააპელაციო სასამართლო და ბეკი ამაოდ დაშვრა.

ბეკის ადვოკატებმა შეაგროვეს ცნობები სმიტის შესახებ და გაარკვიეს, რომ იგი ებრაელი იყო და წინადაცვეთა ჰქონდა ჩატარებული. ექიმებმა ბეკი შეამოწმეს, მაგრამ მოსამართლემ უარყო ადვოკატების მცდელობა.

მთელი შვიდი წელი გაატარა ალფრედ ბეკმა გისოსებს მიღმა. ციხიდან გამოსვლის შემდეგ დარჩენილი თანხა საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცებაზე დახარჯა.

1904 წლის 15 აპრილს ბეკი ლონდონის ქუჩებში ჩაფიქრებული მიდიოდა, და ეძებდა გზებს, როგორ აღედგინა დაკარგული ქონება. ამ დროს მასთან მივიდა უცნობი ქალი, დაჟინებით ჩახედა თვალებში და უთხრა, რომ მას იცნობდა...

ბეკი შეძრწუნდა — კოშმარი, რომელიც მის ცხოვრებაში რვა წელი გრძელდებოდა, თავიდან იწყებოდა: უსაფუძვლო ბრალდებები, პოლიციის განყოფილება, ოქმი და მრავალრიცხოვანი მსხვერპლი, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ დამნაშავე სწორედ ის იყო!

ალფრედ ბეკის დაპატიმრების მიზეზი 1904 წლის 22 მარტს პოლიციაში ერთი ქალბატონის მიერ შეტანილი განცხადება გახდა, რომელიც ამტკიცებდა,



რომ ქუჩაში მასთან ჭაღარათმიანი წარმოსადეგი მამაკაცი მივიდა, რამდენიმე კომპლიმენტის შემდეგ ქალს შესთავაზა მის სახლში ეკონომის თანამდებობა. დანარჩენი კი პოლიციისთვის 1896 წლიდან ცნობილი სქემის მიხედვით წარიმართა.

მას შემდეგ, რაც გაზეთებში გაჩნდა ინფორმაცია ბეკის დაპატიმრების შესახებ, სკოტლანდ-იარდს კიდევ ოთხმა ქალმა მიმართა ანალოგიური ბრალდებებით.

ალფრედ ბეკი საბოლოოდ გატყდა. ახლა მას უკვე აღარ ჰქონდა ადვოკატების დასაქირავებელი ფული. მსაჯულებმა გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანეს, მაგრამ ბეკის პირველად დაპატიმრების შემდეგ ბრიტანეთის სასამართლო წარმოებაში ბევრი რამ შეიცვალა, თანაც მოსამართლეც უფრო ჭკვიანი აღმოჩნდა — მან ბეკი წინასწარი დაკავების ციხეში გაგზავნა.

### სასწაულებიც ხდება

ბედისწერა ბეკის სასარგებლოდ შემოტრიალდა. სასამართლოს გამართვიდან ათი დღის შემდეგ, 1904 წლის 7 ივლისს, პოლიციელებმა დააპატიმრეს ადამიანი, რომელიც ბეჭდებს ყიდდა. როგორც გაირკვა, მან ისინი მსახიობ ქალებს გამოსტყუა. სამართალდამცავების გასაკვირად, ქალბატონებმაც იგივე თქვეს, რასაც ბეკის საქმეზე დაკითხულები ამბობდნენ.

გამომძიებელი, რომელიც ბეკის საქმეს იძიებდა, სასწრაფოდ გაემართა ახალდაპატიმრებული „ლორდის“ მოსანახულებლად. შეხედა თუ არა დამნაშავეს, სახეზე ხელები აიფარა — მის წინ ზედგამოჭრილი ალფრედ ბეკი იჯდა...

კვლავ დაიწყო გამოძიება. დაზარალებულები და მოწმეები თვალებს არ უჯერებდნენ, როცა ორ ერთნაირ ადამიანს ხედავდნენ, მაგრამ ხელს ბეკს კი არა, მეორე დაკავებულს ადებდნენ. ბრალდებების სიმრავლის გამო დამნაშავემ დანაშაულობები აღიარა. ჯონ სმიტი კიდევ დიდხანს დაუსჯელად შეძლებდა გაეგრძელებინა დანაშაულობების ჩადენას, მაგრამ შეცდომა დაუშვა, როცა ბეკის განმეორებით დაპატიმრების შემდეგ კვლავ გაარძელა ჩვეული „საქმიანობა“.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბეკი მალევე გაათავისუფლა. იგი სრულიად რეაბილიტირებული იქნა და მიეცა კომპენსაცია 5000 გირვანქა სტერლინგის ოდენობით. ამ შემთხვევამ საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია და საქმე სკოტლანდ-იარდის ღია დადანაშაულებამდეც მივიდა.

ბეკთან დაკავშირებული სკანდალის გამო, ბრიტანეთის სამართლის ისტორიაში პირველად შეიქმნა სააპელაციო სასამართლო. უფრო მეტიც, პიროვნების ზუსტი იდენტიფიკაციის აუცილებლობასთან დაკავშირებით ჩატარდა სერიოზული სამუშაოები ამ დარგში და შეიქმნა დაქტილოსკოპია. ახლა ბრიტანელ მოსამართლეებს შეეძლოთ დაეფიცათ, რომ ამგვარ საშინელ შეცდომას აღარასოდეს დაუშვებდნენ.

მოამზადა
**ბელა გველესიანმა**
568 90 81 22

# მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

## ვინ მოპარა საქართველოს ისტორიას 4 000 წელი?

**(გაგრძელება. დასაწყისი „საერთო გაზეთი“ N15-24)**

მზის ორჯერ ამოსვლა ვახსენეთ გილგამეშის მოგზაურობისას „ედენას ტევრში“, რომ შოდის (შედუ) ქედის მწვერვალზე, ლოღორაზე, მართლაც აქვს მზის ორჯერ ამოსვლის მოვლენას ადგილი...

გავრცელდა ინფორმაცია, რომ მეცნიერებამ ბიბლია (რომელსაც წინ უსწრებს 4 ათასწლეულით დაკარგული (თუ მოპარული?) „ეფუთი“) აღიარა – NASA-ს ახალი აღმოჩენები ბიბლიას შეესაბამება, ანუ ფაქტობრივად, ბიბლიური ისტორიები სიმართლეს შეესაბამება.



„გილგამეშის ეპოსის“ მე-5 ფირფიტა

ინფორმაციის მიხედვით, ბატონმა აროლ ისრესიდენტმა, რომელიც კომპანია „ბალტიმორის“ თანამშრომელია პროგრამირების სივრცეში, ასეთი რამ განაცხადა: „ერთ-ერთი ყველაზე საოცარი რამ, რაც ღმერთმა შექმნა, ჩვენთვის ცოტა ხნის წინ გახდა ცნობილი და ჩვენი ასტრონავტების მიერ იქნა აღმოჩენილი კოსმოსში – ეს არის „მწვანე ქამარი“, მერილენდი.“

მეცნიერები აკვირდებიან ციურ სხეულებს, მათ მოძრაობას, რომელიც წამის სიზუსტითაა გათვლილი – რა თქმა უნდა, ყოველივე ეს კომპიუტერული პროგრამებითა და წითელი სიგნალებით კეთდება. სამეცნიერო დეპარტამენტის ჩარევამ მნიშვნელოვანი დეტალი ამოატივტივა – სივრცის მიერ განვლილი მანძილის ზუსტ დროს ერთი დღე აკლდა, მიზეზი კი ამოუხსნელი იყო. NASA-ს ერთ-ერთმა ქრისტიანმა თანამშრომელმა, მიუხედავად იმისა, რომ არავის სჯეროდა პასუხის პოვნისა, ძიება ბიბლიაში დაიწყო.

ბიბლიაში, ერთ-ერთ ეპიზოდში ღმერთი მის ძეს, იესოს მიმართავს: „არ შეგეშინდეს მათი. მე ყოველთვის გამოგიწვდენ ჩემს ხელს. შენსა და კაცს შორის ყოველთვის მე ვიქნები“ (იეს. 10.8)

საუბარია იმ ფაქტზე, რომ იესოს გარშემო უამრავი არაკეთილმოსურნე შეიკრიბა. იესომ უფალს მზის გაჩერება სთხოვა. მზე გაჩერდა, მთვარემ კი მოძრაობა დაიწყო იმ დრომდე, სანამ ხალხში შურის გრძნობა არ გაქრებოდა. მოკლედ რომ მოვჭრათ, მზე შუა ცაზე გაჩერდა! კომპიუტერული გამოთვლებით დამტკიცდა, რომ მზის ერთ ადგილზე გაჩერებამ ერთი დღის დაკარგვა გამოიწვია.

მას შემდეგ, რაც ინფორმაცია ბიბლიით დადასტურდა, მეცნიერებმა დაიწყეს გამოთვლა და დაამტკიცეს, რომ ამ დღეს 23 საათი და 20 წუთი დაიკარგა, თუმცა თავსატეხი არ დასრულებულა, მოსაძებნი დარჩა დაკარგული 40 წუთი.

მხოლოდ ის ვიკითხოთ – მზე შუა ცაზე გაჩერდა, ანუ რა მოხდა? რამდენადაც ვიცით, დედამიწა ბრუნავს მზის გარშემო და არა პირიქით – მაშასადამე, შვილის, იესოს თხოვნით (მის მიმართ ავი, შურიანი ადამიანების მომრავლების გამო) დედამიწა გააჩერა მამა ღმერთმა? და დედამიწის გაჩერებას რატომ არ მოჰყვა სრული ქაოსი აწყობილ კოსმოსურ სისტემაში?

უფრო მეტიც, „მთვარემ დაიწყო მოძრაობა დაიწყო იმ დრომდე, სანამ ხალხში შურის გრძნობა არ გაქრებოდა.“ რამდენადაც ვიცით, მთვარე დედამიწის თანამგზავრია და მასთან ერთად ბრუნავს მის გარშემო, ორივე ერთად კი მზის გარშემო.

თუ ამ ყველაფერს ადასტურებს მეცნიერება, ბუნებრივია, იმის აღიარებაც უნდა მოხდეს, რომ მართლაც არსებობს უმაღლესი კოსმიური გონი, რომელმაც შექმნა თვით კოსმიური სამყაროც და თავისივე შექმნილ სისტემაში ყველაფრის გამგებელია, თითოეული სულიერისა თუ უსულოს მოვლინებისა და მის (მათ) მიერ შესრულებული მოვალეობის განსჯა-დასჯის ჩათვლით.

მზის გაჩერების ამბავი მზის ორჯერ ამოსვლამ გამახსენა „ედენას ტევრში“, შოდის (შედუ) ქედის მწვერვალზე, ლოღორაზე, „გილგამეშის მოგზაურობამ“... ნეტავ, ამ მოვლენას რა ახსნა აქვს რაც იქ ხდება, ხომ არ აქვს პირდაპირი კავშირი კოსმიურ გონთან ძველი კოლხეთის „საღვთო მამულს“ – რაჭას, „ედენას ტევრს“?

ყველაფერი მართლაც ზღაპარივით ჩანს, მაგრამ რადგან NASA ვახსენეთ, კიდევ ერთი ინფორმაციაც დავურთოთ, სხვა თუ არაფერი, საინტერესოა...

როგორც ინფორმაცია გავრცელდა 1994 წელს კოსმოსურმა ტელესკოპმა „ჰაბლიმ“ კოსმოსში მცურავი გიგანტური ობიექტი დააფიქსირა. იმავე წლის დეკემბერში NASA-მ „ჰაბლიდან“ ახალი ფოტოები მიიღო. ასტროფიზიკოსების ყურადღება ფოტოებზე გამოსახულმა ღრუბლისმაგვარმა ლაქამ მიიპყრო, რომელიც არც ტექნიკური ხარვეზითა და არც ოპტიკური ეფექტით არ აიხსნებოდა. „საინტერესო ლაქა“ ახლა უკვე უფრო მაღალი რეზოლუციით გადაიღო „ჰაბლიმ“. ახალ ფოტოებზე მეცნიერებმა დაინახეს მოციმციმე კონსტრუქცია, რომელიც იმდენად სწორი და სიმეტრიული იყო, რომ გამოირიცხა ობიექტის ბუნებრივი წარმოშობა. როგორც აღინიშნა, ისეთი ტერმინები, როგორიცაა „გიგანტური“, „უდიდესი“, „მასშტაბური“ და ა.შ მსგავსი შინაარსის, ვერ გამოხატავენ მის მასშტაბებს, რადგან ამოუცნობი ობიექტი მილიარდობით კილომეტრზეა გადაჭიმული კოსმოსში. მიახლოებითი შედარებისთვის, ჩვენი პლანეტა მხოლოდ ქვიშის ნაწილაკი იქნებოდა ამ „ქალაქის“ ერთ „უბანშიო“... გაოგნებულმა ასტროფიზიკოსებმა ობიექტს „ქალაქი“ უწოდეს რომელსაც NASA-ში „ღვთის სასუფევლად“ მოიხსენიებენ.

ობიექტის შესწავლის პროცესში მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ის გალაქტიკასთან ერთად დედამიწის გასწვრივ მოძრაობს. „დიდი აფეთქების თეორიას“ თანახმად, მილიონობით წლის უკან მომხდარი უდიდესი აფეთქების გამო რამდენიმე გალაქტიკამ სხვადასხვა მიმართულებით დაიწყო მოძრაობა, თუმცა, როდესაც მეცნიერებმა სამყაროს ამ ნაწილის სამგანზომილებიანი მოდელის აგება დაიწყეს, „სიურპრიზი“ დახვდათ – ჩვენი და ყველა სხვა გალაქტიკა „ღვთის სასუფევლის“ გარშემო მოძრაობს, თვით „ქალაქი“ კი ერთ წერტილში დგას, სწორედ იმ წერტილში, საიდანაც ყველაფერი „მიფრინავს“. ანუ „ღვთის სასუფეველი“ თავად არის სამყაროს ცენტრი და ყველა გალაქტიკა მის ირგვლივ მოძრაობს.

კოსმოსში აღმოჩენილი უცნაური ტექნოგენური ობიექტის შესახებ ინფორმაცია მომენტალურად მიაწოდეს აშშ-ის პრეზიდენტს (ბილ ქლინთონი) და ვიცე-პრეზიდენტს. მათ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ინფორმაცია გასაიდუმლოებულიყო, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო, „ჰაბლის“ მიერ გადაღებული ფოტოები ავტომატურად იტვირთებოდა NASA-ს საიტიდან. სერვერიდან ინფორმაციის წაშლამდე კი ფოტოები ასტრონომიული ლაბორატორიების ნაწილმა გადაიწერა. 1995 წლის დასაწყისში გერმანულმა სამეცნიერო ჟურნალმა „ჰაბლის“ მიერ დაფიქსირებული „ღვთის სამყოფელის“ შესახებ ინფორმაცია გაასაჯაროვა (ინტერესბოოკ.რუ).

რამდენად ირწმუნებს თანამედროვე მსოფლიო საზოგადოება მოცემულ და მსგავს ინფორმაციებს, სხვა საკითხია, ჩვენ მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ ინფორმაციები „ციდან მოსულების“ (ან ცად ამაღლებულების) შესახებ ოდითგანვე არსებობდა. ამდენად, როდესაც დედამიწაზე ამგვარ ხილულ და ფაქტად დადებულ მტკიცებულებებთან გვექნება შეხება, მთლად ზღაპრად რომ არ ჩავთვალოთ, იქნებ უფრო გაადვილდეს დაკარგულ-მიჩქმალული წარსულის რეალობის აღქმა? იქნებ უფრო მივუახლოვდეთ მზის შვილების, კოლხეთის პირველი მმართველების ცასთან „რაღაც“ კავშირს?...




„ღვთის სასუფეველი“. გადაღებულია ტელესკოპ „ჰაბლით“

დავუბრუნდეთ ეგვიპტესა და კოლხეთს – „ფესტოს დისკოსთან“ დაკავშირებულ მოხსენებაში ბატონმა გია კვაშილავამ საკმაოდ მტკიცე არგუმენტები მოიყვანა იმის დასადასტურებლად, რომ პირველი ფარაონი აუცილებლად უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი კოლხი (მეგრელი, ქართველი) მეფე. ბუნებრივად ებმის ერთმანეთს კოლხეთი-რაჭა-ეგვიპტე, როგორც, ცივილიზაციის აკვანი. კოლხეთი – კოლხეთის „საღვთო მამული, რაჭა – კოლხური ცივილიზაციის მიერ ათვისებული ეგვიპტე.

თვით სიტყვა ფარა-ონი, წმინდა ქართული კონსტრუქციისაა. „ფარაონი“ არ ითარგმნება როგორც მეფე ან როგორ იმპერატორი, ის იყო კოსმიური წესრიგისა და სამართლიანობის განმახორციელებელი დედამიწაზე. მის სახელს ეგვიპტელები არც ამბობდნენ ხმამაღლა, Pპერაა „დიდ სახლს“ ნიშნავდა და ასე მიმართავდნენ. ფარაონი სიცოცხლეშივე გაღმერთებული იყო, მაგრამ ითვლებოდა ღმერთკაცად, რადგან იყო მოკვდავი, მაგრამ მოკვდავთაგან მხოლოდ მას შეეძლო კავშირის დამყარება ღვთაებრივ სამყაროსთან.

ფარაონის ტიტულატურა ხუთი ნაწილისგან შედგებოდა 1. როგორც ღმერთ ჰორის განსახიერება 2. ქალღმერთების, ნეჰბეთისა (ზემო ეგვიპტის სიმბოლო ორბის სახით) და უაჯეთის (ქვემო ეგვიპტის სიმბოლო კობრის სახით) განსახიერება 3. ოქროს ჰორი 4. საკუთრივ ფარაონის სახელი 5. ღვთაებრივი მამის სახელი, ანუ „რას“ შვილი, ძე („რა“-მზე, რაც პირდაპირაც არის მოცემული „რამზე“)

საინტერესო მიგნებაა, რომ გაერთიანებული ეგვიპტის პირველი ფარაონის, მენესის და შემდგომ ნარმერის ფილაზე გამოსახულ ფიგურებში ჭარბობს ხარისა და გემების თემატიკა.

ხარის კულტი ეგვიპტეში შეტანილია „სადღაციდან“, რადგან ადგილობრივი წარმოშობის არ არის, ხოლო რაც შეეხება გემებს – სამდინარო ტრანსპორტირებისთვის არსებულ



მენესის ფილა

გემებს (დიდ ნავებს) ბრტყელი ძირი ჰქონდათ, ნილოსისთვის სხვაგვარი არც იყო საჭირო, ზღვისთვის განკუთვნილს კი აუცილებლად მომრგვალებული ძირი უნდა ჰქონოდა. მენესთან დაკავშირებული გემები ერთი თვალის შევლებითაც განსხვავებულია. რჩება შთაბეჭდილება, რომ ეგვიპტის პირველი ფარაონ მენესისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ზღვას – საინტერესოა, რატომ? იქნებ, თვით იყო ზღვით მოსული? ან პირიქით, ელოდებოდა ზღვიდან მომსვლელებს? ფაქტი ერთია, მენესმა გააერთიანა ეგვიპტე და დაამკვიდრა პტახისა (მშენებლის, ქვის მთლელის) და ხარის კულტი, ხარიცა და მშენებელიც კი, ორივე, ანატოლიისთვისაა დამახასიათებელი. (სხვათაშორის, ბატონმა კვაშილავამ „პტახი“-ფთახი-ფათი-ფოთი დაუკავშირა ერთმანეთს...) ერთიცაა, მენესი იწერებოდა „მნ“, რაც საოცრად მსგავსია კრეტის მეფის სახელისა, მინოსის. კრეტაზეც ხარის კულტი იყო გავრცელებული და თანაც ჩინებული ზღვაოსნები იყვნენ. თუნდაც სულაც ნუღარ ვახსენებთ, რომ ფაცია (ფასოფეა) – მინოსის მეუღლე და კრეტას დედოფალი, ლეგენდარული არიადნას დედა, კოლხი აიეტის და იყო...

კრეტა ძირ-ძველი კოლხური მხარეა. კურატო – კრეტის კუთვნილი პატარა კუნძული, რომელსაც ათასწლეულების შემდეგაც, დღემდე „კოლხითი“ („კოლხეთი“) ჰქვია – ამაზე მიუთითებენ იქაური სამგზავრო (ტურისტული) ბიუროს მასალები. „ოროფა“ („ევროპა“) კოლხური სიტყვაა და „სიყვარულს“ ნიშნავს... კონტინენტ „ევროპას“ სახელი პირდაპირ არის დაკავშირებული მეფის ასულ ოროფას სახელთან, რომელიც „ძემ“ („ძე-უსი“), კოლხების ერთი ნაწილის, პელაზგების ღმერთმა გაიტაცა და ჩაასახლა კუნძულ კურატოზე (ამჟამინდელი კრეტა) იმ მიდამოებში, რომელსაც კოლხური სახელი „გორდი“ ერქვა და დღემდე „გორდი“ ჰქვია, რომელიც ასევე შემორჩენილია დღევანდელამდე კოლხეთის ტერიტორიაზე (ხონის რაიონი, დადიანების მამული. პირადად გახლდით გორდიში).

ქართული წარმართული ეპოქა 7 000 წელიწადს ითვლის. თვით სიტყვა „წარმართიც“ კოლხურია, „სწორად ხედვას“ ნიშნავს და მომდინარეობს აიეტის „ოქროს რინას“ (ჟამის, ხანის, ეპოქის) A– „ოქროს საწმისის“ კანონებიდან, რომელსაც შემდგომში „რომის სამართალი“ დაეყრდნო. საიდან? აიეტის დის, კირკეს მეშვეობით, რომლის ქმარი იყო ლათინი, მათი შვილი კი რომის იმპერიის შემქმნელი – რომული. კირკემ და ლათინმა შექმნეს ლათინური ენა, რომელშიც 5 000 კოლხური (მეგრული) სიტყვაა შესული.

სხვათაშორის, 2007-2008 წლებში გამოვიდა პროფესორების, მამანტი ძაძამიას, ცირა ძაძამიასა და ვლადიმერ ვახანიას შვიდტომეული, „მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“. ავტორები აღნიშნავენ, რომ მეგრული ლექსიკა-სიტყვობრივი მარაგი 100 მლნ-ზე მეტია, აქედან ზმნურ ფორმას განეკუთვნება 99,9% – დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია! აქამდე, ყველაზე მდიდარი ლექსიკის ენად მიჩნეულ ინგლისურ ენაში მხოლოდ 600 000-მდე სიტყვას ითვლიან...

გია კვაშილავას, ძაძამიების, ვახანიას აღმოჩენები და შმიდტის გიობეკლი-თებეს (თეფეს) არქეოლოგიური გათხრების შედეგები მიმართულებას მთლიანად უცვლის მსოფლიო მეცნიერების განვითარებას. ეს ისეთი რანგის ისტორიული მნიშვნელობის აღმოჩენებია, რაგინდ დროში დააყოვნონ გამიზნულად, ერთხელაც აუცილებლად მოუწევთ ამ აღმოჩენების აღიარება მსოფლიო ისტორიის და კონკრეტულად საქართველოს (ძველი კოლხური ცივილიზაციის) გამყალბებელ მსოფლიო მეცნიერებას – ეს აქსიომაა!

სწორედ კუნძულ კურატო-კრეტაზე მდებარე ქალაქ ფათის-ფაისთის მიდამოებში აღმოაჩინა იტალიელმა არქეოლოგმა ლუიჯი პერნიემ 1908 წელს თიხისგან გამოძერწილი უძველესი მრგვალი ფირფიტა. ნაქალაქარის ძველთაძველი სახელია „ფათი“, რომელსაც შემდგომში უცხოელები მოიხსენიებდნენ „ფაისტოს“ სახელით. იმავე წელს კვლავ აღმოაჩინა პერნიემ თიხის დისკო – კოლხური ოქროდამწერლობა, რომელიც საუკუნის შემდეგ გაიშიფრა. ქართველმა მკვლევარმა, გია კვაშილავამ წაიკითხა ოქროს ტვიფრით (ყალიბით) შესრულებული მსოფლიოში პირველი ბეჭვდური დამწერლობა კოლხეთის დედაღვთაების ნანაიასადმი მიძღვნილი ნახატ-ნიშნებით შესრულებული საგალობელი.

ძველბერძნული მითოსიდან ვიცით, რომ მზის ღვთაება „რას“, (ანუ ჰელიოსს – ბერძნულად) სამი ვაჟიშვილი და ორი ქალიშვილი ჰყავდა (რატომ იწოდება „მზის შვილად“?).

უფროსს აიეტი ერქვა და კოლხეთის მეფე იყო;

მომდევნო, ავგიე (კოლხურად – „მანათობელი ვარსკვლავი“) ეგვიპტეში მოღვაწეობდა;



მენესის ფილა

შემდეგი იყო ცირა (კირკეაბერძ);

ქალიშვილი პასიფეა (კუნძულ კრეტას მრისხანე გამგებლის ცოლი, ფაცია);

ფაეთონი, ანუ ფაეთუსა.

ძვ. წ. აღ-ის დაახლოებით 1450 წელს ავგიეს ეგვიპტელებმა აქციონიუსი – „მანათობელი“ უწოდეს, ხოლო ავგიემ ეგვიპტის მეფეებს შეარქვა კოლხური სახელები: ფა-რა-ონი, ანუ „მარგალის“ (მარი-გალი) ენაზე „ფა“ – ფული, სიმდიდრე; „რა“ – მზის ღმერთი; ონი – ნოეს მიერ აშენებული ქალაქი. რამზე – „რა“ – მზე, „მზე“ არის „რა“... ჰეოფსის პირამიდის კედლებზე ამოკვეთილია კოლხური და ხეთური ორნამენტები, ხოლო მთავარ შესასვლელში ამოკვეთილია ქართული ასომთავრული „რა“ – მზის სახელი.

(გაგრძელება იქნება)

# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69; 5 93 78 64 69



* * *

**– სარჩელის გამოხმობა მოსარჩელის მიერ ხომ არ ნიშნავს მოთხოვნაზე უარის თქმას?**

- არა. დაგიკონკრეტებთ:

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 831-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მოსარჩელეს უფლება აქვს, გამოიხმოს სარჩელი ისე, რომ უარი არ თქვას თავის მოთხოვნაზე. სარჩელის გამოხმობა დასაშვებია საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. სარჩელის გამოხმობა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მთავარ სხდომაზე განხილვისას, ასევე სააპელაციო და საკასაციო წესით საქმის განხილვისას დასაშვებია მოპასუხის თანხმობით. თუ მოპასუხე არ არის თანახმა, სასამართლომ უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს საქმე.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ სასამართლო დააკმაყოფილებს მოსარჩელის განცხადებას სარჩელის გამოხმობის შესახებ, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვებისა და მისი მოსარჩელისათვის დაბრუნების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში მოსარჩელეს დაუბრუნდება მხოლოდ შესაბამისი ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი. ამასთანავე, მას დაეკისრება მოპასუხის მიერ გაწეული სასამართლო ხარჯების გადახდა. სააპელაციო ან საკასაციო წესით საქმის განხილვისას სარჩელის გამოხმობის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებს.

* * *

**– ჩემი ქალიშვილი აპირებს საზღვარგარეთ წასვლას და სურს ბავშვის წაყვანაც. ბავშვის წაყვანის წინააღმდეგია ჩემი ყოფილი სიძე. არის თუ არა სავალდებულო მისი თანხმობა მოცემულ შემთხვევაში და თუ არის, გთხოვთ გვითხრათ, არსებობს თუ არა ბავშვის საზღვარგარეთ გაყვანის რაიმე სამართლებრივი მექანიზმი, ერთ–ერთი მშობლის უარის შემთხვევაში?**

– როდესაც ერთ–ერთ მშობელს საზღვარგარეთ მიჰყავს შვილი, აუცილებელია მეორე მშობლის თანხმობა. არსებობს გამონაკლისი: შეგიძლიათ სარჩელით მიმართოთ სასამართლოს ბავშვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ თქვენი ქალიშვილი საფუძვლიანად დაასაბუთებს, რომ საზღვარგარეთ წაყვანა ბავშვის ინტერესებისათვის ხდება, შესაძლოა, სასამართლომ ეს საკითხი გადაწყვიტოს თქვენს სასარგებლოდ.

* * *

**– ჩემი მეუღლე პატიმარია. მას მისჯილი აქვს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. მსურს მასთან განქორწინება. არის თუ არა ეს შესაძლებელი, მისი პატიმრობის გათვალისწინებით და, თუ შესაძლებელია, როგორ მოხდება ეს სამართლებრივად?**

– ეს შესაძლებელია. დაგიკონკრეტებთ:

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1125-ე მუხლის „გ“ პუნქტის მიხედვით, სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით განქორწინება ხდება იმ პირთან, რომელიც სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით არანაკლებ სამი წლისა.

ამავე კოდექსის 1139-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მეუღლე, რომელსაც სურს განქორწინება ხსენებული საფუძვლით, ვალდებულია სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს წარუდგინოს სათანადო წესით დამოწმებული , კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი ან განაჩენის ამონაწერი იმის შესახებ, რომ მეორე მეუღლეს შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა არანაკლებ სამი წლისა.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, შეტანილი განცხადების შესახებ სააგენტოს ტერიტორიული სამსახური აუწყებს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მეუღლეს. უწყებაში უნდა განისაზღვროს იმის თაობაზე პასუხის შეტყობინების ვადა, არის თუ არა დავა ბავშვების შესახებ, მეუღლეთა საერთო თანასაკუთრების გაყოფაზე ან იმ შრომისუუნარო მეუღლის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდევინებაზე, რომელიც დახმარებას საჭიროებს. პასუხის შეტყობინების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3თვეს.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ მიღებულია ცნობა იმის შესახებ, რომ დავა არ არსებობს, ან მითითებულ ვადაში პასუხი არ იქნა მიღებული, სააგენტოს ტერიტორიული სამსახური ახდენს განქორწინების რეგისტრაციას.

დავის არსებობის შემთქვევში განქორწინების საკითხის გადაწყვეტა სასამართლოს პრეროგატივაა.

# მხარი დაუჭირე შენი ქვეყნის ძლიერებას – შეიძინე მხოლოდ ქართული პროდუქცია!




























ISSN 2233-3983

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. ავლაბრის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com